პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— ახალი მთავრობა სამხრეთ-სლავიაში.
— შვეიცარიის კომპარტიის ყრილობა.
— ჰანრი ბარბიუსის პროტესტი იმპერიალისტების წინააღმდეგ.
— აფეთქება გალაცში (რუმინეთი).
— ამერიკელი ბანკირები სესხს აძლევენ პოლონეთს.
— დასრულდა მუშა-მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 21 აპრილი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 89 (1844)

ჩვენი ამოცანები სასოფლო მეურნეობაში

სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების მორიგი სეზონი კარზეა მომდგარი და საჭიროა ამ თავითვე შეუდგეთ ამ კამპანიის წარმატებითი ჩატარებისათვის მზადებას. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენს საქმიანობას ამ მხრივ სავსებით განსაზღვრავენ ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან სასოფლო მეურნეობის დარგში.

როგორც არა ერთხელ თქმულა, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაშიც აღდგენის პერიოდი საერთოდ დამთავრებულია და ალაგ - ალაგ კიდეც გადავაცილეთ ომის წინედ არსებულ დონეს. ჩვენ ფეხი შევდგით მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის, ახალ ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობის ხანაში. მთელი ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობა დღეს მიმდინარეობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის ქვეშ, რომელიც შეეხება არა მარტო მრეწველობას, არამედ არა ნაკლებ სასოფლო მეურნეობასაც. ეს უნდა დაეტყოს მომავალ სასოფლო - სამეურნეო კამპანიას.

ამ მიზნით პარტიას და ხელისუფლებას მტკიცე გეზი აქვს აღებული ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების განვითარებისაკენ, რომელნიც მრეწველობის გაშლისათვის შექმნიან ნედლეულის მკვიდრ ბაზას და აგრეთვე მოგვცემენ საჭირო საექსპორტო პროდუქტებს. ამავე დროს ამ კულტურებზე გადასვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენში არსებულ მიწის სივიწროვის ასანაზღაურებლად, სოფლად უმუშევრობის შესამცირებლად, ვინაიდან მიწის შედარებით მცირე ნაკვეთზე ისინი გაცილებით მეტ ღირებულებას იძლევიან, ვინემ ხორბლეული კულტურები.

ჩვენს პირობებში მაღალ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართო მასშტაბით მოშენებისათვის მეტად ხელსაყრელი კლიმატიური პირობები არსებობენ, ოღონდ საჭიროა გლეხობა ნივთიერად დავაინტერესოთ ამ დარგებით და ყოველ წლიურად მოუმართოთ მას ხელი მათი განვითარებისათვის. თუ ისეთი მდგომარეობა იქნება, რომ ხორბლეულზე გაცილებით უფრო მეტ სარგებელს არ ნახავს სოფლის მეურნე ძვირფასი კულტურათა დამუშავებით, თუ მის პროდუქციის და სამრეწველო .საქონლის ფასებს შორის არ დამყარდება სწორი შეფარდება, თუ პურეულს ხელშისაწვდენ ფასში ვერ იშოვის ბამბის, ჩაის, თამბაქოს და სხვა კულტურათა მომწევი გლეხი, მაშინ, აშკარაა, მას საკმაო ხალისი არ ექნება თავის სამეურნეო მუშაობის გაფართოება - გაუმჯობესებისათვის. ასეთ მოვლენებს კი ჰქონდა ადგილი.

მთავრობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებებისა ამ ნაკლულევანებების აღმოსაფხვრელად და კიდეც გაჰყავს ისინი ცხოვრებაში. სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლება, ამ საქონლით და აგრეთვე პურეულით სპეციალურ კულტურათა რაიონების მომარაგება, ამ კულტურათა პროდუქციაზე მეურნეთათვის მისაღებ ფასების დაწესება, მისი გასაღების საქმის მოწესრიგება — აი, საითკენაა ხელისუფლების ყურადღება მიმართული.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სანედლეულო კულტურათა განვითარების წაქეზების მიზნით მთავრობამ დააწესა ამ დარგებისათვის საგრძნობი საგადასახადო შეღავათები, ხორბლეულობასთან შედარებით. სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალ კანონში ეს სპეციალურადაა გათვალისწინებული.

ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ სუსტ მხარეს მისი დაბალი ნაყოფიერება შეადგენს. ჩვენს გლეხს მიწის ერთ და იმავე ერთეულზე ორ-სამ-ოთხ ჯერ ნაკლები ღირებულების მოსავალი მოსდის, ვინემ, მაგალითად, დანიის გლეხს. აიხსნება ეს ჩვენი უკულტურობით და საჭირო მასალების და იარაღების უქონლობით. ჩვენი მთავარი საზრუნავი საგანია სასოფლო - სამეურნეო შრომის ნაყოფიერების აწევა. აგრონომიულ ცოდნის გავრცელება, მიწის დამუშავების თანამედროვე წესების შემოღება, თესლეულის შერჩევა, ხელოვნურ სასუქის გამოყენება, მამა - პაპეულ თოხის და კავის შეცვლა ახალი მანქანა - იარაღებით — აი რა გვესაჭიროება ჩვენ.

სათანადო ორგანოებმა უნდა მიიღონ პრაქტიკული ზომები ჩამოთვლილ ამოცანების გადასაჭრელად. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე სწარმოებს. ის უნდა გაძლიერდეს და გაფართოვდეს, ამასთან მეტი გეგმიანობა უნდა იქნეს ამ მუშაობაში შეტანილი.

თავის თავად ცხადია, რომ დასახულ ღონისძიებათა წარმატებით გატარება, საერთოდ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია ყველაზე უფრო ადვილად შეიძლება გლეხობის კოოპერატიულ გაერთიანების ნიადაგზე. სასოფლო მეურნეობის გადახალისება და ინდუსტრიალიზაცია მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ მის კოლექტივიზაციას, მიწადმოქმედების სოციალისტურ ფორმებზე თანდათანობით გადასვლას. საქმე უნდა დაიწყოს მარტივი, გლეხობისათვის გასაგები გაერთიანებებიდან, როგორიცაა მიწის საზიაროდ დამუშავება, სამანქანო ამხანაგობანი, გასაღების საერთო მოწყობა და სხვ. შემდეგ შესაძლებელია უფრო რთულ კოლექტიურ გაერთიანებათა ორგანიზაცია.

ამ გაერთიანებებს პირველ ყოვლისა და შემდეგ ცალკე მეურნეებსაც შესაძლებელი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ, სხვათა შორის, კრედიტის მიწოდებით. სასოფლო - სამეურნეო კრედიტის დაწესებულებების წინაშე ამ მხრივ დიდი მნიშვნელობის ამოცანა დგას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კოოპერატიულ გაერთიანებებში ჩაბმულ უნდა იქნენ პირველ რიგში ღარიბი გლეხები და კრედიტიც უმთავრესად მათ დასახმარებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ამასთან, იგულისხმება, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს საშუალო გლეხობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მათ სამეურნეო დაკავშირებას ღარიბ გლეხობასთან.

სასოფლო - სამეურნეო კამპანია, როგორც ვსთქვით, მალე გაჩაღდება. სათანადო ორგანოებმა არ უნდა დააყოვნონ ზომების მიღება, რათა ეს კამპანია ჩატარებულ იქნას პარტიის მიერ სასოფლო მეურნეობაში დასახულ გეზის მიხედვით.

ჩაის კულტურა საქართველოში

ამა წლის 7 აპრილს საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ დადგენილება გამოიტანა, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელში საქართველოში ჩაის საქმის განსავითარებლად გადადებული იქნეს საერთო ჯამით 947.000 მანეთი. აქედან 500.000 მანეთი უნდა მოხმარდეს კაპიტალურ მშენებლობას, 150.000 მანეთი ნიადაგის შესწავლას, თესლეულობის შეძენას, ექსპედიციის გაგზავნა უცხოეთში ჩაის შესასწავლად და სხვა ამგვარ საქმეებს, 297.000 მანეთი კი 8 წლის ვადით უნდა დაურიგდეს წვრილ გლეხობას ჩაის პლანტაციების გასაფართოებლად „საქართველოს ჩაის" საშუალებით. ეს ცნობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ღირს მასზე ყურადღების შეჩერება.

საქართველოში ჩაის მოშენების საქმეს 80 წლის ისტორია აქვს. პირველად ჩაის ბუჩქი ყირიმიდან შემოტანილი იქნა სოხუმში 1846 წელს და იმ ხანებში კიდევ გურიაში, სოფ. გორაში, ერისთავის მამულში და სამეგრელოში, მინგრელსკის მამულში. ცდამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო ამ ადგილებში, რამაც დააინტერესა უმთავრესად კერძო პირები, რუსეთის ზოგიერთი მეცნიერები და საუფლისწულო მამულების სამმართველო. ბათომის ოლქის რუსეთზე შემოერთების შემდეგ ჩაის მოშენების საქმეს უფრო ფართე ხასიათი მიეცა, ასე, რომ ყოფ. ჩაით მოვაჭრემ მოქ. პოპოვმა ჩაქვში ჩაის მოსაშენებლად მიწები შეიძინა და პირველმა ქარხანაც გახსნა. პრაქტიკულად მიუდგა ამ საკითხსაც უკვე საუფლისწულო მამულების სამმართველოც. იმანაც ჩაქვის რაიონში უმთავრესად ჩაისა და აგრეთვე სხვა სუბტროპიკული მცენარეების მოსაშენებლად 13.000 დესეტინა მიწა შეიძინა. გაგზავნილ იქნა ჩინეთში კუნძულ ცეილონზე და იაპონიაში სპეციალური ექსპედიცია, რომელმაც ადგილობრივ შეისწავლა ჩაის კულტურის საქმე, ჩამოიტანა თესლეულობა, ნერგები და შეუდგა პლანტაციების მოშენებას, რომელთა სივრცე 1916 წელში უკვე 500 დესეტინას უდრიდა. საინტერესოა, რომ ძველი მთავრობა ამ საქმეს თავიდანვე უგულოდ მოეკიდა. არავითარ ინტერესს ამ დარგისადმი ის არ იჩენდა. თუ რაიმე კეთდებოდა, განსაკუთრებით კერძო ინიციატივით. თუ ამ საქმეს უკანასკნელ წლებში თვითმპყრობელობის მთავრობამ რაიმე ყურადღება მიაქცია და აქა იქ დაარსა საცდელ-საჩვენებელი პლანტაციები, ის უფრო აიხსნება ზოგიერთი მაშინდელი მოხელეების და მეცნიერების ენერგიით (მაგ. პროფ. კრასნოვი, აგრონომი ტიმოფეევი და სხვა), ვიდრე მთავრობის გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი გეგმიანობით. ამით შეიძლება მხოლოდ აიხსნას ის, რომ 1916 წელში, ე. ი. 70 წლის შემდეგ, რაც ჩვენში ჩაის მცენარე იქნა შემოტანილი, ყველა პლანტაციების სივრცე უდრიდა მხოლოდ 918 დესეტინას. 1924 წელში იყო 972 დესეტინა. აქედან 500 დესეტინამდე გაშენებული იყო საუფლისწულო მამულების მიერ, 130 დესეტინამდე მოქ. პოპოვის და დანარჩენი კი (192 დესეტინამდე) იყო გაშენებული ადგილობრივ საშუალო და მსხვილ მეურნეობათა მიერ.

სათქმელია განა 80 წლის განმავლობაში 972 დესეტინამდე მიწის მოშენება. და აქედან 630 დესეტინა საუფლისწულო მამულისა და კერძო მსხვილი მრეწველობის საკუთრებას შეადგენდა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ნიმუშია იმისა, თუ როგორ გულგრილად ეკიდებოდა თვითმპყრობელობის მთავრობა ამ საქმეს და მეორე მხრით იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო აგრონომიულ ცოდნას და კულტურულ მეურნეობას ისეთი ღარიბი კუთხე დასავლეთ საქართველოში, როგორც გურია—აჭარა არის. მენშევიკების დროს ჩაის საქმე სრულიად მოიშალა და საერთო ეკონომიური დაქვეითებისა და ბაზრის შემცირების გამო პლანტაციების სივრცე არა თუ გაიზარდა, პირიქით გლეხობამ ისევ სიმინდის მოყვანას მოჰკიდა ხელი.

აღორძინება ჩაის საქმეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაეტყო, ჯერ მიწადმოქმედების კომისარიატის ხელმძღვანელობით და შემდეგ კი სპეციალური სააქციო საზოგადოების „საქართველოს ჩაის" დაარსების მეშვეობით. ამ საზოგადოებამ მართლაც (მხოლოდ ორი წელია არსებობს) ჩაის საქმის განვითარებისათვის საგრძნობი ღონისძიებები მიიღო. გაფართოვდა სივრცე ჩაის პლანტაციებისა, აგებულ იქნა 5 ქარხანა და მეექვსე ეხლა შენდება. მარტო ოზურგეთის მაზრაში გასულ წელთან შედარებით პლანტაციების სივრცე წელს 144 დესეტინიდან 240 დესეტინამდე გაიზარდა. გეგმით განზრახულია 5 წლის განმავლობაში, ე. ი. 1931 წლისათვის შავი ზღვის ნაპირებზე პლანტაციების სივრცე აყვანილი იქნეს 19.320 დესეტინამდე (51.500 ქცევა) და აშენდეს 16-დე ფაბრიკა. გაფართოვდეს უნდა ძველი საცდელ-საჩვენებელი სადგურებისა და საზოგადოთ ამ საქმეს უნდა მიეცეს ფართე ხასიათი, უმთავრესად გლეხობის წვრილი მეურნეობის საფუძველზე. მიწების რაოდენობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ჩაის კულტურისათვის შავი ზღვის ნაპირებზე (აჭარა, გურია-სამეგრელო და აფხაზეთი), ნავარაუდევია 120.000 დესეტინამდე. ეს მიწები კი უმთავრესად ეგრედწოდებული „ეწერი", სრულიად გამოუსადეგარია სხვა რაიმე კულტურისათვის და მასზედ დათესილი სიმინდი ან სხვა რაიმე ჭირნახული დახარჯული შრომის ნახევარსაც ვერ ამართლებს. ამისათვის ღარიბმა გლეხობამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ეხლა ხელისუფლება ეწევა ჩაის საქმის გასაფართოვებლად გლეხობა მთავრობას მხარში უნდა ამოუდგეს და აღმოუჩინოს მას დახმარება.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს დახმარება? აი რაში: გლეხობამ შეიგნოს უნდა, რომ ის მიწა, რომელიც ეხლა მის განკარგულებაშია და ზედ მხოლოდ სიმინდი მოჰყავს, მას ვერ აკმაყოფილებს; არც გარშემო არის მიწის თავისუფალი ფონდი, საიდანაც შესაძლებელი იყოს მიწის მიმატება ან იმაზედ გადასახლება. ერთად ერთი გზა, რომ მიწის ეს დიდი სიმცირე შესუსტდეს, არის მეურნეობის გაუმჯობესება სხვა, სიმინდზე უფრო მომგებიანი კულტურების შემოღებით, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი ჩაის მცენარეს უჭირავს. გლეხობის დახმარება იმაში გამოიხატება სწორეთ, რომ ეს მათ შეითვისონ და ის ფული, რომელიც ამ საქმისათვის გადადებულია, პირდაპირი მიზნისათვის გამოიყენოს.

ჩაის საქმეს ჩვენში დიდი მომავალი აქვს. მთელს კავშირში სხვაგან ჩაი, გარდა ჩვენი ქვეყნისა, არსად არ ხარობს. ამ მხრით კონკურენტები ჩვენ არავინ გვეყოლება. საქართველოს ჩაი ხარისხით, თუ ის კარგი ნახელავია, არ ჩამოუვარდება უცხოეთის საუკეთესო, ღირსების ჩაის, როგორც ეს ეხლახან შემოწმებული იყო ინგლისის ფირმების მიერ, და ამიტომ ყველა უპირატესობა ჩვენსკენ არის. კავშირი წინეთაც და ეხლაც განსაკუთრებით შემოტანილი ჩაით ცხოვრობს, რომლის რაოდენობა 90 მილიონ გირვანქას უდრის. ჩვენ ჯერ მოთხოვნილების 1 ნახ. პროც. ვაკმაყოფილებთ და ცხადია, თუ ჩვენ მოვინდომებთ და საქმეს გულიანად მოვეკიდებით, ე. ი. ას ოცი ათასი დესეტინიდან პლანტაციებად ვაქცევთ ნახევარსაც კი,-ეს მილიონები, რომელიც ეხლა ჩაის საფასურად მიდის საზღვარ გარეთ, ჩვენს მეურნეობაში დარჩება. საზოგადოთ გურია - სამეგრელოს მოსახლეობა ენერგიული და ჭკუა მახვილი ხალხია, მაგრამ კულტურულ მეურნეობაზე და საზოგადოთ ელემენტარულ აგრონომიულ ცოდნაზე ცოტათი მწყრალი არიან. სხვა რამეზე, გარდა სიმინდის მოყვანისა, თითქმის არაფერს ფიქრობენ, რაც სწორედ უმთავრესი მიზეზია მათი სიღარიბისა. ერთსა და ორ წელიწადში, რა თქმა უნდა, დიდი საქმე არ კეთდება; დიდი კულტურული საქმე დროსაც დიდს მოითხოვს და ამიტომ თუ შავიზღვის ნაპირების მოსახლეობას უნდა სიღარიბეს თავი დააღწიოს და მუდამ გაჭირვებას არ განიცდიდეს, მთავრობასთან ერთად მანაც უნდა მოკიდოს დღესვე ხელი ამ საქმეს. კარგი ნაყოფი საკუთრად მისი იქნება. შიგ არავინ ჩაეცილება. ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე იმაში კი არ გამოიხატება, თითქოს ჩვენ ბევრი მიწები გვაქვს; პირიქით, არა თუ რუსეთში, ამიერ - კავკასიაშიც — ჩვენი გლეხობა მიწით ყველაზე ღარიბია. არც აზერბეიჯანში და არც სომხეთში ისეთი მიწის სივიწროვე არ იციან, როგორც ჩვენში — განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მაგრამ ჩვენი სიმდიდრე ისაა, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა განსაკუთრებულ კარგ კლიმატიურ პირობებშია. ის ქვეყანა, სადაც ჩაი, თამბაქო, ბულა, მანდარინი და სხვა ასეთი მცენარეულობა ხარობს, ღარიბი არ უნდა იყვეს, მაგრამ თუ ჩვენ ამ პირობებს მარტო სიმინდის მოსაყვანათ გამოვიყენებთ, ცხადია, სიღარიბიდან ვერას დროს ვერ ამოვალთ.

ა. კალანდაძე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საკავშირო საბჭოთა მეოთხე ყრილობა

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. რიკოვის მოხსენება

საერთაშორისო პოლიტიკის ორი კვანძი

ეხლანდელი საკავშირო საბჭოთა ყრილობა მიმდინარეობს მეტად რთულ საერთაშორისო პირობებში. ეს გართულება გამოწვეულია იმით, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ხდება მთელი რიგი ისეთივე ამბებისა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში ხშირად გამორებულა შეიარაღებულ შეტაკებების წინ. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ეს უკანასკნელი ამბები ომის დასაწყისი ან მზადება, ომისათვის, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს.

სად არის ამჟამად გადანასკვნული საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი კვანძები? მე ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა დაგვესახელებია ორი ადგილი: პირველი—ჩინეთი, მეორე—ჩვენი საბჭოთა კავშირი.

ამ ორი ვეებერთელა სახელმწიფოს მოსახლეობა შეადგენს მთელი მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოვებით ერთ მესამედს. ამ სახელმწიფოების გარშემო ამჟამად სწარმოებს მტრულ და მეგობრულ ძალების საზოგადოებრივ აზრის მობილიზაცია. სწორედ ეს ორი სახელმწიფო მოექცა იმპერიალისტური ძალების აგრესიული ზეგავლენის ცენტრში. რაც შეეხება ჩინეთს, ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ აგრესიული მობილიზაციის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩინეთი კოლონიალური პოლიტიკის კვანძს წარმოადგენს. ჩვენი სახელმწიფო წარმოადგენს კაპიტალიზმის მტრული ზრახვების ობიექტს, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წყდება სოციალისტური მშენებლობის საკითხები. ჩვენი საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერების განმტკიცება და პოლიტიკური მნიშვნელობის გაძლიერება ნიშნავს საზოგადოების ორგანიზაციის სოციალისტური მეთოდის გამარჯვებას. სწორედ ამიტომ ეს ორი სახელმწიფო სდგას საერთაშორისო ბურჟუაზიის გაძლიერებულ იერიშების ცენტრში.

საზოგადოებრივი აზრის და ჩვენი კავშირისადმი მტრულად განწყობილ ძალების მობილიზაციის გამოსავალ მომენტს ქრონოლოგიურად წარმოადგენს ჩემბერლენის ნოტა. თვით ნოტის ხასიათი იმდენად უჩვეულოა საერთაშორისო ურთიერთობაში, რომ ძნელია ყოველივე ის, რასაც შეიცავს ნოტა, მისი წარმოშობის ნამდვილ მიზეზად იქნეს მიჩნეული.

ნოტის ნამდვილი მიზეზების გარკვევა შეიძლება. თუ თვალს გადავავლებთ იმ ანტისაბჭოთა აგიტაციას, რომელსაც კონსერვატორების პარტია აწარმოებს. ამ პროპაგანდის უმთავრეს ელემენტებს წარმოადგენენ: საკითხი მეფის ვალების შესახებ, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის სოლიდარობა ინგლისის მუშათა მასებისადმი და იმპერიალისტების უკმაყოფილება იმით, რომ ჩინეთის ხალხი სიმპატიით უცქერის ჩვენს კავშირს. მე საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არც ერთი ამ სამ საკითხთაგანი არ ყოფილა განხილული ჩვენსა და ინგლისის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არა ერთხელ წამოგვიყენებია წინადადება საქმიან მოლაპარაკების დაწყების შესახებ, ეხლანდელი კონსერვატიული მთავრობა ყოველთვის გვერდს უხვევდა იმას, რომ ეს, ეგრედ წოდებული, „სადავო საკითხები" ოფიციალურ მოლაპარაკების ობიექტად გადაქცეულიყვნენ. ამიტომ საფუძვლიანად განუხილველ საკითხების გამოყენება ურთიერთობის ჩაშლისათვის დანაშაულებად უნდა ჩაითვალოს. მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ამ საკითხებზე, რადგან მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო პოლიტიკისათვის.

ჩვენი დამოკიდებულება მუშათა საერთაშორისო მოძრაობასთან

საკითხში, რომელიც შეეხება მუშათა კლასის მდგომარეობას ჩვენს კავშირში და მის უფლებას იქონიოს კავშირი მსოფლიოს მუშათა მოძრაობასთან. ყველამ უნდა იხელმძღვანელოს იმით, რომ ჩვენი რესპუბლიკა მუშური სახელმწიფოა და სწორედ ამიტომ არა მარტო მშრომელთა მასებს და მუშათა ორგანიზაციებს, არამედ თვით ჩვენი კავშირის მთავრობასაც შეუძლიათ აშკარად გამოხატონ თავისი ძმური სოლიდარობა სხვა ქვეყნების მუშათა კლასისა და მშრომელებისადმი. ყოველგვარი ცდა აიძულონ ამჟამად საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ხელი აიღოს ამ ბუნებრივ უფლებაზე, ან აიძულონ ჩვენი მთავრობა შეზღუდოს მუშათა კლასის მოქმედების თავისუფლება ურთიერთ დახმარების ან სხვა ქვეყნების მუშათა კლასთან კავშირის დაჭერის საქმეში,—მიზნად ისახავს თვით საბჭოთა სახელმწიფოს ბუნების შეცვლას, ოქტომბრის ისტორიულ ფაქტის—პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს დამყარების აღმოფხვრა და აქედან გამომდინარე ყველა შედეგების მოსპობა ყოვლად შეუძლებელია. ჩემბერლენის პლატფორმა: სიმპატიის გამოცხადება კაპიტალისტებისა და ჩინელ მემამულეებისათვის გამომდინარეობს ინგლისის კონსერვატიული პარტიის განსაკუთრებული მდგომარეობიდან. ჩვენი პლატფორმაა: თანაგრძნობა ჩაგრულ მუშებისა და ჩაგრულ ხალხებისადმი (მთელი დარბაზის მქუხარე ტაში).

მაგრამ კიდეც რომ დაუშვათ, რომ კონსერვატიული მთავრობა მოსკოველ ნეპმანებსა და კერძო ვაჭრებს თანაუგრძნობს, მე მაინც არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვი, რომ ეს წარმოადგენდეს ჩემბერლენის ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში (სიცილი, ტაში). მუშათა სახელმწიფოში მუშათა კავშირები თავისუფალი არიან თავის მოქმედებაში, მაგრამ, თუ ჩვენ შევზღუდავთ მათ თავისუფლებას, მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით მუშების და გლეხების მთავრობა (ტაში). კონსერვატორები სცდილობდენ ინგლისის გაფიცვა ისე წარმოედგინათ, რომ, როგორც მისი დაწყება, ისე ინგლისის მემაღაროეთა გმირული წინააღმდეგობა ამ ბრძოლაში საბჭოთა მთავრობის „ბრალი" ყოფილიყოს. ინგლისის კონსერვატორთა მიუდგომლობის დამახასიათებელ, საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ინგლისის მთავრობამ მემაღაროეთა გაფიცვის დროს თავისი თავი ნეიტრალურად გამოაცხადა, მაგრამ მეორე მხრით, ხელს უშლიდა მუშათა ორგანიზაციებს დამშეულ მემაღაროეთა და მათ ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, ხოლო სიხარულით თანხმდებოდა იმ შტრეიკბრეხერულ დახმარებაზე, რომელსაც მაღაროს პატრონებს უწევდენ რუსი თეთრგვარდიელები. რასაკვირველია, ეს ინგლისის მთავრობის საქმეა და აგრეთვე გვესმის, რომ ინგლისის მთავრობა აკეთებდა იმას, რაც მის კლასიურ ინტერესებს ეგუებოდა. ჩვენი კავშირის მუშებმაც მოიხადეს თავისი კლასიური მოვალეობა. საკითხი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ მუშათა მოძრაობასთან, საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენ აუკრძალოთ ჩვენს მუშებს დახმარების აღმოჩენა სხვა ქვეყნის მუშებისათვის, უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან. ამ მხრივ საბჭოთა მთავრობა არ დაუშვებს რაიმე ცვლილების შეტანას თავის პოლიტიკაში (ტაში).

ვალების საკითხი

მეორე საკითხია—ვალების საკითხი. ამ საკითხზე საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ გამოსთქვა თავის შეხედულება, რომელმაც თავისი ერთგვარი გამოხატულება ჰპოვა ინგლისის წინანდელ მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებაში. ეს ხელშეკრულება უკვე წინასწარ ხელმოწერილი იყო ინგლისის მაშინდელი პრემიერის მაკდონალდისა და ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. რაკოვსკის მიერ. როდესაც ინგლისის სახელმწიფოს სათავეში კონსერვატორები მოექცნენ, ეს ხელშეკრულება არ იქნა დამტკიცებული. ჩვენმა წარმომადგენლებმა ინგლისში—რაკოვსკიმ, განსვენებულმა კრასინმა და როზენგოლცმა არა ერთხელ მისცეს წინადადება ინგლისის მთავრობას დაწყებულიყო იმ ახალ წინადადებებისა და ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებების განხილვა, რომლებსაც წამოაყენებდა ინგლისი. მე ვაცხადებ, რომ ინგლისის მთავრობა ყოველთვის გაურბოდა ამას და არავითარი წინადადებები არ შემოჰქონდა.

საბჭოთა კავშირის მთავრობა თავის სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების მიზნით არასდროს არ აცხადებდა უარს მოლაპარაკებაზე და სასურველად და შესაძლებლად სთვლის არსებულ არანორმალურ ურთიერთდამოკიდებულების მოგვარებას.

იმპერიალისტების პროვოკაცია არ გასჭრის

ჩინეთის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ამჟამად წარმოადგენს საბჭოთა მთავრობით უკმაყოფილებისა და მისთვის ყოველგვარი ბრალდების წაყენების უმთავრეს მიზეზს. ჩინეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით, ეს უკმაყოფილება თანდათან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ეს უკმაყოფილება წინადაც არსებობდა და დაიწყო საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერასთან ერთად. ეს იყო პირველი ხელშეკრულება, რომელიც აღიარებდა ჩინეთის სრულ სუვერენიტეტს და უარყოფდა ყველა იმ განსაკუთრებულ პრივილეგიებსა და უფლებებს, რომლებითაც უცხოელები სარგებლობდნენ ჩინეთში. ამ ხელშეკრულებაში იმპერიალისტებმა დაინახეს ანტიიმპერიალისტური მოძრაობის განვითარების დასაწყისი. უკანასკნელმა ამბებმა დაამტკიცეს, რომ იმპერიალისტებს არ სურთ აღიარონ ჩინეთი თავის თანასწორ, სუვერენულ სახელმწიფოდ. ეხლა კი, მე მგონია, ჩვენ უკვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არავითარ არსებით უთანხმოებას არა აქვს ადგილი ჩინეთისადმი დამოკიდებულების საკითხში. მართალია, ზოგჯერ ვღებულობთ ცნობებს იმის შესახებ, რომ ესა თუ ის სახელმწიფო არ ეთანხმება დანარჩენებს ამა თუ იმ მუხლში. წვრილმან საკითხებში მათ შორის, რასაკვირველია, შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მთავარ საკითხში,—საჭიროა თუ არა შეიარაღებული ძალის გამოყენება განთავისუფლების გზაზე მყოფ ჩინეთის წინააღმდეგ,—იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის უკვე აღარა აქვს ადგილი აზრთა დიდ სხვადასხვაობას. ბრძოლის მეორე იარაღს ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ წარმოადგენს დახმარების აღმოჩენა ჩრდილოელ მილიტარისტებისათვის და თვით ნაციონალურ მოძრაობის გახრწნის ტაქტიკა. სამხრეთ-ჩინეთში მომხდარი უკანასკნელი ამბები—განხეთქილება ნაციონალურ ბანაკში და ჩან-კაი-შის მიერ მოხდენილი გადატრიალება—ეჭვს გარეშეა, წინასწარ მომზადებული იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ზოგიერთ წარმომადგენლების მიერ.



ამხ. რიკოვი

ჩინეთში თავმოყრილი ყველა არმიები და ჯარები, თავის-თავად წარმოადგენენ სამხედრო შეტაკებათა პროვოკაციას. ასეთ მდგომარეობაში ჩინეთში მოხდა თავდასხმა საელჩოს ნაწილზე პეკინში, თავდასხმა, რომელიც წინასწარ მოწონებული და ნებადართულ იქნა ელჩების მიერ. „ცივილიზაციურ" სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის მთელს ისტორიაში ასეთმა გაუგონარმა მოქმედებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა საზოგადოებრივობაში. მთავრობამ იცის, რომ ასეთი თავისებური მეთოდებით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სურთ თავზე მოგვახვიონ ომი ჩინეთთან. სხვა არავითარი მოსაზრებით არ აიხსნება ის, რაც ამ უკანასკნელ ხანში მოხდა ჩინეთის ტერიტორიაზე ჩვენს მიმართ. როგორც ამ ყრილობაზე, ისე რ. ს. ფ. ს. რ. ყრილობაზე, მე ვაცხადებ, რომ საბჭოთა მთავრობა არ წამოეგება ასეთ პროვოკაციის ანკესზე (ტაში). ჩინეთის ნაციონალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობა ვითარდება ჩვენი კავშირის, ჩვენი სახელმწიფოსადმი უდიდესი სიმპატიის ნიშნის ქვეშ. ამის გამო ჩვენ გვაბრალებენ ანტიბრიტანული აგიტაციის წარმოებას ჩინეთის ტერიტორიაზე. ჩვენ დანაშაულად გვითვლიან იმას, რომ ჩინეთის ამბებში მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა მოქალაქე ბოროდინი. ინგლისელების საწინააღმდეგო ინტრიგებს აწერენ ამ ბოროდინის მოქმედებას. მე უნდა ვსთქვა, რომ ბოროდინი არ არის ჩვენი წარმომადგენელი ჩინეთში და არავითარი რწმუნებებით არ არის აღჭურვილი საბჭოთა მთავრობისაგან, ასე რომ ჩვენი მთავრობა არ აგებს პასუხს ბოროდინის მოქმედებისათვის. ჩვენ, მაგალითად, ვიცით, რომ ჩან-ძო-ლინს ჰყავს ინგლისელი სამხედრო მრჩეველი სეტტენი. მე არ მგონია, რომ ეს ინგლისელი მრჩეველი სცდილობდეს ჩან-ძო-ლინის სიმპატიების აღძვრას ჩვენი მთავრობისადმი. მიუხედავათ ამისა, მე არ ვაპირობ დანაშაულად ჩაუთვალო ინგლისელებს და ჩემბერლენს ის, რომ ინგლისელი სეტტენი არის ჩან-ძო-ლინის მრჩეველი. ჩინეთი წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს და ამიტომ ჩინელებს უფლება აქვთ მრჩევლებად მოიყვიონ ისინი, ვინც მათ მოესურვებათ, ამავე დროს ისინი სრულებითაც მოვალე არ არიან, რომ მოიწვიონ მარტო ინგლისელები, ან ამერიკელები (ტაში). მათ საბჭოთა მოქალაქეების მოწვევაც შეუძლიათ (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა საელჩოს მცველი—ჩვენი მშვიდობიანობის პოლიტიკაა

რ. ს. ფ. ს. რ.-ს ყრილობაზე მე შემეკითხენ—იმყოფებიან თუ არა ჩვენი სამხედრო რაზმები ჩინეთის ტერიტორიაზე. მე უპასუხე, რომ არა. ამის შემდეგ, ზოგიერთ საზღვარგარეთელმა გაზეთებმა ჩემი პასუხი გაიგეს, როგორც ჩვენი მთავრობის სისუსტის ნიშანი. სწორედ ჩვენი ჯარების არყოფნა ჩინეთის ტერიტორიაზე, ის გარემოება, რომ ძალადობას არ მივმართავთ ჩინეთის მიმართ, წარმოადგენენ ჩინეთის ხალხთან მეგობრული თანამშრომლობის უდიდეს გარანტიას. სწორედ ჩვენი ჯარების არ ყოფნა ჩინეთში გვხდის უფრო ძლიერად, ვიდრე სხვა სახელმწიფოები, და უშიშარ მდგომარეობაში გვაყენებს ჩვენ და ჩვენს მოქალაქეებს, ვიდრე იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებიც ახდენენ ინტერვენციას ჩინეთის ტერიტორიაზე.

ელჩთა დასტურით ჩვენს საელჩოზე მოახდინეს თავდასხმა. მაგრამ ვერც ერთი ბურჟუაზიული გაზეთი ან მოღვაწე ვერ დაამტკიცებს, რომ ჩვენი მთავრობა ან ჩვენი წარმომადგენლები ჩინეთში აღვივებდენ მტრობას ან იწვევდენ მტრულ გამოსვლებს ჩინეთის ხალხში. ასეთი შემთხვევა იმ დღიდან, რაც არსებობს საბჭოთა რესპუბლიკა, არ ყოფილა (ტაში).

ნანკინისათვის ყუმბარების დაშენას და მთელ რიგ შეიარაღებულ გამოსვლებს ჩინეთში იმპერიალისტები ამართლებენ იმით, რომ ისინი ჩინეთის ხალხისაგან იცავდენ თავის წარმომადგენლების სუვერენიტეტს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით, არ გვჭირდება ზრუნვა ამ მხრივ, რადგან თვით ჩინეთის ხალხი იცავს ჩვენს წარმომადგენლობას. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით, საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერები და ყველა ქვეყნის მშრომელნი უფრო დიდი აღფრთოვანებითა და ენერგიით დადგებიან საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე იმ მომენტში, როდესაც დაგვემუქრება შეიარაღებული თავდასხმის საფრთხე იმპერიალისტების მხრივ.

ამხანაგებო, მე მგონია, რომ ინგლისის ნოტა ისახავდა იდეოლოგიურ მიზანს, ასე თუ შეიძლება ვსთქვათ, სახელდობრ, ანტისაბჭოთა ბლოკის მომზადებას. არსებითად ის წარმოადგენს საბჭოთა გარემოცვის მომზადებას, ინტერვენციის ფსიქოლოგიურ მომზადებას. დაიწყო აშკარა ვაჭრობა ანტისაბჭოთა ორიენტაციაზე. ამ ანტისაბჭოთა კამპანიასა და ვაჭრობაში სპეციფიური მნიშვნელობა აქვს იტალიის მთავრობის მიერ ბესარაბიის ოქმის დამტკიცებას, ოქმის, რომელიც კანონიერად აცხადებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიის—ბესარაბიის ხელში ჩაგდებას რუმინეთის მიერ. ბესარაბიის ოქმის შესახებ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას, რომ არავითარ ქაღალდებს, ნოტებს, რატიფიკაციას ან ბესარაბიის დამტკიცებას რუმინეთის საკუთრებად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ საბჭოთა მთავრობის მონაწილეობის გარეშე (ტაში).

საბჭოთა კავშირი და ერთა ლიგა

ამჟამად ჩვენ დამოკიდებულებას ერთა ლიგისადმი ბურჟუაზია იყენებს ჩვენს საწინააღმდეგო კამპანიის გასაჩაღებლად, საბჭოთა კავშირს დანაშაულად უთვლის ერთა ლიგაში შეუსვლელობას და იმას, რომ ის უარს აცხადებს მუშაობაზე „მშვიდობიანობის საერთო საქმისათვის". საკითხი ერთა ლიგისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ამჟამად შეიძლება გახდეს აქტუალურ საკითხად როგორც საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ისე იმასთან დაკავშირებითაც, რომ, დაბოლოს, გადალახულია „გეოგრაფიული" ზღუდე ჩვენი რაიმე მონაწილეობისათვის როგორც ერთა ლიგის, ისე მისი კომისიების მუშაობაში. ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში კრესტინსკიმ და შვეიცარიის ელჩმა ბერლინში, ორივე მთავრობის დასტურით, ხელი მოაწერეს კონფლიქტის ლიკვიდაციის ოქმს, კონფლიქტის, რომელიც გამოიწვია ვოროვსკის მოკვლამ ლოზანის კონფერენციის დროს.

მართლა მშვიდობიანობისათვის იბრძვის ერთა ლიგა? როგორც ცნობილია, ინგლისი და ჩინეთი შედიან ერთა ლიგაში. იბადება კითხვა—რა ცვლილებები შეიტანა ამ გარემოებამ ამ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში? როდესაც ხდება ომი, ან ძლიერი სახელმწიფოს თავდასხმა სუსტ სახელმწიფოზე, მაშინ ერთა ლიგა არ არსებობს. ერთა ლიგა წარმოადგენს რამდენიმე მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა იარაღს ყველა დანარჩენ სახელმწიფოებზე ბატონობისათვის. არავითარ სხვა როლს ერთა ლიგა არ თამაშობდა და არც თამაშობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მავნე ილუზიებს, რომლებიც შექმნილია თვით ერთა ლიგის არსებობის გამო. განიარაღების კონფერენციის მოწვევით ერთა ლიგა ცდილობს თავის პაციფიზმის დამტკიცებას. გაისმოდა ხმები, რომ თუ კონფერენციის მოწვევა არ მოხერხდა, ის უშედეგოდ გათავდება, უმთავრესად იმიტომ, რომ მასში საბჭოთა კავშირი არ ღებულობს მონაწილეობას. განიარაღების კონფერენციის უნაყოფობა უკვე დაამტკიცა მის წინასწარ მოსამზადებელმა მუშაობამ. ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს პრინციპიალური შეხედულება განიარაღების საკითხზე. მე ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქცევი, თუ კიდევ ეხლა დავადასტურებ ჩვენს დეკლარაციას, სახელდობრ: ჩვენ თანახმა ვართ და მოუწოდებთ სხვა სახელმწიფოებსაც მიიღონ რადიკალური ზომები ომის შესაძლებლობისა და შეიარაღების წინააღმდეგ, რისთვისაც წინადადებას ვიძლევით: სრულიად გაუქმდეს მუდმივი არმიები, სამხედრო მრეწველობა და დაწესდეს ხალხის წარმომადგენლების—მუშების, პროფესიონალურ ორგანიზაციების და გლეხების კონტროლი. ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ ეს კონტროლი გავრცელდეს იმ საფინანსო რესურსებზედაც, რაც ომის მომზადებას შეიძლება მოხმარდეს.

ამავე წარმომადგენლებს საჭიროა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არც ერთი კაპეიკი არ მოხმარდეს ერთი კაცის მიერ მეორეს მოსპობის მზადებას. ჩვენ გულწრფელად მოუწოდებთ აქეთკენ ყველა სახელმწიფოებს (ტაში).

ეკონომიური დამოკიდებულება უცხოეთთან

ყოველივე იმიდან, რაც მე ვსთქვი, შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად დაჭიმულია საერთაშორისო ურთიერთობა. ყველა ამ გართულებებს საერთაშორისო პოლიტიკის დარგში სარჩულად უდევს სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნების და ჯგუფების ბრძოლა ძველი ბაზრების შენარჩუნებისა და ახლების დაპყრობისათვის. ამ მხრივ ამბები ჩინეთში და ხშირი აჯანყებები დანარჩენ კოლონიალურ ქვეყნებში მოწმობენ იმას, თუ რამდენად მწვავედ სდგას კაპიტალიზმის წინაშე საკითხი მისი კოლონიალური პოლიტიკის შემდგომ ბედის შესახებ.

კაპიტალიზმი გადადის გაფართოებული მეთოქების ახალ მეთოდებზე წარმოების რაციონალიზაციის ნიადაგზე. კაპიტალიზმის პირობებში ეს რაციონალიზაცია დაკავშირებულია უმუშევრობის და სამუშაო დღის შემცირებასთან. ეს განსაზღვრავს კლასობრივ წინააღმდეგობათა აუცილებელ გამწვავებას კაპიტალისტურ ქვეყნების შიგნით. კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ეკონომიურ ურთიერთობაში ეს ბრძოლა ბაზრებისათვის იწვევს პროტექციონიზმს, როგორც სისტემას, რომლითაც თვითეულ ცალკე ქვეყნის ბურჟუაზია ინარჩუნებს შინაურ ბაზარს. მათი ამ ეკონომიური ბრძოლის და კაპიტალიზმის სისტემის საერთო-სამეურნეო კრიზისის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს პოლიტიკური ურთიერთობა ბურჟუაზიას შორის. მაგრამ ეს ბრძოლა ცალკე ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და მათ გაერთიანებებს შორის სრულებითაც არ სპობს ცდებს ცალკე სახელმწიფოებს შორის, მიუხედავათ ამ წინააღმდეგობებისა, შექმნან კაპიტალიზმის ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როგორია ჩვენი პოლიტიკის ის პრინციპები, რომელთაც ჩვენ ვატარებდით მთელს განვლილ პერიოდში და რომლებიც, მთავრობის აზრით, სავალდებულოა შემდეგშიაც. სახეში უნდა ვიქონიოთ ორი ძირითადი ფაქტორი ეგრედ წოდებულ „რუსეთის საკითხში". პირველი ფაქტორია საბჭოთა კავშირით ეკონომიური დაინტერესების ზრდა, საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერების განმტკიცებისა, გაძლიერებისა და ბაზრის გაფართოების გამო. მეორე ფაქტორია—ანტაგონიზმის ზრდა საბჭოთა კავშირისადმი, რამდენადაც ძლიერდება უკანასკნელის საერთაშორისო მნიშვნელობა და პოლიტიკური გავლენა.

მშვიდობიანობისათვის ბრძოლასთან ერთად და პარალელურად ჩვენ, რასაკვირველია, საგარეო ვაჭრობის სრული მონოპოლიის შენარჩუნებით, ყოველ მხრივ განვავითარებთ სავაჭრო ურთიერთობას და ყოველმხრივ ხელს შეუწყობთ ტეხნიკურ და საკონცესიო კავშირის გაძლიერებას ჩვენს სახელმწიფოსა და სხვა ქვეყნებს შორის. საკონცესიო პოლიტიკის დარგში უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მომენტებს, რომელთა გამოყენება სცადეს იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა კავშირთან მუშაობა შეუძლებელია. ამის საბაბი გახდა ის, რომ უკანასკნელ დროს მოხდა რამდენიმე სადროს მოხდა რამდენიმე საკონცესიო წარმოების ლიკვიდაცია. სავსებით გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ საკონცესიო წარმოებების ჩაშლის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მათ მოინდომეს მუშაობა ჩვენი სახელმწიფო და სხვა საბჭოთა ბანკების ფულით,

ჩვენი ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან

გერმანია

დასასრულ მე შევჩერდები ჩვენს ურთიერთობაზე ევროპის და აზიის ცალკე ქვეყნებთან. უკანასკნელ დროს ჩვენი სახელმწიფოს და გერმანიის ურთიერთობის საკითხს გაცხოველებით არჩევს პრესა, განსაკუთრებით უცხოეთის პრესა. გაცხოველებით არჩევენ საკითხს იმის შესახებ—გადაიტანა თუ არა გერმანიამ თავისი ორიენტაცია აღმოსავლეთიდან დასავლეთზე. მე უნდა განვაცხადო, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, რაპალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, ჩვენ არ გვქონია საბუთი საყვედური ან რაიმე უკმაყოფილება გამოგვეთქვა იმ ურთიერთობით, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. ლოკარნოს კონფერენციასთან და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლასთან დაკავშირებით მთელ რიგ ქვეყნების პრესამ დაიწყო იმის მტკიცება, რომ გერმანიამ იკისრა გაატაროს თავის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალები იმ შემთხვევაში, თუ ამ სახელმწიფოებს სამხედრო კონფლიქტი მოუვათ საბჭოთა კავშირთან. ამის გამო გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ ამგვარი ვალდებულება მას თავის თავზე არ მიუღია. ასეთი განცხადება გააკეთა ოფიციალურად გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა გერმანიის რეიხსტაგში და სპეციალურად ეს აცნობა საბჭოთა კავშირის მთავრობას. ამასთან ერთად საჭიროა ხაზგასმით ითქვას, რომ სამეურნეო და კულტურული კავშირი გერმანიასთან ყოველ წლობით ვითარდება უფრო მეტად, ვინემ რომელიმე სხვა ქვეყანასთან. ამ ხნის განმავლობაში გერმანიის მთავრობამ უზრუნველყო სპეციალური კრედიტები ჩვენი ინდუსტრიალური დაკვეთებისათვის გერმანიაში. კრედიტის პირველი თანხა გაღებულ იქნა 315 მილ. ოქროს მანეთამდე. ეხლა ეს კრედიტები უკვე სავსებით გამოყენებულია და დაკვეთები დანაწილებულია გერმანიის ფაბრიკა-ქარხნებს შორის.

საფრანგეთი

ხანმოკლე შეწყვეტის შემდეგ კვლავ განახლდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციის მუშაობა. საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესების უშუალო მწვავე წინააღმდეგობებს არ აქვთ ადგილი. ეკონომიურ და სამეურნეო მოლაპარაკების დროს საფრანგეთის მთავრობასთან ჩვენ გამოვდივართ იმავე პრინციპებიდან, რომლებიც ჩვენ საფუძვლად დაუდევით მოლაპარაკებას მაკდონალდის მთავრობასთან.

ბალტიის სახელმწიფოები

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში განვლილ პერიოდის განმავლობაში დიდი ადგილი ეჭირა საკითხს ბალტიის სახელმწიფოებთან ურთიერთობის შესახებ. ამ სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადების გზაზე ერთ-ერთ დაბრკოლებას დღემდე წარმოადგენდა ის, რომ პოლონეთს სურდა ყოფილიყო ერთგვარი „მზრუნველი", ანუ „გარანტი" ბალტიის ყველა დანარჩენ ქვეყნებისათვის და ცდილობდა რუმინეთიდან ფინეთამდე შექმნა განუწყვეტელი ჯაჭვი იმ სახელმწიფოების, რომელთაც ჩვენთან შეთანხმება უნდა დაედოთ პოლონეთის საშუალებით და მისი შემწეობით. პოლონეთის მთავრობის ასეთი თვალსაზრისი საბჭოთა კავშირმა უარჰყო და ის ფიქრობს, რომ ბალტიიდან შავ ზღვამდე არსებულ სახელმწიფოების ერთიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში არ შეიძლება მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდეს. ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი უთანხმოება. უკანასკნელ დროს პოლონეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ სასურველია ხელშეკრულების დაჩქარებით დადება, მაგრამ სამწუხაროდ, ამ განცხადებებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თანახმა ვიყავით, ჯერ კიდევ არ მოჰყოლია საკმაოდ სწრაფი ნაბიჯები.

ამას წინად ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება ლიტვასთან თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის შესახებ.

ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის შიგნით მოხდა

ლატვიასთან ჩვენ ინიციალებით ხელი მოვაწერეთ ძირითად ხელშეკრულებას. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება ძირითად ხელშეკრულებასთან დართულ დოკუმენტების საბოლოო რედაქციის შესახებ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში წარმატებით განვითარდება ჩვენი მოლაპარაკება ესტონეთთან და ფინეთთან. ბალტიის სახელმწიფოებთან მეგობრულ პოლიტიკურ ურთიერთობის დამყარებასთან ერთად ჩვენ ვცდილობთ გავაღრმავოთ აგრეთვე ეკონომიური ურთიერთობა.

პრინციპები, რომლებიც ჩვენ საფუძვლად დაუდევით მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ ლატვიასთან, ჩვენი მზადყოფნა საექსპორტო საიმპორტო ოპერაციების გაფართოვებ. და ლატვიისათვის მთელ რიგ დაკვეთების გადაცემაზე, საუკეთესოდ ამტკიცებს საბჭოთა კავშირის სურვილს არა სიტყვით, არამედ საქმით გააღრმავოს ეკონომიური ურთიერთობა ბალტიის მხარის სახელმწიფოებთან.

ოსმალეთი

ურთიერთობა ოსმალეთთან ახლო აღმოსავლეთის ამ უმთავრეს სახელმწიფოსთან, 1921 წ. დადებული ხელშეკრულების შემდეგ, 1925 წ. 17 დეკემბერს დადებულ ხელშეკრულების შემდეგ ურთიერთ ნეიტრალობის შესახებ, და ბოლოს, 1927 წ. დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების შემდეგ, სავსებით დამაკმაყოფილებელია. ეს მშვიდობიანი, კეთილ მეზობლური დამოკიდებულება ოსმალეთთან მით უფრო ამართლებს თავის თავს, რომ არა მარტო ჩვენი კავშირის, არამედ სხვა ქვეყნების მიმართაც, მათ რიცხვში ბალკანეთზე, ოსმალეთი აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას.

სპარსეთი

საბჭოთა პოლიტიკის მიზანია მეგობრულ ურთიერთობის განვითარება სპარსეთთან. რამდენჯერმე ყოფილა შემთხვევა, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მეტი სხვა აღარაფერი გვაკლდა რა, მაგრამ ყოველთვის ეს რატომღაც იფუშებოდა. ამჟამად მოსკოვში იმყოფება სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანსარი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა უშუალო მოლაპარაკების წარმოების მიზნით სპარსეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მისი უშუალო მონაწილეობა გამოიღებს ჯეროვან ნაყოფს და ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება.

ავღანისტანი

ავღანისტანთან ამას წინად ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას ურთიერთ ნეიტრალიტეტის შესახებ. ეს ხელშეკრულება უკვე დამტკიცებულია ორივე მთავრობის მიერ. მოხდა რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლა და ხელშეკრულება უკვე ძალაში შევიდა. საჭიროა მივიღოთ ზომები, რომ ამ ხელშეკრულებამ ურთიერთ ნეიტრალიტეტის შესახებ ხელი შეუწყოს ეკონომიური ურთიერთობის გაფართოვებას ორივე სახელმწიფოს შორის.

იაპონია

შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის შენარჩუნება ბევრად დამოკიდებულია იაპონიისაგან. მშვიდობიანობის შენარჩუნება აღმოსავლეთში დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორი ურთიერთობა იქნება აღმოსავლეთის სამი ქვეყნის—იაპონიასა, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის. გამოდის რა აქედან, საბჭოთა კავშირის მთავრობა სცდილობს მშვიდობიან ურთიერთობის განვითარებას იაპონიასთან და იმ საკითხების მოწესრიგებას, რომლების გარშემო დღემდე სწარმოებს მოლაპარაკება ორივე მთავრობას შორის. რაიმე სერიოზულ უთანხმოებას ჩვენსა და იაპონიას შორის არა აქვს ადგილი. ამიტომ ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე დიდ დაბრკოლებას იაპონიასთან პოლიტიკური ხელშეკრულების დასადებად.

მტრებს იმედები არ გაუმართლდებათ

ყველა ზემო ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ჩვენი დიპლომატიის მთელ რიგ მიღწევებთან ერთად — ზოგიერთ სახელმწიფოებთან ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესება და განვითარება, ზოგიერთებთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა — საერთო მსოფლიოო მდგომარეობა ბევრად უფრო სახიფათოა საბჭოთა კავშირისთვის, ვიდრე ეს იყო წინა ყრილობის დროს.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ რამდენადაც კაპიტალისტური სისტემა თავის განვითარებაში შეხვდება უფრო მწვავე სიძნელეებს, რამდენადაც, ეგრედ წოდებული, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია უფრო საეჭვო და უფრო მერყევი გახდება, იმდენად კაპიტალისტური წრეები შეეცდებიან, რომ პასუხისმგებლობა ამ დამარცხებისათვის როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო პოლიტიკის დარგში — მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გადაიტანონ საბჭოების რესპუბლიკაზე.

რამდენადაც ჩინეთის მოძრაობა განვითარდება მეგობრობისა და თანაგრძნობის ნიშნის ქვეშ ჩვენს სახელმწიფოს მიმართ და რამდენადაც ყოველი რევოლიუციონურ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა და ყოველი მუშათა კლასიური მოძრაობა განვითარდება იმავე ლოზუნგით, იმდენად გახშირდება კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სრულებით შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დღეს, როდესაც იმპერიალიზმის ბედი საფრთხეშია, დღითი - დღე იზრდება აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გამოიწვევს თუ არა ეს აგრესია სამხედრო ავანტიურებს ჩვენს წინააღმდეგ—ამის თქმა ამჟამად არავის არ შეუძლია. ორი სისტემის: სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ქიშპობის გრძელ ისტორიულ გზაზე, რასაკვირველია, შესაძლებელია შეიარაღებული შეტაკება ამ ორ სისტემას შორის.

საკავშირო მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს, რომ მომზადებულად დახვდეს მოსალოდნელ თავდასხმას.

ყოველგვარ მტრულ კომბინაციებს ჩვენ დაუპირდაპირებთ მშვიდობიანობის ურყევ, მტკიცე პოლიტიკას. მაგრამ ამ პოლიტიკის გატარების დროს არც მთავრობას და არც რომელიმე აქ დამსწრეთაგანს ვერავინ ვერ მისცემს იმის გარანტიას, რომ სოციალიზმის ტერიტორია არ გახდება თავდასხმის საგნად. ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველი უარესი შემთხვევისათვის. (მქუხარე ტაში).

(ამხ. რიკოვის მოხსენების მეორე ნაწილი მიღებული არ არის)

ყრილობის დღიური

საკავშირო საბჭოთა ყრილობის 19 აპრილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო.

20 აპრილის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ორახელაშვილმა, არტიუშინმა (არხანგელის გუბერნიის გლეხი), მიტროფანოვმა (მოსკოვის გუბერნიის გლეხი) ჩუბარმა (უკრაინის სახალხო კომისართა თავმჯდომარე), ბორისოვამ (მუშა-ქალი), ახუნ ბაბაევმა (უზბეკისტანის ცაკის თავმჯდომარე), კალიემ (მუშა), ბურიამმა (უკრაინის წარმომადგენელმა), კლიმენკომ (ჩრდილო-კავკასია), ადამოვიჩმა (ბელორუსიის სახალხო კომისართა თავმჯდომარე), გავრილოვმა (უკრაინა), ლიუბიმოვმა, მალანოვიჩმა, პარამონოვმა, პროფესორმა ბახმა, მოროზოვმა, ლიუბჩენკომ, დანიელიანმა, ანაბაევმა; ლესიცკიმ; მამედ-ქერიმ-საფიკურდოღლიმ (აზერბეიჯანი), კოკეევმა (კალმიკელი გლეხი), სტარიმ, ლარინმა, მანსუროვმა და სხ.

20 აპრილის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რიკოვმა.

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია, რომელიც სავსებით იწონებს მთავრობის მუშაობას.

(ადს).

ნაციონალური მთავრობის ბრძანება ჩან-კაი-შის დაპატიმრების შესახებ

ფინ-იუი-სიანი დანიშნულია ნაციონალური ჯარების მთავარ სარდლათ

ჩან-კაი-შის წინაალმდეგ გაიგზავნა ჯარები ტან-შენ-ჯის მეთაურობით

არმიის უმრავლესობა ნაციონალური მთავრობის მხარეზეა.—შანხაელი მუშები განაგრძობენ ბრძოლას

ჩინეთის ნაციონალური მთავრობა რევოლიუციის სადარაჯოზე

ბრძანება ჩან-კაი-შის დაპატიმრების შესახებ

ნიუ-იორკი, 20 აპრილი. „ასოშიეიტედ პრესის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ უხანის მთავრობამ გადააყენა ჩან-კაი-ში და გასცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ.

ფინ-იუი-სიანი ნაციონალური ჯარების მთავარ-სარდალი

ნიუ-იორკი, 20 აპრილი. ნაციონალური არმიის მთავარ-სარდლად დანიშნულია ფინ-იუი-სიანი; მის თანაშემწეთ ტან-შენ-ჩჟი. ტან-შენ-ჩჟის მიეცა ბრძანება გაილაშქროს ნანკინზე ჩან-კაი-შის წინაალმდეგ.

უხანსა და ნანკინს შორის ურთიერთობა გაწყვეტილია

შანხაი, 19 აპრილი. ნანკინიდან და ხანკოუდან მეტად მცირე ცნობები მოდის. ამ მცირე ცნობების შემოწმებაც შეუძლებელია. ხანკოუდან დეპეშები არ არის. გაზეთების ცნობები არ შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნოდ, მაგრამ ნათელია, რომ ურთიერთობის გაწყვეტა უხანსა და ხანკოუს შორის მომხდარი ფაქტია. დაწყებულია სამზადისი შეიარაღებული ბრძოლისათვის.

ქვორუმის უქონლობის გამო, გომინდანის აღმასკომის პლენუმი ნანკინში, როგორც სჩანს, არ შემდგარა. ფორმალური მხარეს დასაცავად კვლავ გაეგზავნა მიპატიჟება ვან-ტინ-ვეისა და ტაზენ-კაის. გამოცხადებულია, რომ გომინდანის აღმასკომი ნანჩანიდან ნანკინში იქნება გადატანილი და რომ პარტიის აღმასკომის მოქმედება ხანკოუში უკანონოა და მის განკარგულებებს არა აქვს ძალა.

შედგენილია ახალი მთავრობა, რომელშიც, ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობებით შევიდენ: ჩან-კაი-ში, ჩაცზუ-ცზიანი, ხუ-ხან-მინი და ჩენ-მინ-იუ. ცნობა, თუ როგორ არის განაწილებული სამინისტრო პორტფელები, ჯერ არ მოიპოვება.

ინგლისური გაზეთები, როგორც ჩანს, საკონსულოების მიერ მიღებული ცნობების თანახმად, იუწყებიან, რომ უხანის მთავრობამ გამოსცა სამი ბრძანება: ჩან-კაი-შის გადაყენების, მისი პარტიიდან გამორიცხვის და პასუხისგებაში მიცემის შესახებ; მთავარ-სარდლათ ფინ-იუი-სიანის და მის თანაშემწეთ ტან-შენ-ჩჟის (ხუნანის და ხუბეის პროვინციის ჯარების სარდალი) დანიშვნისა და ნანკინზე გალაშქრების შესახებ. ჩან-კაი-შის წინაალმდეგ ოპერაციების წარმოება მინდობილ ტან-ჩენ-ჯეის.

ინგლისური გაზეთებიც კი აღიარებენ, რომ არმიის უდიდესი ნაწილი უხანის მთავრობის მხარეზეა.

გადამწყვეტი ბრძოლის წინ

შანხაი, 20 აპრილი. გაზეთების ცნობით, სამხრეთელები და ჩრდილოელები თავს უყრიან ჯარებს იან-ცზი-ცზიანის გაწვრივ ანცინსა და ნანკინს შუა, უმთავრესად ვუხუს რაიონში, სადაც მოსალოდნელია შეტაკება. (ადს).

უცხოელების სამხედრო გემები

შანხაი, 19 აპრილი. უცხოელების სამხედრო გემების გაგზავნა მდინარე იან-ცზის სათავისაკენ გრძელდება. უცხოელების სამხედრო გემების საგრძნობი რაოდენობა იმყოფება აგრეთვე ცზიუ-ცზიანში, ნანკინში ჩინ-ცზიანში და კუ-ხუში. რამოდენიმე სამხედრო გემი სადარაჯოდ არის დანიშნული ხანკოუსა და შანხაის შორის. (ადს)

პროლეტარული ორგანიზაციების დევნა გრძელდება

ნიუ-იორკი, 20 აპრილი. მუშათა და კომუნისტური ორგანიზაციების დევნა სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებში გრძელდება. მიუხედავათ დევნისა, მასების განწყობილება მაინც მტკიცეა. კომუნისტებმა, მიუხედავათ იმისა, რომ იძულებული შეიქნენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვენ, პროფკავშირებში შეინარჩუნეს გავლენა.

ჩინეთის ბურჟუაზიული და უცხოეთის გაზეთების ცნობა შანხაის პროფკავშირებისა და კომუნისტური ორგანიზაციების სრულიად განადგურების შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. უკანასკნელი გაფიცვა შანხაიში შეწყვეტილია პროფსაბჭოს მიერ და არა მის გარეშე. მიუხედავათ საყოველთაო გაფიცვის მოხსნისა, ეკონომიური ბრძოლა ძლიერდება. გაფიცულია 85,000 მუშა, რომლებმაც ეკონომიური მოთხოვნილებები წამოაყენეს. 15,000 გაფიცული დათხოვნილია სამსახურიდან, უმთავრესად უცხოელთა წარმოებებში.

ჩან-კაი-შიმ თავის ბრძანებაში ტაქტიკური მოსაზრებებით აღუთქვამს მუშებს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. პროფმოძრაობის ლიდერები აცხადებენ, რომ მუშები განაგრძობენ ბრძოლას ძველი, გამოცდილი მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

გერმანიის პრესა ჩან-კაი-შის ღალატის შესახებ

ბერლინი, 19 აპრილი. ეხება რა ჩან-კაი-შის მიერ ნანკინში ახალი მთავრობის შედგენას გერმანიის სოც.-დემოკრატების ცენტრალური ორგანო „ფორვერტს" სწერს:

„ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ნაციონალურ-სოციალური მოძრაობის ნაცვლად სამხრეთ-ჩინეთში გამეფდა ანარქია, დღემდე ჩინეთის ნაციონალური მოძრაობა იძულებულს ხდიდა იმპერიალიზმს დაეკავებია თავდაცვითი პოზიცია, მაგრამ მოძრაობის ლოკალიზაციამ გამოიწვია მისი (მოძრაობის) დაშლა. ამასთან დაკავშირებით იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ განაახლეს ბრძოლა თავის პრივილეგიების შესანარჩუნებლად ჩინეთში".

იმპერიალისტების იმედები

შანხაი, 20 აპრილი. ადგილობრივი გაზეთი „ჩაინა პრეს" სწერს:

„ნანკინის მთავრობის ერთ-ერთი უახლოეს ამოცანას წარმოადგენს ჩინეთის პოლიტიკაში საბჭოთა კომუნისტური ჩარევის მოსპობა. ეს განზრახვა უნდა მივესალმოთ, ვინაიდან ამან შეიძლება მოგვიყვანოს ჩრდილოელების და სამხრეთელების ბელადების გაერთიანებამდე. ჩან-ძო-ლინმა არა ერთხელ განუცხადებია, რომ მზად არის დაუყოვნებლივ ზავი ჩამოაგდოს, თუ საბჭოთა გავლენა განიდევნება გომინდანიდან". (ადს).

ჩან-კაი-შის ახალი მინისტრი

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. „ასოშიეიტედ პრესი"-ს სააგენტოს ცნობით, ჩან-კაი-შიმ ფინანსთა მინისტრად დანიშნა გუი-ინ-ფანი.

შანხაის ინტერვენციის გეგმა

ნიუ-იორკი, 20 აპრილი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი"-ს ცნობით, უცხოეთის სამხედრო სარდლობა შანხაიში ამუშავებს საერთაშორისო უბნის ტერიტორიის გაფართოების გეგმას; ამ გეგმის მიხედვით საერთაშორისო უბნის ტერიტორიაში შეტანილ იქნება შანხაის ყველა გარეუბნები, ამ რაიონიდან განიდევნება ჩინეთის ჯარები და განიარაღებულ იქნება ჩინელი აგიტატორები. (ადს).

ა. ბარბიუსის წერილი

პარიზი, 20 აპრილი. საფრანგეთის მოქმედების კომიტეტის მიერ დაწყებულ კამპანიასთან დაკავშირებით, ანრი ბარბიუსმა საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ჰუმანიტეში" გამოაქვეყნა წერილი სათაურით „დადგა დიადი დღეები".

„აზიის და აფრიკის მრავალ მილიონიანი მოსახლეობა — სწერს ბარბიუსი — ენერგიულად აღსდგა ინგლის-საქსონის ბატონობის წინააღმდეგ. ეხლა მდგომარეობა გარკვეული და ნათელია: ჩინელები, მაროკოელები, ინდოელები, ინდოჩინელები და ყველა აფრიკელები იბრძვიან სოციალური განთავისუფლების ერთ და იმავე იდეისათვის. ჩვენ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ დატანჯულ ერების გასრესის ცდას. პროლეტარიატი ჯარისკაცთა მუნდირში, ე. ი. არმია არ უნდა გამოვიდეს თავის-თავის წინააღმდეგ. საერთაშორისო ბანდიტებს ჩვენ უნდა მივაძახოთ „ხელები შორს ჩინეთიდან"! ჯარისკაცებს კი: „დაჰყარეთ იარაღი აჯანყებული ერების წინაშე!" (ადს).

შვეიცარიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი, 19 აპრილი. 18 აპრილს ბაზელში შესდგა შვეიცარიის კომპარტიის ყრილობა: ყრილობაზე გამოვიდა პარტიის ცეკას წევრი ველში, რომელიც მიესალმა რევოლიუციის წარმატებებს ჩინეთში და ოქტომბრის რევოლიუციის მომავალ ათი წლის თავს. ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და გამოსთქვას თავისი სოლიდარობა ჩინეთის რევოლიუციისადმი.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ესალმება საბჭოთა კავშირის და შვეიცარიის კონფლიქტების მოგვარებას. რეზოლიუცია მოითხოვს შვეიცარიის მიერ საბჭოთა მთავრობის ოფიციალურად ცნობას.

პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა ველტი, რომელმაც დაახასიათა შვეიცარიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ველტის შემდეგ მოხსენებით საორგანიზაციო საკითხების შესახებ გამოვიდა ბადემანი. (ადს)

უმსგავსო და ლაჩრული კანონპროექტი

მუშათა პარტიის ლიდერი მექსტონი პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონპროექტის შესახებ

ლონდონი, 19 აპრილი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციის თავმჯდომარემ ლისტრში მექსტონმა განაცხადა, რომ მთავრობის კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ არის „უმსგავსო და ლაჩრული". მექსტონმა დასძინა, რომ საჭიროა ენერგიული მუშაობა იმისათვის, რომ შევქმნათ ყოვლის შემცველი ინტერნაციონალი, რომელშიაც შევა როგორც კომინტერნი, ისე მე-2-ე ინტერნაციონალი. ეს მუშაობა, მექსტონის სიტყვით, ეხლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩინელი მუშები ეწევიან.

კონფერენციის სხდომაზე მექსტონმა განაცხადა, რომ მიღებულია დეპეშა ინგლისის კომპარტიისაგან, მაგრამ დეპეშის შინაარსი მექსტონმა არ გამოაქვეყნა იმის მომიზეზებით, რომ ის „ძალიან გრძელია".

კონფერენციის წევრების დახურულ თათბირზე ირჩეოდა გადაწყვეტილება, გამოტანილი დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომის მიერ, რომელმაც უარი სთქვა მუშათა პარტიის ხაზინადარის თანამდებობაზე მაკდონალდის კანდიდატურის წამოყენებაზე. აღმასკომის გადაწყვეტილება მოწონებულ იქნა 312 ხმით 118-ს წინააღმდეგ.

კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს კანონპროექტს, პროფკავშირების შესახებ და მოითხოვს, რომ მოხდეს ამომრჩეველთა დაკითხვა პარლამენტის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის გზით.

კონფერენციის მიერ მიღებულიქნა რეზოლიუცია ჩინეთის საკითხის შესახებ: რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს ინგლისის სამხედრო ღონისძიებათა წინააღმდეგ ჩინეთში და მოითხოვს ჩინეთის სრული დამოუკიდებლობის ცნობას, უარის თქმას ექსტერიტორიალობის პრივილეგიებზე და ინგლისის ჯარების და სამხედრო გემების გაყვანას ჩინეთიდან.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის თავმჯდომარედ ხელახლად არჩეულია მექსტონი. პარტიის სრულიად ინგლისის აღმასკომის წევრებად: კირკვუდი, უოლხედი, მოსლი და შერლინი. (ადს)

სამხრეთ-სლავიის მთავრობა

ვენა, 19 აპრილი. ვუკიჩევიჩმა შეადგინა კოალიციონური მთავრობა რადიკალებისა და დემოკრატიულ კავშირების წარმომადგენლებისაგან. პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის და განათლების დროებით მინისტრის პორთფელები ჩაიბარა ვუკიჩევიჩმა. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია დემოკრატი მარინკოვიჩი. კაბინეტს აქვს წმინდა სერბიული ხასიათი, ვინაიდან ყველა მინისტრები, გარდა ბოსნიაკისა და სპაჰოსი,—სერბიელები არიან. ახალმა კაბინეტმა პირველ ყოვლისა თავი დააღწია სკუპშჩინის კონტროლს: კაბინეტის შედგენის შემდეგ გამოქვეყნდა მეფის დეკრეტი, რომელიც დათხოვნილად აცხადებს სკუპშჩინას 1 აგვისტომდე. როგორც სჩანს, ახალი მთავრობა ეცდება შეინარჩუნოს მოქმედების თავისუფლება საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში. მაგრამ შესაძლებელია დათმობაზე წავიდეს იტალიასთან სლოვენსკის და ხორვატიის ბურჟუაზიის ხარჯზე. (ადს).

ახალგაზრდობა სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ

ბერლინი, 19 აპრილი. კომკავშირის ლეიპციგის ორგანიზაციის ინიციატივით მოხდა მუშა-ახალგაზრდობის დიდი დემონსტრაცია იმპერიალისტურ ომის საფრთხის, რეაქციის წინააღმდეგ და აგრეთვე სოლიდარობის ნიშნად ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთადმი. მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული ბელადების კატეგორიული აკრძალვისა, დემონსტრაციაში მრავალმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშა-ახალგაზრდობამ მიიღო მონაწილეობა. (ადს).

პროფკავშირების დევნა

ვენა, 19 აპრილი. რუმინეთის მთავრობამ წინადადება მისცა პროკურატურას დაითხოვოს უნიტარული პროფკავშირები და დახუროს მათი შენობები ბუქარესტში. ეს განკარგულება გაცემულ იქნა 1924 წლის კანონის მიხედვით, რომლითაც პროფკავშირებს ეკრძალებათ პოლიტიკური მუშაობა. უნიტარულმა პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ მათი უკანონოდ დათხოვნის წინააღმდეგ. (ადს).

რაპალოს ხელშეკრულების 5 წლის თავი

ბერლინი, 19 აპრილი. გერმანიის გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე აქვეყნებენ იმ დეპეშებს, რომლებიც გაუგზავნეს ერთმანეთს ლიტვინოვმა და შტრეზემანმა რაპალოს ხელშეკრულების დადების დღიდან 5 წ. შესრულების გამო.

უკან-საბჭ. კავშირისაკენ

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. „ასოშიეიტედ პრესი"-ს სააგენტოს ცნობით, რუსი კოლონისტები, რომლებიც დიდი ხანი სცხოვრობდენ ურუგვაიში, საბჭოთა კავშირში ბრუნდებიან. 11 აპრილს მონტევიდეოდან საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა 30 ოჯახი, სულ 159 კაცი. (ადს).

ახალი მთავრობა იაპონიაში

ტოკიო, 19 აპრილი. შიმბუნ-რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ტანაკას კაბინეტი საბოლოოდ შესდგა. პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი—ტანაკა.

შენიშვნა: გენერალი ტანაკა, სეიუკაის პარტიის თავმჯდომარეა. სამხედრო მინისტრად იყო ხარას კაბინეტში, ციმბირის ექსპედიციის პერიოდში. (ადს).

იაპონიის ახალი მთავრობის პოლიტიკა

შანხაი, 20 აპრილი. შანხაის პრესა ეხება იაპონიის მთავრობის შექმნას გენერალ ტანაკას მეთაურობით და შესაძლებლად სთვლის იაპონიის პოლიტიკის შეცვლას ჩინეთში. პრესის აზრით, ეხლა იაპონიის პოლიტიკა ჩინეთში უფრო მეტად შეთანხმებული იქნება ინგლის-ამერიკის პოლიტიკასთან. (ადს).

საკოსა და ვანცეტის დასაცავად

ბერლინი, 19 აპრილი. გაზეთების ცნობით, გერმანიის „პაციფისტურ ორგანიზაციების გაერთიანების დეპუტაციას პროფესორ კვიდეს მეთაურობით სურდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩისათვის ბერლინში გადაეცა პროტესტი საკოს და ვანცეტის დახვრეტის განზრახვის გამო. ელჩმა უარი სთქვა დეპუტაციის მიღებაზე.

სოციალ-ჩამომხრჩობი

ლონდონი, 20 აპრილი. „დეილი ქრონიკლი" იუწყება, რომ მაკდონალდმა, რომელიც ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, მწუხარება გამოსთქვა ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის 22 წევრის იმ დეპეშის გამო, რომელიც მოითხოვდა საკოს და ვანცეტის განთავისუფლებას. „ეს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების წმინდა შინაური საქმეა,—სთქვა მაკდონალდმა,—და გარედან არავინ არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში". (ადს).

ხელფასის დაკლების წინააღმდეგ

პარიზი, 20 აპრ. ლუარის ნახშირის წარმოების მთავარ ცენტრებში, სამთამადნო მუშათა უნიტარულ ფედერაციის ინიციატივით, გამართა მიტინგები, რომლებთაც მიიღეს რეზოლიუცია მოწოდებით სამთამადნო მუშათა სამუშაო ხელფასის დაკლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

24 აპრილს უნიტარული ფედერაცია საფრანგეთის ნახშირის მრეწველობის ყველა ცენტრებში აწყობს მანიფესტაციებს საფრანგეთის სამთამადნო მუშათა საყოველთაო გაფიცვის მოსამზადებლად. (ადს).

მუშა-მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი

ბერლინი, 19 აპრილი. მუშა-მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი დასრულდა. პირველი ადგილი დაიკავა ილინ-ჟენევსკიმ (საბჭოთა კავშირი), მეორე — ფიშარმა (ავსტრია) მესამე — შახმა (გერმანია).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ქვანახშირი

მოსკოვი, 20 აპრილი. ბაიკალის იქითა რკინისგზის ხაზის სადგ. ბუშულეიდან 30 კლმ. მოშორებით აღმოჩენილია ქვანახშირის ახალი ფენა, სისქით 3,5 საჟ. (ადს).

წყალდიდობა

ტიუმენი, 20 აპრილი. რკინისგზის ლიანდაგის წალეკვის გამო, შესწყდა მიმოსვლა ტიუმენსა და სვერდლოვსკს შორის. გზის შეკეთება სწარმოებს.

ტამბოვსკი. 20 აპრილი. წყალმა დაფარა მუშათა უბანი რასკაზოვო. წყალდიდობისაგან დანგრეულია 100 სახლი. ზოგიერთი სახლი ძირიანად არის წალეკილი. დახმარების გაწევის დროს დაილუპა სამი მუშა. (ადს).

კატერის დაღუპვა

დონის როსტოვი, 20 აპრილი. როსტოვის ნავთსადგურში დაილუპა კატერი. კატერის დაღუპვის ადგილზე მუშაობს მეზღვაურთა რაზმი. კატერის მთელი კომანდიდან გადარჩენილია მხოლოდ 4 მეზღვაური. (ადს).

კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება

მოსკოვი, 20 აპრილი. გაერთიანებულმა სახელმწ. პოლიტსამმართველომ მოსკოვში აღმოაჩინა და ლიკვიდაცია მოუხდინა მონარქისტულ ჯგუფს, რომელიც თავის-თავს ყოფილ დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მომხრეს უწოდებდა. ჯგუფს, როგორც ეს სჩანს ხელში ჩაგდებული მასალებიდან, კავშირი არ ჰქონია მოსახლეობის არც ერთ ფენასთან და სამხედრო შპიონაჟს ეწეოდა უცხოეთის ზოგიერთი უფრო აქტიური მზვერავების სასარგებლოდ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ეს კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი ფულს იღებდა უცხოეთის წყაროებიდან. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო პარიზში მყოფი თეთრი ჯარის გენერალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მომხრე—მონარქისტი კუტეპოვი. გამოძიების მასალები და დაპატიმრებულების ჩვენებანი ამტკიცებენ, რომ უცხოეთის მზვერავები დიდად იყვენ დაინტერესებული არა მარტო სამხედრო შპიონაჟის წარმოებაში, არამედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციების შექმნაში საბჭოთა კავშირის შიგნით.

მაგრამ გამოძიების მასალებიდან სჩანს, რომ ამ ცდებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

გამოძიება გვპირდება გამოაქვეყნოს ახალი მასალა, რომელიც გამოამჟღავნებს ყოფილ გენერალ კუტეპოვის მონარქიული ჯგუფების ფინანსიურ მახინაციებს და კავშირს საზღვარგარეთთან. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მოგზაური გენცლერი ბაქოში

ბაქო, 20 აპრილი. ბაქოში შეჩერდა გერმანელი ქვეითი მოგზაური გენცლერი, რომელიც გერმანიიდან გამოვიდა 1921 წლის თებერვლის დასაწყისში. ექვსი წლის განმავლობაში იგი აპირებდა მსოფლიოს ირგვლივ შემოვლას. შემოიარა მთელი ევროპა, ოსმალეთი და სპარსეთი. ეხლა იგი მიემგზავრება შორეულ აღმოსავლეთში. (ადს).

ახალი ქარხნების აშენება

ბაქო, 20 აპრილი. აზერბეიჯანის ადგილობრივი მრეწველობის ამშენებლობის გეგმით 1927—28 წლისათვის განზრახულია ახალი არყის სახდელი ქარხნის აგება ყუბის მაზრაში, ყინულის და აგურის ქარხნის აგება ხანლარის მაზრაში და ყინულის ქარხნის აგება ყარაბაღში.

სომხეთი

კანალიზაცია ერევანში

ერევანი, 20 აპრილი. ერევნის დამფუძნებელმა საგანგებო კომისიამ აღძრა საკითხი კანალიზაციის მოწყობის შესახებ ერევანში. ამასთან ერთად აგებული იქნება ბიოლოგიური სადგური, ნავეხებიდან წყალის გასაწმენდად. დაწმენდილი წყალი შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსარწყავად. (ადს).

ტრაქტორები

ერევანი, 20 აპრილი. გლეხობა განიცდის ტრაქტორების ნაკლებობას. „აიგიუხკოოპს" 86 ტრაქტორი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მიწის დახვნა ხარ-კამეჩით ღირს 30 მან. „აიგიუხკოოპმა" დაუკვეთა 20 ტრაქტორი. თესვა დაიწყება 1-ლ მაისს. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მთლიანი ფრონტი კომუნისტებთან

პარიზი, 20 აპრილი. სოციალისტების ყრილობის სხდომაზე ლიონში განხილულ იქნა საკითხი რადიკალებთან და კომუნისტებთან დამოკიდებულების შესახებ. უკიდურესი მემარჯვენენი დაჟინებით მოითხოვდენ კომუნისტებიდან გამიჯვნას. ზოგიერთი მათგანი აცხადებდა: „ჩვენ ნაწილობრივ დემოკრატიასაც მევყვებრობით". კომპერ მორელმა განაცხადა: „მე უარს ვამბობ კომუნისტების მტრებად გამოცხადებაზე. მათთან ერთობა აუცილებელია, ვინაიდან არის მხოლოდ ერთი პროლეტარიატი. ჩვენ ძალიან გვსურს ეს ერთობა".

მორენმა, რომელიც უკიდურეს მემარცხენეთა სახელით იცავდა მთლიანი ფრონტის აუცილებლობას, განაცხადა: „თქვენ ეწინააღმდეგებით კომუნისტებთან შეთანხმებას, მაგრამ ქმნით მთლიან ფრონტს ბურჟუაზიასთან.

თქვენ დაუშვით, რომ „სამართლის აღმდგენელ" კონგრესზე მარშალ ფოშის გვერდით იჯდა სოციალისტური პარტიის ცეკას წევრი პუასონი". ამ განცხადებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. რენოდელმა და ფორმა განაცხადეს, რომ მათ ეს არ იცოდენ. ფორმა განაცხადა, რომ იგი მოითხოვს პუასონის დისციპლინარული წესით დასჯას. (ადს).

მიტინგი ბორდოში

პარიზი, 20 აპრილი. საფრანგეთის მოქმედების კომიტეტის ინიციატივით, ბორდოში შესდგა საპროტესტო მიტინგი იმპერიალისტების ომის კამპანიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რევოლიუციის წინააღმდეგ. (ადს).

ესპანეთში რიფების ოლქში

პარიზი, 20 აპრ. ესპანეთის ოფიციალური ცნობაში აღნიშნულია, რომ რიფების აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნილი ჯარები გზაზე სწვავენ და ანადგურებენ აჯანყებულთა სოფლებს. (ადს).

იაპონელ დელეგატების დაპატიმრება

ტოკიო, 20 აპრილი. იაპონიის პოლიციამ დააპატიმრა 5 დელეგატი იმ 12 დელეგატიდან, რომლებიც ამას წინად არჩეულ იქნენ, როგორც იაპონიის მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები წყნარ ოკეანის მუშათა კონგრესზე დასასწრებლად კანტონში. (ადს).

საალყო წესების გაუქმებას მოითხოვენ

ვენა, 19 აპრილი. რუმინეთის ნაციონალურ-გლეხურ პარტიის დეპუტატმა კრაკალთამ მოითხოვა პარლამენტისაგან ბუკოვინაში საალყო წესების გაუქმება, რაც 18 წელია არსებობს და ხელს უხუთავს უმეტესად უკრაინულ მოსახლეობას. (ადს).

მუშათა დამხმარე ორგანიზაციის საერთაშორისო კონგრესის დახურვა

ბერლინი, 20 აპრილი. დაიხურა მუშათა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის კონგრესი. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა მუშათა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ამხ. მიუნცენბერგმა, რომელმაც სხვათაშორის შეიტანა წინადადება, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ სანიტარულ-საექიმო ექსპედიციის მოწყობას გერმანიიდან ჩინეთში. კონგრესმა დაადგინა სასწრაფოდ დაიწყოს თანხების შეგროვება ამ მიზნისათვის. შემდეგ კონგრესმა ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია იმპერიალისტური სახელმწიფოების შეიარაღების გაძლიერების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ომში ჩაბმის ცდების წინააღმდეგ და მოაწყო დემონსტრაცია პროლეტარული სოლიდარობის აღსანიშნავად ყველა იმ პოლიტიკურ პატიმართადმი, რომლებიც ბურჟუაზიული სახელმწიფოების ციხეებში იტანჯებიან. (ადს).

კომუნისტური ლიტერატურის აკრძალვა

პეკინი, 20 აპრილი. პოლიციამ წინადადება მისცა წიგნის ყველა გამყიდველებს, რომ მაღაზიებში არ იქონიონ კომუნისტური ლიტერატურა. (ადს).

14 კომუნისტის დახვრეტა

პეკინი, 20 აპრილი. 18 აპრილს დახვრიტეს 14 ჩინელი კომუნისტი, რომლებიც შარშან იქნენ დაპატიმრებული ინგლისის კონცესიაზე ტიან-ცზინში. (ადს).

მოლაპარაკო კონფერენცია ჩაიშალა

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. გაზეთ „ბალტიმორა სენი"-ს ცნობით, მემარჯვენე გომინდანელთა ნანკინის კონფერენცია ჩაიშალა, ვინაიდან ნაციონალისტების ყველა არა სამხედრო ბელადებმა უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე. ეროვნული მთავრობის ფინანსთა მინისტრი სუნ-ცზე-ვენი არ სცნობს ჩან-კაი-შის და უარი განაცხადა ჩან-კაი-შის მიერ გამოცემულ ფინანსიურ ღონისძიებათა დამტკიცებაზე. ჩან-კაი-ში შეუდგა ბანკებისა და სახაზო დაწესებულებათა ხელში ჩაგდებას. (ადს)).

კომუნისტური პროპაგანდის შიშით

პარიზი, 20 აპრილი. შინაგან საქმეთა მინისტრმა სარომ კომუნისტურ პროპაგანდასთან ბრძოლის მიზნით განკარგულება მისცა ხელისუფლების ორგანოებს, რომ თვალყური ადევნონ ომში ყოფილ მონაწილეთა რევოლიუციონური კავშირის მუშაობას, [illegible] კომუნისტების სიები, შეუთანხმდენ ყოფილ ჯარისკაცთა კავშირს და ოფიცერთა კავშირს, კომუნისტებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და არ მიიღონ მოთადარიგეთა განცხადებანი, რომელნიც კომუნისტების გავლენით იქნება დაწერილი. (ადს).

ჩან-კაი-შის ეარშიყებიან

ლონდონი, 20 აპრილი. „დეილი ჰერალდი"-ს ცნობით, ინგლისის მთავრობა განიხილავს ჩან-კაი-შის ნანკინის მთავრობის ცნობის საკითხს. „ინგლისი, სწერს გაზეთი, მხოლოდ ხანკოუს მთავრობის წინააღმდეგია და არა ჩან-კაი-შის წინააღმდეგი. ამის გამო, აზრი ნანკინის სამხედრო ოკუპაციის შესახებ უკუგდებული იქნება. ერთ-ერთი გეგმათაგანი, რომელსაც ეხლა განიხილავენ, არის ის, რომ ჩინელებს ძალით ჩამოართვან ინგლისის კონცესია ხანკოუში იმ საბაბით, რომ ჩინელებმა არ შეასრულეს შეთანხმება ხანკოუში. გაზეთი გაკვრით ამბობს, რომ ინგლისის სამხედრო გემების გაგზავნა ხანკოუში შესაძლოა, მხოლოდ ეს თავდასხმისათვის მზადებას წარმოადგენს. (ადს).

კიდევ რაზმების გაგზავნა ჩინეთში

ლონდონი, 20 აპრილი. დღეს საუტგემპტონიდან ჩინეთში გაიგზავნა რაზმი 1000 კაცის შემადგენლობით, საჰაერო ესკადრილია, საველე ზარბაზნები და მექანიზაციაქმნილი ტრანსპორტის რაზმი 51 მწვრთნელით. (ადს).

საერთო ენა ვერ გამონახეს

ვაშინგტონი, 19 აპრილი. ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრომ კატეგორიულად უარყო ლონდონისა და პეკინის ცნობები იმის შესახებ, ვითომც სახელმწიფოები შეთანხმდენ ჩინეთის ეროვნული მთავრობისადმი ულტიმატუმის წარდგენის შესახებ. (ადს).

საბჭოთა გემები ინგლისში

ლენინგრადი, 20 აპრილი. ამას წინად აშენებული საზღვაო გემები „ზინოვიევი", „სტალინი" და „15 მარტი" პირველად მიდიან ლენინგრადიდან ინგლისში. (ადს).

ნიაღვარი

სევასტოპოლი, 20 აპრილი. მთელი ყირიმის განმავლობაში განუწყვეტელი წვიმებია. მთის მდინარეები გადმოვიდნენ ნაპირებზე და წალეკეს ბაღები და ბოსტნები. (ადს).

ამხ. რიკოვის სიტყვის კომენტარიები

ლონდონი, 20 აპრილი. ინგლისური გაზეთებიდან მხოლოდ ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტი" უკეთებს კომენტარიებს ამხ. რიკოვის სიტყვას სრ. რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე. გაზეთის აზრით, ეს სიტყვა მოწმობს იმას, საბჭოთა კავშირს ჩინეთის პოლიტიკაში მოგერიებითი პოზიცია უჭირავს. (ადს).

აბდელ-ქერიმის მრჩევლის სასჯელის შესამსუბუქებლად

ბერლინი, 19 აპრილი. აბდ-ელ-ქერიმის ყოფილ მრჩეველს, გერმანელ მოქალაქეს კლემს საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს სიკვდილით დასჯა; მისი დედის მიერ აღძრული შუამდგომლობა პატიების შესახებ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გადაუგზავნა საფრანგეთის მთავრობას და თავის მხრივ თხოვა მსჯავრდადებულისათვის სასჯელის შემსუბუქება. (ადს).

აფეთქება გალაცში

ვენა, 20 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, გალაცში მუშის ბინაზე მოხდა აფეთქება, რომელმაც ხანძარი გამოიწვია. ცეცხლი მოედო მეზობელ სახლს, რომელიც აფეთქდა. მოკლულია 8 კაცი, ბევრია დაჭრილი. პოლიციამ გაჩხრიკა მუშათა უბნები. (ადს).

80 მილიონი დოლარი პოლონეთს

პარიზი, 20 აპრილი. იუწყებიან, რომ პარიზში მოლაპარაკება ამერიკის ბანკის წარმომადგენლებსა და პოლონეთის მთავრობის რწმუნებულებს შორის დამთავრდა შეთანხმებით პოლონეთისათვის სესხის სახით 80 მილიონი დოლარის მიცემის შესახებ. (ადს).)

მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხი

ამხ. დიმიტრიევის წერილი

პატივცემულო ამხანაგო!

გთხოვთ გამოუქვეყნოთ თქვენი ჟურნალის ფურცლებზე შემდეგი საკითხი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს ჩვენში და არ არის საკმაოდ გამორკვეული.

საკითხი შეეხება ჩვენი მთავრობის და სახელმწიფოს სოციალურ შინაარსს.

ამხ. სტალინმა, უპასუხა რა კითხვაზე: „მუშურ-გლეხური მთავრობა—ფაქტიურათ, თუ როგორც სააგიტაციო ლოზუნგი", განაცხადა: „ჩვენი მთავრობა, რომელიც პროლეტარულია თავისი პროგრამით და თავისი მუშაობით, ამასთანავე ერთად, არის მუშურ-გლეხური მთავრობა, ვინაიდან გლეხობის მთავარი მასის ძირითადი ინტერესები მთლიანად და სავსებით ეთანხმება პროლეტარიატის ინტერესებს".

ისმის კითხვა: შეგვიძლია თუ არა ამხ. სტალინის ფორმულას დავეყრდნოთ ჩვენი სახელმწიფოს სოციალური შინაარსის განსაზღვრის დროს, ე. ი. განვსაზღვროთ ჩვენი სახელმწიფო როგორც პროლეტარული თავისი პროგრამით, მიზნებით, მაგრამ ამასთანავე ერთად მუშურ-გლეხური (არა იმიტომ, რომ გლეხობა ძალაუფლების თანამონაწილეა, ყველასათვის აშკარაა, რომ პროლეტარიატი გლეხობას არ უყოფს ძალაუფლებას, არამედ იმიტომ, რომ გლეხობის (მისი მთავარი მასის) ძირითადი ინტერესები ეთანხმება პროლეტარიატის ინტერესებს და აგრეთვე სხვა მიზეზების გამო, რომლებიც ჩამოთვლილია ამხ. სტალინის პასუხში მთავრობის შესახებ).

კამათის დროს გამოირკვა სამი თვალსაზრისი:

1) ამხ. სტალინი არ არის მართალი. ლოზუნგი: „მუშურ-გლეხური მთავრობა" არის მხოლოდ სააგიტაციო ლოზუნგი. სინამდვილეში კი ჩვენი სახელმწიფოც და ჩვენი მთავრობაც არის პროლეტარული და არავითარი „ამასთანავე ერთად" არ შეიძლება აქ მიმატებულ იქნეს, ვინაიდან ეს იქნებოდა „ოსოვშჩინა".

2) ამხ. სტალინი მართალია, როცა უარყოფს იმას, რომ ლოზუნგი „მუშურ-გლეხური მთავრობა" არის მხოლოდ სააგიტაციო ლოზუნგი. ამასთანავე ერთად, ეს ამხანაგები ჩვენი მთავრობის განსაზღვრას, როგორც „მუშურ-გლეხური"- (ამხ. სტალინის ფორმულის მეორე ნაწილი, რომელსაც ისინი ეთანხმებიან), მაინც უმატებენ წინწკლებს და სიტყვებს „ეგრედ წოდებული" და სხვ.

საბოლოოთ მათი თვალსაზრისი ასეთია: ჩვენი სახელმწიფო პროლეტარულია (და მხოლოდ), ხოლო მთავრობა პროლეტარულია, მაგრამ ამასთანავე ერთად, ეგრედ წოდებული „მუშურ-გლეხური" ამხ. სტალინის მიერ ჩამოთვლილ მიზეზების გამო. ეს ამხანაგები სთვლიან, რომ სახელმწიფოს და მთავრობის სოციალური ბუნება შეიძლება იქნეს სრულიად სხვადასხვაგვარი. მაგალითად, ინგლისში სახელმწიფო რჩებოდა კაპიტალისტური, ხოლო მთავრობა იცვლებოდა. იყო მაკდონალდის მუშური მთავრობა (ის ხომ აირჩიეს მუშებმა, რაც ისტორიული ფაქტია), შემდეგ ბალდუინის მთავრობა და სხვ.

მეორე მათი მაგალითი: თუ პროლეტარულმა რევოლიუციამ გაიმარჯვა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის კუნძულზე (უახლოეს ხანში), იქ მთავრობა იქნება მუშური, ჩვენ კი გვყავს მუშურ-გლეხური მთავრობა, ხოლო სახელმწიფო ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც იქნება პროლეტარული.

3) ყველაფერი, რაც სთქვა ამხ. სტალინმა ჩვენი მთავრობის ბუნების შესახებ, შეიძლება ითქვას აგრეთვე ჩვენი სახელმწიფოს სოციალური შინაარსის შესახებ (დაწვრილებით იხ. ზემოთ). ეს ამხანაგები უმწეოდ სთვლიან პირველ შეხედულებას, ვინაიდან მას შეუძლია ზიანი მიაყენოს პარტიას პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის პრობლემისადმი ზერელე მიდგომით. მეორე თვალსაზრისს ახასიათებს ფორმალიზმი (მაგალითად „მაკდონალდოვშჩინა") და ეკლექტიზმი, ვინაიდან მთავრობა და სახელმწიფო ერთი და იგივე სოციალური ხასიათის უნდა იყვეს და ერთის მეორისაგან დაშორება შეუძლებელია.

ვსთხოვ თქვენი ჟურნალის რედაქციას, რომლის მუდმივი მკითხველი ჩვენ ვართ, გვიპასუხოს, რომელი არის ამ შეხედულებებს შორის უფრო სწორი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხში ჯერ კიდევ არსებობს გაურკვევლობა პარტიულებს შორის. ყველა იმ ამხანაგების დანაშაული, რომელნიც აშუქებენ ამ საკითხს მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ეხებიან ან მხოლოდ მთავრობას, ან კიდევ მხოლოდ სახელმწიფოს, და ამიტომ არ იძლევიან საბოლოო პასუხს, სრულიად უშვებენ რა მხედველობიდან, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ამ ორ ცნებას შორის.

ველით პასუხს.
კომუნისტური სალამით
ა. კ. დიმიტრიევი.

ამხ. სტალინის პასუხი

ამხ. დიმიტრიევ!

„ბოლშევიკ"-ში გაგზავნილი თქვენი წერილი, ა. წ. 14 იანვრის თარიღით, მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხის შესახებ, გადმომიგზავნეს მე, ცეკაში, პასუხის მისაცემად. მუშაობით დატვირთვის გამო გიპასუხებთ დაგვიანებით, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

1) არ შეიძლება საკითხის დასმა ისე, როგორც სვამენ ზოგიერთი ამხანაგები: „მუშურ-გლეხური მთავრობა — ფაქტიურად, თუ როგორც სააგიტაციო ლოზუნგი". არ შეიძლება იმის თქმა, რომ თუმცა სინამდვილეში ჩვენ არა გვაქვს მუშურ-გლეხური მთავრობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მუშურ-გლეხური მთავრობის შესახებ, როგორც საგიტაციო ლოზუნგის შესახებ. საკითხის ამგვარათ დაყენების დროს გამოდის, რომ ჩვენ პარტიას შეუძლია წამოისროლოს შინაური ყალბი ლოზუნგები, რომლებიც სინამდვილეში მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რომლებიც არ სწამს თვით პარტიას, მაგრამ რომელსაც პარტია მაინც აყენებს. იმ მიზნით, რომ მოატყუოს მასები. ასე შეუძლიათ მოიქცენ ესერებს, მენშევიკებს, ბურჟუაზიულ დემოკრატებს, რადგან მასების მოტყუება ამ მომაკვდავ პარტიების ერთ-ერთ ძირითად იარაღს წარმოადგენს. მაგრამ ჩვენს პარტიას ასე საკითხის დაყენება არ შეუძლია არასოდეს და არავითარ პირობებში, ვინაიდან ის არის პარტია მარქსისტული, პარტია ლენინური, პარტია აღმავალი, რომელიც თავის სიძლიერეს ჰპოვებს იმაში, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთი და იგივეა, ის არ ატყუებს მასებს, ის მასებს ეუბნება მხოლოდ სიმართლეს და თავის პოლიტიკას აშენებს არა დემაგოგიაზე, არამედ კლასობრივ ძალთა მეცნიერულ ანალიზზე. საკითხი უნდა დაისვას აგრე: ან ჩვენ არა გვაქვს მუშურ-გლეხური მთავრობა,—და მაშინ ლოზუნგი მუშურ-გლეხური მთავრობის შესახებ უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც გამოუსადეგარი და ყალბი ლოზუნგი, ან ჩვენ ნამდვილად გვაქვს მუშურ-გლეხური მთავრობა, ასეთი მთავრობის არსებობა ეთანხმება კლასობრივ ძალთა მდგომარეობას,—და მაშინ ლოზუნგი მუშურ-გლეხური მთავრობის შესახებ არის სწორი და რევოლიუციონური ლოზუნგი. ან ერთი ან მეორე. აქ საჭიროა არჩევანი, ამხ. დიმიტრიევ.

2) ლოზუნგს მუშურ-გლეხური მთავრობის შესახებ თქვენ უწოდებთ „ამხ. სტალინის ფორმულას". ეს სრულებითაც არ არის სწორი. ნამდვილად ეს ლოზუნგი, ან, თუ გნებავთ, ეს „ფორმულა", არის ლენინის ლოზუნგი. მე მხოლოდ გავიმეორე ის ჩემ „კითხვებში და პასუხებში".

აიღეთ ლენინის თხზულებათა მე-15 ტომი—გვ. 12, 14, 16, 38, 52, 79, 348; მე-16 ტომი—გვ. 28, 29, 315; მე-18 ტომი, ნაწ. 1—გვ. 96, სადაც ლენინი საბჭოთა ხელისუფლებას უწოდებს „მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას", აიღეთ მე-15 ტომი—გვ. 228, 322, 340, 341, 345; მე-16 ტომი—გვ. 95, 164, 301, 303, 307, 378, 379; მე-17 ტომი—გვ. 56, 105, 320, 340, 403, 419, 420; მე-18 ტომი ნაწ. 1—გვ. 94, 111, 223, სადაც ლენინი საბჭოთა ხელისუფლებას უწოდებს „მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას".—აიღეთ ყველა ესენი და აგრეთვე ლენინის ზოგიერთი სხვა თხზულებანი, და თქვენ დაინახავთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი ანუ „ფორმულა" არის ლენინის, და არა სხვა ვისიმე ლოზუნგი ანუ „ფორმულა".

3) თქვენი უმთავრესი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ ურევთ: ა) საკითხს ჩვენი მთავრობის შესახებ საკითხთან ჩვენი სახელმწიფოს შესახებ; ბ) საკითხს ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასიური ბუნების შესახებ საკითხთან ჩვენი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის შესახებ.

არ შეიძლება არევა და მაშასადამე იგივეობის ნიშნის დასმა ჩვენ სახელმწიფოსა და ჩვენ მთავრობას შორის. ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტარების კლასის ორგანიზაცია სახელმწიფო ხელისუფლებით, რომელიც მოწოდებულია მოსპოს ექსპლოატატორების წინააღმდეგობა, მოაწყოს სოციალისტური მეურნეობა, მოახდინოს კლასთა ლიკვიდაცია და სხვ. ჩვენი მთავრობა კი არის ამ სახელმწიფო ორგანიზაციის სათავეში მდგომი, მისი ხელმძღვანელი. მთავრობა შეიძლება შესცდეს, მან შეიძლება დაუშვას შეცდომები, რომლებმაც შეიძლება დროებით განსაცდელში ჩააგდონ პროლეტარიატის დიქტატურა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის სწორი, ანუ შემცდარია, როგორც სახელმწიფოს აგების პრინციპი გარდამავალ პერიოდში,—ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელი ორგანო ცუდია, რომ ხელმძღვანელ ორგანოს პოლიტიკა, მთავრობის პოლიტიკა არ შეეფერება პროლეტარიატის დიქტატურას, რომ ეს პოლიტიკა შეცვლილ უნდა იქნეს პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. სახელმწიფო და მთავრობა ერთნაირი არიან თავისი კლასობრივი ბუნებით, მაგრამ მთავრობა მოცულობით უფრო ვიწროა და ის არ ფარავს სახელმწიფოს. ისინი ორგანიულად არიან ურთიერთ დაკავშირებულნი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება მათი ერთი მეორეში არევა.

თქვენ ხედავთ, რომ არ შეიძლება არევა საკითხის ჩვენი სახელმწიფოს შესახებ საკითხთან ჩვენი მთავრობის შესახებ, ისევე, როგორც არ შეიძლება არევა საკითხის პროლეტარების კლასის შესახებ საკითხთან პროლეტარების კლასის ხელმძღვანელი ნაწილის შესახებ.

მაგრამ კიდევ უფრო დაუშვებელია არევა საკითხის ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასიური ბუნების შესახებ საკითხთან ჩვენი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის შესახებ. ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასიური პოლიტიკა თავის-თავად ნათელია,—ის პროლეტარულია. ნათელია აგრეთვე ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის მიზნები,—მათი დანიშნულებაა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის მოსპობა, სოციალისტური მეურნეობის მოწყობა, კლასთა ლიკვიდაცია და სხვ. ყველაფერი ეს ნათელია. რას წარმოადგენს, ამ შემთხვევაში, საკითხი ჩვენი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის შესახებ? ეს არის საკითხი იმ **გზების** და **საშუალებების** შესახებ, რომელთა შემწეობით შეიძლება განხორციელებულ იქნეს პროლეტარული დიქტატურის კლასიური მიზნები ჩვენს გლეხურ ქვეყანაში. პროლეტარული სახელმწიფო აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპოთ ექსპლოატატორების წინააღმდეგობა, მოვაწყოთ სოციალისტური მეურნეობა, მოვსპოთ კლასები და სხვ. ჩვენი მთავრობა კი საჭიროა, გარდა ამისა, კიდევ იმისათვის, რომ იპოვოს ის გზები და გამონახოს ის საშუალებები (ყოველდღიური პოლიტიკა), ურომლისოდაც წარმოუდგენელია ამ ამოცანების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი შეადგენს უმცირესობას, სადაც გლეხობა წარმოადგენს დიდ უმრავლესობას. როგორია ეს გზები და საშუალებანი, რაში გამოიხატებიან ისინი? ეს არის უმთავრესად ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მუშების და გლეხობის ძირითად მასების კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი კავშირის გარეშე და ამ კავშირის დაუხმარებლად ჩვენი მთავრობა იქნებოდა უძლური და ჩვენ საშუალება არ გვექნებოდა გაგვეხორციელებია პროლეტარიატის დიქტატურის ის ამოცანები, რომელთა შესახებ მე ზემოთ მქონდა ლაპარაკი. რამდენხანს იარსებებს ეს კავშირი და სადამდის გაგრძელდება საბჭოთა მთავრობის ეს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ამ კავშირის განმტკიცებისაკენ? აშკარაა, რომ მანამდე, სანამ არსებობს კლასები და სანამ იარსებებს მთავრობა როგორც, კლასობრივ საზოგადოების გამოხატულება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გამოხატულება. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ: ა) მუშათა და გლეხთა კავშირი ჩვენთვის საჭიროა არა იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ გლეხობა, როგორც კლასი, არამედ იმისათვის, რომ გარდავქმნათ ის იმ მიმართულებით, რომელიც შეეფერება სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვების ინტერესებს; ბ) საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ამ კავშირის განმტკიცებისაკენ მიზნად ისახავს არა კლასების განმტკიცებას, არამედ მათ მოსპობას, კლასების მოსპობის ტემპის დაჩქარებას. ამიტომ ლენინი სავსებით მართალი იყო, როცა ის სწერდა:

„დიქტატურის უმაღლესი პრინციპია პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის შენარჩუნება, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლის და სახელმწიფო ხელისუფლების შენარჩუნება". (მე-18 ტომი, ნაწ. 1-ლი, გვ. 331).

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სწორედ ლენინის ეს დებულება, და არა სხვა რამე, წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელ ხაზს მის ყოველდღიურ პოლიტიკაში, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა განვითარების ამ სტადიაში, არსებითად, არის მუშების და გლეხების ძირითადი მასის სწორედ ასეთი კავშირის შენარჩუნების და განმტკიცების პოლიტიკა. ამ აზრით,—მაგრამ მხოლოდ ამ აზრით, და არა თავისი კლასიური ბუნების გამო,—საბჭოთა მთავრობა წარმოადგენს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

ამის არ ცნობა ნიშნავს ლენინიზმის გზიდან აცდენას, პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის კავშირის უარყოფის გზაზე დადგომას. ვინც ამას არ სცნობს ის კავშირს სთვლის მაქინაციათ და არა რეალურ რევოლიუციონურ საქმეთ, ის ფიქრობს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ შემოვიღეთ „საგიტაციოთ" და არა სოციალისტურ აღმშენებლობისათვის გლეხობის ძირითად მასებთან ერთად. ვინც ამას არ სცნობს ის სთვლის, რომ მშრომელ გლეხთა მასების ძირითადი ინტერესები არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს ჩვენი რევოლიუციის მიერ, რომ ეს ინტერესები შეურიგებლად ეწინააღმდეგებიან პროლეტარიატის ინტერესებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ავაშენოთ სოციალიზმი გლეხობის ძირითად მასებთან ერთად, რომ ლენინის კოოპერატიული გეგმა უნიადაგო და უმწეოა რომ მენშევიკები და მათი ამყოლნი მართალნი არიან და სხვ. საკმარისია, რომ დაისვას ეს საკითხები, რომ ცხადი გახდეს ამ კავშირის კარდინალურ საკითხისადმი „აგიტაციური" მიდგომის მთელი სიდამპლე და უნაყოფობა. აი რატომ ვლაპარაკობდი მე ჩემს „კითხვებში და პასუხში". რომ მუშურ-გლეხურ მთავრობის ლოზუნგი არის არა „დემაგოგია არა „საგიტაციო" მანევრი, არამედ უეჭველად სწორი და რევოლიუციონური ლოზუნგი.

მოკლეთ: ერთი საქმეა—საკითხი სახელმწიფოსა და მთავრობის კლასიური ბუნების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი რევოლიუციის განვითარების ძირითად მიზნებს და მეორე საქმეა—საკითხი მთავრობის ყოველდღიურ პოლიტიკის შესახებ, ამ პოლიტიკის **გზებისა** და **საშუალებების** შესახებ, რომლებიც აუცილებელია ამ მიზნების განსახორციელებლად. ორივე ეს საკითხი უეჭველად ერთმანეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი ერთი და იგივე არიან, რომ შეიძლება მათი ერთი-მეორეში არევა.

თქვენ ხედავთ, რომ არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ საკითხი სახელმწიფოს და მთავრობის კლასიური ბუნების შესახებ და საკითხი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის შესახებ.

შესაძლოა სთქვან, რომ აქ არის წინააღმდეგობა: როგორ შეიძლება, პროლეტარულს, თავისი კლასიური ბუნებით, მთავრობას, ეწოდოს მუშურ-გლეხური მთავრობა? მაგრამ წინააღმდეგობა აქ მოჩვენებითია. არსებითად რომ ვსთქვათ, აქ ისეთივე „წინააღმდეგობაა", როგორიც ზოგიერთ ჩვენს სიბრძნის მოყვარულთ სურთ დაგვინახონ ლენინის ორ ფორმულას შორის პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელთაგან პირველი ფორმულა ლაპარაკობს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა არის ერთი კლასის ხელისუფლება" (ტომი მე-16, გვ. 282), ხოლო მეორე ფორმულა ლაპარაკობს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა არის განსაკუთრებული ფორმა კლასიური კავშირისა პროლეტარიატს, მშრომელთა ავანგარდსა და მშრომელთა მრავალრიცხოვან პროლეტარულ ფენებს შორის (წვრილი ბურჟუაზია, წვრილ მესაკუთრეები, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ)". (ტომი მე16, გვ. 241). არის წინააღმდეგობა ამ ორ ფორმულას შორის? რასაკვირველია, არა. როგორ ხორციელდება ამ შემთხვევაში ერთი კლასის (პროლეტარიატის) ხელისუფლება, როცა არსებობს კლასიური კავშირი, ვსთქვათ, გლეხობის ძირითად მასასთან? ხელისუფლების სათავეში მდგომ პროლეტარიატის („მშრომელთა ავანგარდის") ხელმძღვანელობითი როლის განხორციელების გზით ამ კავშირში ერთი კლასის, პროლეტარების კლასის ხელისუფლება, რომელიც ხორციელდება ამ კლასის კავშირით გლეხობის ძირითად მასასთან ამ უკანასკნელისათვის **სახელმწიფოებრივ** ხელმძღვანელობის გაწევის წესით,—აი ამ ორი ფორმულის ძირითადი აზრი. სად არის აქ წინააღმდეგობა? ხოლო რას ნიშნავს პროლეტარების **სახელმწიფოებრივი** ხელმძღვანელობა გლეხობის ძირითადი მასის მიმართ? არის თუ არა ეს ისეთივე ხელმძღვანელობა, როგორისაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის დროს, როცა ჩვენ ველოდებოდით პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის მიღწევას? არა, ეს არ არის ასეთი ხელმძღვანელობა. პროლეტარიატის **სახელმწიფოებრივი** ხელმძღვანელობა გლეხების მიმართ არის ხელმძღვანელობა პროლეტარიატის დიქტატურის დროს. პროლეტარიატის **სახელმწიფოებრივი** ხელმძღვანელობა ნიშნავს, რომ ა) ბურჟუაზია უკვე ჩამოგდებულია; ბ) ხელისუფლების სათავეში სდგას პროლეტარიატი; გ) პროლეტარიატი არ უნაწილებს ხელისუფლებას სხვა კლასებს; დ) პროლეტარიატი აშენებს სოციალიზმს და თავისი გზით მიჰყავს გლეხობის ძირითადი მასები. პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის დროს კი ნიშნავს, რომ: ა) კაპიტალიზმი რჩება, როგორც საფუძველი, ბ) ხელისუფლების სათავეში სდგას რევოლიუციონურ-დემოკრატიული ბურჟუაზია, რომლის როლი სჭარბობს ხელისუფლების შემადგენლობაში, გ) დემოკრატიული ბურჟუაზია ხელისუფლებას უნაწილებს პროლეტარიატს, დ) პროლეტარიატი ანთავისუფლებს გლეხობას ბურჟუაზიული პარტიების გავლენიდან, ხელმძღვანელობს მას იდეურად და პოლიტიკურად და ამზადებს ბრძოლას კაპიტალიზმის დასამხობად. განსხვავება აქ, როგორც ხედავთ, დიდია.

იგივე უნდა ითქვას მუშურ-გლეხურ მთავრობის საკითხის შესახებაც. რა წინააღმდეგობა შეიძლება იმაში, რომ ჩვენი აქედან გამომდინარე სოციალისტური ამოცანები არა თუ ხელს არ უშლიან, არამედ, პირიქით, უკარნახებენ მას, უსათუოდ უკარნახებენ თავისი პოლიტიკით დაიცვას და განამტკიცოს მუშურ-გლეხური კავშირი, როგორც უმნიშვნელოვანესი საშუალება პროლეტარიატის დიქტატურის სოციალისტურ კლასიურ ამოცანების განსახორციელებლად ჩვენს გლეხურ ქვეყანაში, რომ ამ მთავრობას ამის გამო მუშურ-გლეხური ეწოდება? განა ცხადი არ არის, რომ ლენინი მართალი იყო, როცა ატარებდა მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგს და აცხადებდა ჩვენს მთავრობას, როგორც მუშურ-გლეხურ მთავრობას?

საერთოდ უნდა ითქვას, რომ „პროლეტარიატის დიქტატურის სისტემა", რომლის შემწეობით ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ერთი კლასის, პროლეტარიატის ხელისუფლება,—საკმაოდ რთული რამეა. მე ვიცი, რომ ზოგიერთი ამხანაგებს არ მოსწონთ, არ ეჭაშნიკებათ ეს სირთულე. მე ვიცი, რომ ბევრი მათგანი, „ძალების ნაკლებ დახარჯვის პრინციპის" თვალსაზრისით, ამჯობინებდა საქმე ჰქონოდა უფრო მარტივ და ადვილ სისტემასთან. მაგრამ რას იზამთ: ჯერ ერთი, ლენინიზმი უნდა მივიღოთ ისე, როგორც ის ნამდვილად არის (არ შეიძლება ლენინიზმის გამარტივება და ვულგარიზაცია), მეორე, ისტორია ღაღადებს, რომ ყოვლად მარტივი და ყოვლად ადვილი „თეორიები" იშვიათად თუ არის ყოვლად სწორი.

4) თქვენ თქვენს წერილში საყვედურობთ: „ყველა იმ ამხანაგების ცოდვა, რომლებიც ამ საკითხს აშუქებენ, იმაშია, რომ ისინი ლაპარაკობენ ან მარტო მთავრობაზე, ან კიდევ მარტო სახელმწიფოზე და ამიტომ არ იძლევიან საბოლოო პასუხს, სავსებით. მხედველობიდან უშვებენ, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს ამ ორ ცნებას შორის". მე ვაღიარებ, რომ ასეთი „ცოდვა" მართლაც მიუძღვით ჩვენს ხელმძღვანელ ამხანაგებს, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ნაკლებ მუყაით „მკითხველებს" არ სურთ თვითონვე კარგად და გულდასმით გადაიკითხონ ლენინის ნაწერები და მოითხოვენ, რომ მათ საფუძვლიანად თვითეული ფრაზა გადაუღეჭონ. მაგრამ რას იზამთ: ჯერ ერთი, ჩვენს ხელმძღვანელ ამხანაგებს ძალიან ბევრი საქმე აქვთ, ისინი დატვირთული არიან მიმდინარე მუშაობით, რაც მათ საშუალებას არ აძლევს შეუდგენ ლენინიზმის, როგორც იტყვიან, მუხლობრივად განმარტებას; მეორე, საჭიროა ცოტა რამ დატოვებულ იქნეს „მკითხველებისათვისაც", რომლებმაც, დაბოლოს ლენინის ნაწერების ზერელედ კითხვას თავი უნდა გაანებონ და შეუდგენ ლენინიზმის სერიოზულ შესწავლას. ხოლო უნდა ითქვას, რომ თუ ლენინიზმი სერიოზულად შესწავლილი არ იქნება, „მკითხველების" მხრივ ისეთ საყვედურებს, როგორიც არის თქვენი, და „გაუგებრობებს" ყოველთვის ექნება ადგილი.

ავიღოთ, მაგალითად, საკითხი ჩვენი სახელმწიფოს შესახებ. ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფო, როგორც თავისი კლასიური ბუნებით, ისე თავისი პროგრამით, თავისი ძირითადი ამოცანებით, თავისი მოქმედებით და საქმეებით,—არის პროლეტარული სახელმწიფო, მუშური სახელმწიფო, მართალია, ერთგვარი „ბიუროკრატიული გადამახინჯებით". მოიგონეთ ლენინის განმარტება: მუშური სახელმწიფო აბსტრაქციაა. ხოლო სინამდვილეში ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო, ჯერ ერთი, იმ თავისებურობით, რომ ქვეყანაში სჭარბობს არა მუშური, არამედ გლეხური მოსახლეობა, და, მეორე, მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული გადამახინჯებით" (ტომი 18, ნაწ. 1, გვ. 33). ამაში ეჭვის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ მენშევიკებს, ესერებს და ზოგიერთებს ჩვენი ოპოზიციონერებიდან. ლენინს არა ერთხელ განუმარტავს, რომ ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო, ხოლო პროლეტარული დიქტატურა არის ერთი კლასის, პროლეტარიატის ხელისუფლება. ყოველივე ეს დიდი ხანია გარკვეულია. მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრია ისეთი „მკითხველი, რომლებიც უსაყვედურებდენ ლენინს იმის გამო, რომ ლენინი ზოგჯერ ჩვენს სახელმწიფოს უწოდებდა „მუშურ-გლეხურ" სახელმწიფოს, თუმცა ადვილი გასაგებია, რომ ლენინს ამ მხედველობაში აქვს არა ჩვენი სახელმწიფოს კლასიური ბუნების განსაზღვრა და, მით უფრო, არა ამ სახელმწიფოს პროლეტარული ბუნების უარყოფა, არამედ ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პროლეტარული ბუნება აუცილებელს ხდის პროლეტარიატის კავშირის გლეხობის ძირითად მასებთან, რის გამო საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს ამ კავშირის განმტკიცებისაკენ. აიღეთ, მაგალითად, ტომი 15—გვ. 55, ტომი 17—გვ. 26, 54,420, ტომი 18, ნაწ. 1, გვ. 12,111,119,380. ყველა ამ შრომებში და აგრეთვე ზოგიერთ სხვა ნაწერებში ლენინი აფასებს ჩვენს სახელმწიფოს, როგორც „მუშურ-გლეხურ" სახელმწიფოს. მაგრამ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ლენინს ყველა ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ჩვენი სახელმწიფოს არა კლასიური ბუნების დახასიათება, არამედ ამ კავშირის განმტკიცების იმ პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის პროლეტარულ ბუნებიდან და სოციალისტური ამოცანებიდან ჩვენი გლეხური ქვეყნის პირობებში. ამ პირობით და განსაზღვრულ აზრით, **მხოლოდ და მხოლოდ ამ აზრით**, შეიძლება ლაპარაკი „მუშურ-გლეხურ" სახელმწიფოზე, როგორც ეს აქვს ლენინს ზემოთ დასახელებული თავის ნაწერებში. რაც შეეხება ჩვენ სახელმწიფოს კლასიურ ბუნებას, მე უკვე ზემოთ ვსთქვი, რომ ლენინმა ეს ისეთი სისწორით ჩამოაყალიბა, რომელიც არავითარ გადამახინჯებას არ იძლევა: მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული გადამახინჯებით იმ ქვეყანაში, სადაც გლეხური მოსახლეობა სჭარბობს მე მგონია, გასაგებია. მიუხედავად ამისა ზოგიერთი „მკითხველები", რომლებმაც იციან ასოების „კითხვა", მაგრამ არ სურთ წაკითხულის გაგება კიდევ საყვედურით ამბობენ, რომ ლენინმა ისინი „დააბნია" ჩვენი, სახელმწიფოს ბუნების საკითხში, ხოლო „მოწაფეებს" არ სურთ გამოასწორონ „დაბნეულობა". ცოტა არ იყოს სასაცილოა, ამხ. დმიტრიევ...

თქვენ შემეკითხებით: სადღაა გამოსავალი „გაუგებრობიდან"? ჩემის აზრით, გამოსავალი ერთია: ლენინის შესწავლა არა ცალკე ციტატებით, არამედ არსებითად, შესწავლა სერიოზულად და დაკვირვებულად, შეუსვენებლად. სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ.

ი. სტალინი.

(„ბოლშევიკ" № 6.).

პარტიული ცხოვრება

საერთო კრებების გაცხოველებისათვის

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას დადგენილება (იხ. „კომუნისტი", 17 აპრილის ნომერი) ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს მასიური მუშაობის გაძლიერებისაკენ და სწორი ხელმძღვანელობისაკენ. მართალია, წარსულში მასიური მუშაობის დარგში ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები, მაგრამ ამ მუშაობას თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. როგორც აღნიშნავს ცეკას დადგენილება, „მასიური მუშაობის შინაარსი ხშირად ვერ აკმაყოფილებს მასების მოთხოვნილებებს და ყოველთვის არ შეეფერება პარტიის მიერ წამოყენებულ ამოცანებს". ცეკა მთელ რიგ დირექტივებს იძლევა, თუ რას უნდა მიექცეს მასიური მუშაობის წარმოებაში ყურადღება და რა გზით უნდა მივმართოთ ეს მუშაობა.

უმთავრესი სიმძიმე მასიურ მუშაობაში უნდა გადავიტანოთ წარმოება-დაწესებულებების საერთო კრებებზე. ზოგან საერთო კრებებს ბევრი უარყოფითი მხარეები აქვთ, რისთვისაც მუშებს გული აუცრუვდათ და ნაკლებად ესწრებიან საერთო კრებებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ, მიუხედავად იმისა, მოითხოვს თუ არა ამას საჭიროება, ხშირად არ ხდებოდეს საერთო კრებები.

საყურადღებოა შემდეგიც: საერთო კრება ღებულობს ამა თუ იმ საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას; ეს გადაწყვეტილება ან არ ტარდება ცხოვრებაში, ან თუ ტარდება, კრებამ ამის შესახებ არაფერი იცის. ეს ცუდ გავლენას ახდენს მუშებზე; ადუნებს მათ აქტივობას. ამიტომ პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ თვალყური ადევნონ — ტარდება თუ არა საერთო კრებების დადგენილებები, ან სათანადო ორგანოები აბარებენ თუ არა საერთო კრებებს ანგარიშს წინად გარჩეულ საკითხების შესახებ. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ დღის წესრიგში ბევრი საკითხები არ იქნეს დასმული. ამას უფრო მეტად შევხვდებით ადგილებზე: დღის წესრიგში 6—7 საკითხი ხდება, რის გარჩევაც ბევრ დროს თხოულობს და კრებას ღალავს.

საერთო კრებების დღის წესრიგში უმთავრესად შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი საკითხები, რომლებიც უფრო აინტერესებს ამა თუ იმ წარმოების მუშებს. ეს საკითხებია: შრომის ნაყოფიერების აწევა, წარმოების ხარისხის გაუმჯობესება, წარმოებაში ეკონომიურ რეჟიმის გატარება და ამასთან დაკავშირებული საკითხების გარჩევა, წარმოების ტეხნიკური და ორგანიზაციული მხარეები და სხვ. საერთო კრებების წინაშე უნდა გადავშალოთ წარმოების ნამდვილი მდგომარეობა—დადებითი მხარეებიც და ნაკლულევანებებიც.

გარდა ამისა, ცალკე წარმოებიდან გაყვანილი არიან მუშები საბჭოებში, კოოპერატივებში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. საჭიროა, რომ ამ ამხანაგებმა სისტემატიურად გააკეთონ მოხსენება თავის ამომრჩეველთა საერთო კრებაზე იმ დაწესებულებების მუშაობაზე, რომელშიაც ისინი არიან ამორჩეული. ხელმძღვანელებმა უნდა გულდასმით მოუსმინონ და სახელმძღვანელოდ მიიღონ მუშების შენიშვნები ამა თუ იმ ნაკლულევანებების შესახებ.

შემდეგ, ყველა მუშებთან ერთნაირი მასიური მუშაობის წარმოება არ შეიძლება, ყველას ერთნაირად ვერ მიუდგებით. არიან მოწინავე მუშები, რომელთაც წარმოებაში მუშაობის დიდი ხნის სტაჟი აქვთ,—ამ კატეგორიის მუშებთან სულ სხვანაირად უნდა ვაწარმოოთ მუშაობა. არიან წარმოებაში ახალ ჩაბმული მუშები, ახლად ჩამოსულნი სოფლიდან, ასეთ მუშებს სხვაფრივ უნდა მივუდგეთ.

ჩვენში საერთო კრებების დროს ხშირად აქვს ადგილი ერთ უარყოფით მოვლენას, რომელიც დიდ ზიანს აყენებს მასიურ მუშაობის წარმოებას. საერთო კრებებზე ხანდახან ზოგიერთი უპასუხისმგებლო „პასუხისმგებელი" მომუშავე აჩერებს სიტყვით გამოსულ მუშას და „პროვოკატორის" და „ხულიგანის" სახელწოდებით ნათლავს მას, რადგან ამ ამხანაგმა გაბედა და შეეხო იმ ორგანოს მუშაობას, რომელსაც ეს ამხანაგი მეთაურობს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ასეთი „პასუხისმგებლის" წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს.

ყოვლად დაუშვებელია, რომ პარტიულმა უჯრედებმა და ფრაქციამ ძალით მოახვიოს კრებას თავისი აზრი, თავისი დადგენილება ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა ამის შესახებ დიდი ხანია მოგვცეს დირექტივა, რომელიც შეუხრელად უნდა იქნეს გატარებული. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგიერთ უჯრედს და პარტკომს ისე ესმის ეს დირექტივა, თითქოს კომუნისტებმა საერთო კრებაზე თავისი აზრი არ უნდა გამოსთქვან, თავისი შეხედულება არ ჰქონდეთ: **„ცეკა განსაკუთრებით აუცილებლად სთვლის კომუნისტებისათვის მათ აშკარად გამოსვლას უპარტიო მასის წინაშე, დარაზმულად, შეთანხმებულად და პარტიული დირექტივების აშკარა დაცვით".**

აქედან ცხადია, უჯრედმა საერთო კრებაზე გასარჩევი ზოგიერთი საკითხები, რომლებსაც პრინციპიალური ხასიათი აქვთ, წინასწარ უნდა განიხილოს, გამოიტანოს შესაფერი დადგენილება და შემდეგ საერთო კრებაზე ეს დადგენილება უნდა დაიცვას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მასიური მუშაობის საკითხებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ, ცეკას დადგენილება მთელი ასი პროცენტით უნდა გაატარონ. მეტი სიფხიზლე ამ მხრივ ძირითად ორგანიზაციებს მართებთ, რადგან მეტი ნაკლულევანებები ამ დარგში სწორედ ადგილებზე გვხვდება.

ა. ძე.

პოლიტსკოლა ჩვენც გვჭირია.

(ჯურუყვეთი, გურია).

მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვიდან გურკომის მიერ გახსნილ იქნა ჩვენს თემში მოძრავი პარტიული სკოლა. სკოლა გახსნილია ორ ადგილას თემში. მსმენელთა რიცხვი თითო სკოლაში უდრის ოცდა ათს. მსმენელთა საერთო რიცხვიდან უპარტიო მსმენელებია 10 პროცენტი. მსმენელებს უფასოდ დაურიგდათ საჭირო სასწავლებელი ნივთები და სახელმძღვანელო—„პოლიტცოდნა".

ხელმძღვანელის ენერგიული მუშაობით მსმენელები საკმაოდ ითვისებენ საუბრების შინაარსს, რაც აშკარა ხდება საუბრის დამთავრებისას გამოკითხვით და გაცხოველებული კამათით.

გლეხობა კმაყოფილებით შეხვდა პოლიტსკოლის დაარსებას. სკოლა მათ აძლევს პასუხს ბევრ ბუნდოვან და მათთვის გაუგებარ საკითხზე. მსმენელნი უკლებლივ ესწრებიან ყოველ მეცადინეობას.

მუშათა ცხოვრება

კომისიების მუშაობის შესახებ

როგორც ვიცით ადგილკომებს გამოყოფილი ჰყავს სხვადასხვა კომისია, როგორიც არის კულტკომისია, საკონფლიქტო, შრომის დაცვის, საწარმოო კომისია და სხვ. პირველს ევალება მუშათა მოსამსახურეთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოება მეორეს—სხვადასხვა კონფლიქტების მოგვარება მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციას შორის, მესამეს—წარმოება დაწესებულებებში შრომის პირობების დაცვა ჩვენი შრომის კანონმდებლობის მიხედვით და სხვ. როგორც ვხედავთ ამ კომისიებს საპასუხისმგებლო მუშაობა აწევთ თავზე. კომისიების წევრები ასე თუ ისე გაცნობილი უნდა იყვნენ იმ დარგს, რომელშიაც ისინი მუშაობენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხშირად ვხვდებით, რომ კომისიის ყველა წევრები კი არა, ამ კომისიების თავმჯდომარეებიც, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ კომისიის მუშაობას, ვერ არიან სათანადოდ მომზადებული. ამიტომ ვხვდებით, რომ აქა იქ კომისიების მუშაობა ერთობ მოისუსტებს. არამც თუ პატარა, დიდ წარმოებებშიც. მაგალითად კულტკომისიის მუშაობა ხშირად ცუდათ არის დაყენებული ისეთ წარმოებაში, სადაც 2—3 ათასამდი მუშაა. ავილოთ საკონფლიქტო კომისიების მუშაობა; ზოგიერთ წარმოებაში ხუჯერაზე საქმეები იყრის თავს. ეს ხდება იმიტომ, რომ საკონფლიქტო კომისიის წევრებმა ვერ იცნობენ შრომის კანონებს. ამიტომ ჭიანურდება საქმეების გარჩევა. ასეთი მდგომარეობაა შრომის დაცვის საქმეშიც.

რას გვავალებს ეს მდგომარეობა? აუცილებლად საჭიროა, რომ კომისიებში ისეთი ამხანაგები გავიყვანოთ, რომლებიც გაცნობილნი არიან ამა თუ იმ კომისიის მუშაობას. გარდა ამისა, სხვა და სხვა კომისიის წევრთა გადასამზადებლად უნდა მოეწყოს მოკლე ვადიანი კურსები. კულტმუშაკთათვის—ცალკე, საკონფლიქტო კომისიისა და შრომის დაცვის კომისიის წევრთათვის კიდევ ცალკე. აქ ამხანაგები დაახლოებით გაეცნობიან კულტმუშაობის ხასიათს, შრომის კანონებს და სხვ. ასე გადამზადებული ამხანაგები უფრო მეტ უნარს გამოიჩენენ თავის სამუშაო დარგში. ეს გამოაცოცხლებს კომისიების მუშაობას. მაშინ ადგილი არ ექნება იმ მდგომარეობას, რასაც ჩვენ ვხედავთ დღეს ზოგან კომისია არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, ნამდვილად კი არაფერი არ კეთდება.

ლ.

ბევრი ადგილი დაგვითმეთ

(ა. კ. რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

მოახლოვდა ზაფხული და მასთან ერთად საინჟინერო ფაკულტეტის სტუდენტების წასვლის დრო პრაქტიკაზე რკინის გზაზე; თუ ეხლავე არ შეუდგებით საქმეს, მერე გვიან იქნება. საჭიროა გამოიცეს დროზე განკარგულება, თუ რამდენი ადგილი დაგვეთმობა რკინის გზაზე. ამავე დროს უნდა მიიღონ მხედველობაში ის გარემოება, რომ სტუდენტობისათვის პრაქტიკაზე წასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკის შესაძენად. რაც შეიძლება მეტი რიცხვი ადგილებისა უნდა დაეთმოს სტუდენტობას პრაქტიკაზე.

მუშკორი კალამი.

პროცენტების ზრალია.

ბათომიდან თბილისში მატარებელი ჩამოვიდა. პერონის რევიზორები გაფაციცებით დაეძებდნენ, არსებულ წესის მიხედვით, თუ ვის მეტი ბარგი ექნებოდა. ერთმა რევიზორმა თვალი წაატანა რკინისგზის მეისრე არჩეპოვს, რომელსაც სანოვაგე ჩამოჰქონდა სოფლიდან. მიზანი კი ის იყო, რომ ცოტა ნაკლები დაუჯდებოდა მას სანოვაგე და ამით ცოტად თუ ბევრად ეკონომიურ პირობებს გაიუმჯობესებდა.

— თქვენი ბილეთი, ამხანაგო!

— ინებეთ!

— წამოიღეთ ბარგი კანტორაში. ბარგი აწონეს და აღმოჩნდა, რომ ხსენებულ პირს სოფლიდან 12—13 გირვ. მეტი წამოეღო.

— გადაიხადეთ 7 მანეთი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბარგი მეტი წამოგიღიათ.

— საიდან შეიძლია 7 მან. გადავიხადო, მე ხომ ვაჭარი არა ვარ,—სახლისათვის მიმაქვს, რომ ცოლშვილი გამოვკვებო.

— გადაიხადეთ,—წაიღეთ, არა და—წაგართმევთ!—იყო უკმეხი პასუხი.

— ნეტავ სულ არ ჩამომეტანა და ამ შარს ავსცილდებოდი.—სწუხდა რკინისგზის მუშა.

— ნუ თუ ათი გირვანქის მეტის წამოღების უფლება არა აქვს?—შეეკითხება დამსწრენი პერონის რევიზორს.

ბევრი იბაასა არჩეპოვმა, შეაწუხა ხალხი, როგორც იყო ისესხა ფული და ჩააბარა.

ნუ თუ დასაშვებია ეს?

ნეტავი რას აკეთებს ადმინისტრაცია.

საჭიროა ყურადღება მიექცეს პერონის რევიზორების თავხედობას. მათ რომ 25 პროც. „ჩაიჯიბონ", მუშის ფულს 100 პროცენტი აკლდება.

მუშკორი —შვილი.

მუშათა ქრონიკა

— **ექსკურსია ზაჰესში.** საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილება კვირას, ა. წლის 24 აპრილისათვის აწყობს მასიურ ექსკურსიას ზაჰესში. ექსკურსიით ისარგებლებენ როგორც კავშირის წევრები, ისე მათი ოჯახის წევრებიც. ექსკურსიასთან ებმება სხვადასხვა მუშათა ორგანიზაციების ორკესტრები.

— **581 მან.; დახმარება.** პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ მიიღო ქუთაისიდან ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ 582 მან.

— **კონფერენცია** ა. წ. აპრილის 26-ს, საღამოს 6 ნახ. საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების სამაზრო საქალაქო კონფერენცია.

— **კავშირის წევრთა რაოდენობა.** მეტყავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა ამჟამად უდრის 2.532 კავშირის წევრს.

— **საკლუბო მუშაობის გასაძლიერებლად.** მშენებელთა კავშირის ც. გ. დაავალა ქარხკომებს ერთი კვირის განმავლობაში ჩაატარონ კამპანია კავშირის წევრთა კლუბის წევრებად ჩაბმის გარშემო.

— **საწარმო კომისიათა კონფერენციები** საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სატარიფო განყოფილებას საწარმოო ეკონომ-კომისიათა კონფერენციები ჩაატარონ კავშირის ხაზით.

წითელ ჯარში

თადარიგის მეთაურთა სამოსწავლო შეკრება

წითელ არმიის, გარდა იმ მეთაურებისა, რომლებიც იმყოფებიან ამჟამად წითელი ჯარის რიგებში და აწარმოებენ წითელ არმიელთა აღზრდის და მომზადების საქმეს, ჰყავს მრავალი ათასი თადარიგის მეთაური.

თადარიგის მეთაურთა ნაწილი მუშაობს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ნაწილი კი ეწევა სოფლად მეურნეობას.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის აქცევდა დიდ ყურადღებას თადარიგის მეთაურთა მომზადებულობას. მიღებული იყო ზომები, რომ თადარიგის მეთაურთ ჰქონოდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ სამხედრო ცოდნა და არ ყოფილიყვნენ ჩამორჩენილნი სამხედრო საქმიანობაში. ამ მიზნით, იმ ქალაქებში, სადაც მრავალი არიან თადარიგის მეთაურნი, მოწყობილი იყო გადასამზადებელი კურსები.

ყველა ეს გამოწვეულია არის იმით, რომ ომის დროს თადარიგის მეთაურნი გაწვეულ იქნებიან წითელი ჯარის რიგებში და მათ მოუხდებათ წითელ არმიელთა ხელმძღვანელობა ბრძოლის ველზე, ხოლო თუ მეთაური სათანადოთ არ არის მომზადებული, არ იცნობს წითელი ჯარის ტეხნიკას და მის წყობას, უეჭველია იგი გამოუსადეგარი იქნება არმიისათვის.

გასული წლის ზაფხულში ჩატარებულ იქნა პირველად საქართველოში თადარიგის მეთაურთა თვე ნახევრიანი სამოსწავლო შეკრება, რომელზედაც გაწვეულ იყო მეთაურთა უმნიშვნელო ნაწილი.

მიმდინარე წლის მაისში ჩატარებულ იქნება მეორე სამოსწავლო შეკრება, რომელზედაც გაიწვევა მეთაურთა მნიშვნელოვანი რიცხვი.

სამხედრო უწყების მიერ მიღებულია ყოველივე ზომები, რომ შეკრება ჩატარდეს უნაკლოდ და მეთაურებმა მიიღონ ყველა საჭირო ცოდნა.

მხოლოდ აუცილებელია და საჭირო, რომ თვით თადარიგის მეთაურებმაც შეუწყონ ხელი შეკრების სათანადოთ ჩატარებას.

ბევრია დამოკიდებული მეთაურთა გამოცხადებაზე საექიმო შემოწმებაზე და შეკრებაზე. დაგვიანება ძალიან შეაფერხებს საქმეს, ამიტომ თადარიგის მეთაურნი ეხლავე უნდა შეუდგნენ მზადებას შეკრებისათვის.

იმ მეთაურებს, რომლებიც ავადმყოფობის გამო არ აქვთ შეძლება გამოცხადდნენ საექიმო შემოწმებაზე, დროზე უნდა წარმოადგინონ სამხედრო კომისარიატში საჭირო დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებენ მის ავადმყოფობას.

ყველა ეს გაუადვილებს სამხედრო უწყებას შეკრებისათვის სამზადისს.

ე. ზ.

სია*)

იმ თადარიგის მეთაურთა, რომელთაც ეხებათ სამოსწავლო შეკრებაზე გასვლა და, რომლებიც უნდა გამოცხადდნენ საექიმო შემოწმებაზე თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში 1927 წლის 2 მაისს დილის 9 საათზე

75 წივწივაძე ა. ნ. 76) წივწივაძე გ. ნ. 77) ცანავა ს. გ. 78) ცინცაძე შ. პ. 79) ჭელიძე ნ. ს. 80) ჭყონია ს. ი. 81) ჭავჭანიძე ს. გ. 82) ჩხაიძე დ. ი. 83) ჩიქოვანი ა. ვ. 84) ჭიჭინაძე გ. ა. 85) ჩიმაკაძე ქ. გ. 86) შარაშიძე ს. ნ. 87) შალიბაშვილი ვ. ა. 88) შარაშინე პ. ნ. 89) შალიკაშვილი ს. ქ. 90) შაგარაძე ა. მ. 91) შაფაქიძე ი. ი. 92) ეპიტაშვილი მ. ი. 93) ელიზბარიშვილი ნ. ტ. 94) ესაკია ლ. დ. 95) იაქაშვილი გ. ი. 96) არგანაშვილი პ. ფ. 97) ბახტაძე ქ. ვ. 98) ბარათაშვილი დ. ნ. 99) გარაყანიძე ქ. მ. 100) გერსამია ს. ე. 101) გულუა დ. ე. 102) კვარაცხელია ფ. ვ. 103) კიზირია ა. გ. 104) კოშორიძე ა. ი. 105) კურტიშვილი ვ. ა. 106) ყარალოვი ა. გ. 107) კახიანი პ. ი. 108) ლორთქიფანიძე ა. ს. 109) მალალოვი ლ. ი. 110) მიქაძე ლ. ვ. 111) მაჭავარიანი ქ. გ. 122) სტარიშვილი ვ. მ. 113) რცხილაძე ი. ი. 114) სუფათაშვილი დ. ლ. 115) თავალაბეიშვილი ს. ა. 116) თევდორაძე პ. ს. 117) თუმანოვი ქ. ი. 118) ტოროშელიძე ი. გ. 119) ცანავა გ. ი. 120) ჭეიშვილი დ. ა. 121) ჭანტურია ვ. ნ. 122) ჭრელიშვილი გ. ს. 123) ებანოიძე პ. ი.

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი" № 88.

ა.-კ. რკინის გზების გაერთიანების ექვსი წლის თავი

საუბარი ა.-კ. რკ.-გზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ი. ჩხეიძესთან

დღეს შესრულდა ექვსი წელი მას შემდეგ, რაც 1918 წელს ცალკე რესპუბლიკების შორის დაქუცმაცებულ ა.-კ. რკინის გზები გაერთიანდენ ერთ მთლიან ორგანიზმში, რომელიც ეხლა შედის საბჭოთა კავშირის რკინის გზების საერთო ქსელში.

ერთის მხრივ იმპერიალისტურმა ომმა და მეორეს მხრივ ნაციონალისტურმა ომებმა ა.-კ. ერთა შორის, ა.-კ. რკ. გზების მეურნეობა და საქმიანობა თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანა.

განვლილ ექვსი წლის განმავლობაში აღსანიშნავია განუწყვეტელი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობდა გზის მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ.

ამჟამად გზის საექსპლოატაციო სიგრძე უდრის 2162 კილომეტრს. იგი 1913 წელთან შედარებით გადიდებულია 20 პროცენტით. რაც შეეხება გზის ძირითად კაპიტალს, იგი 1913 წელთან შედარებით შემცირდა. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ გზის საერთო მდგომარეობის გაუარესებაში, რაც გამოიწვიეს ზემოდ აღნიშნულმა ომებმა და საბრუნავ თანხის სიმცირემ, რაც ამჟამადაც ძლიერ აფერხებს გზის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიუხედავად ყველა ამ არა ხელსაყრელ პირობებისა, გზათა - მიმოსვლის კომისარიატის დახმარებით, უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკ. გზის მუშაობაში აღსანიშნავია ფრიად თვალსაჩინო მიღწევები.



ამხ. გ. ჩხეიძე

ა.-კ. რკინის-გზების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

ცენტრის დახმარება პირველ ყოვლისა გამოიხატა გზაზე საგრძნობ რაოდენობით მძლავრ ორთქლმავლების გადმოგზავნაში, რომელთა რიცხვი ეხლა აღემატება ომამდე არსებულ რიცხვს. საორთქლმავლო პარკის გაჯანსაღებამ და გაძლიერებამ, გზას მისცა საშუალება საქმის გაუმჯობესებისა, რაც გამოიხატება მთავარ ხაზზე (ბაქო-ბათომი-ფოთი) მატარებლების დიდი შემადგენლობის დაწესებაში. საერთოდ მთელს გზაზე საბარგო მატარებლის საშუალო წონა 1913 წ. შედარებით გაიზარდა—34,5 პროცენტით.

ეს მიღწევა განხორციელებულია ერთის მხრივ მძლავრ ორთქლმავლების გამოყენებით და მეორეს მხრივ ზოგიერთ უბნებზე უსწორმასწორო გზების შესწორებით, რაც თავისთავად ხელს უწყობს გზის გატარების უნარიანობის შემაღლებას. მძლავრი სერიის ორთქლმავლების საშუალებით ამასთანავე თვალსაჩინოდ გადიდდა სახალხო მატარებლების შემადგენლობა მთავარ ხაზზე.

გზათა - მიმოსვლის კომისარიატის დახმარებამ გავლენა მოახდინა სავაგონო პარკის გაუმჯობესებაზე.

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ა.-კ. რკ. გზაზე გადმოგზავნილ იქნა 100-ზე მეტი სახალხო ვაგონი, რამაც გააუმჯობესა სახალხო მიმოსვლა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გზის ცისტერნებით მომარაგებას, საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის გამო. უკანასკნელ 2—3 წლის განმავლობაში ამ პროდუქტების გადაზიდვა სწარმოებს ახლად მიღებულ, დიდი მოცულობის, კანადურ ცისტერნებით. ყველა ეს ცისტერნები მუშაობენ კაზანცევის ავტომატიურ მუხრუჭებზე.

შპალების მეურნეობა

თანდათან უმჯობესდება შპალების მეურნეობაც. პროფ. გულენკოვის მეთოდით შპალების გაჟღენთვის ცდების უშედეგოდ დამთავრების გამო, განსაკუთრებული ყურადღება არის მიქცეული წიფლის მასალის ამ მიზნისათვის გამოყენებაზე. ამ ჯიშის ტყეები მდიდარია ამიერ - კავკასია.

ხელოვნური ნაგებობანი

ხელოვნურ ნაგებობათა მხრივ პირველ ყოვლისა საჭირო გახდა სამოქალაქო ომების დროს აფეთქებულ ხიდების აღდგენა, რომელთა რიცხვი აღწევდა 37-ს.

ამასთანავე მთავარ ხაზზე აგებულია: ახალი ხიდი მდ. ყვირილაზე, ქვის თაღიანი ხიდი მდ. ძირულაზე და სამ მალიანი ხიდი ფოილოსთან მდ. მტკვარზე.

წელს, თუ თანხები საშუალებას მოგვცემენ დამთავრდება ევლახის ხიდის აგება მდ. მტკვარზე. მოკლე ხანში გაიხსნება ახალი ხიდი მდ. ქსანზე და ამასთანავე მიმდინარეობს მუშაობა საჯუგეთის ხიდის ასაგებად მდ. რიონზე.

შემდეგში საალმშენებლო გეგმა ითვალისწინებს სულ 200-მდე ახალი ხიდის აგებას.

საბინაო მშენებლობა

ჩატარებულია თვალსაჩინო მუშაობა დანგრეულ შენობათა აღდგენის მხრივ, რომელთა რიცხვი გზაზე აღწევდა 25 პროცენტს. ეხლა ეს შენობები აღდგენილია.

მიუხედავად ამისა გზებზე მოთხოვნილება ბინების მხრივ საგრძნობია.

მიუხედავად იმისა, რომ საბინაო აღმშენებლობა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს, ამჟამად ბინების ქვეშ დაკავებულია 1059 ვაგონი, ეს რიცხვი გასულ წელთან შედარებით წელს გაიზარდა, ლენინაკანში მომხდარ მიწისძვრის გამო.

ეხლა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა ამთავრებს 10 სახლის—100 ოთახით აგებას და წელს აშენებული იქნება კიდევ 30 სახლი—128 ბინით.

საერთოდ გაერთიანების მომენტიდან, გზებზე აშენებულ, აღდგენილ და შეკეთებულ იქნა სულ 77 სახლი.

გზის ფინანსიური მდგომარეობა

გაერთიანების დროს ა.-კ. რკ. გზების ფინანსიური მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო.

ა.-კ. რკ. გზა გადიოდა სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე და გზის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ათი სხვადასხვა გვარი ფულის ნიშნების ტრიალს, რომელთა კურსი ყოველთვის იცვლებოდა და საშუალებას არ აძლევდა გზას ეწარმოებინა ნორმალური ფინანსიური მუშაობა.

ანგარიშებს ადგენდენ ე. წ. „პირობით" მანეთებში და მათ ცხადია არ შეეძლოთ გამოეხატათ გზის ნამდვილი ფინანსიური მდგომარეობა.

მხოლოდ ჩერვონეცის შემოღების შემდეგ შესაძლებელი გახდა გზის ფინანსიური მეურნეობის მოწესრიგება.

მიუხედავად იმისა, რომ ა.-კ. რკ. გზ. ტერიტორიალური მდგომარეობა ხელს უწყობს სხვა და სხვა ხარჯების დასაფარავად გზის სალაროში საკმაო თანხების შესვლას, ა.-კ. რკ. გზა იღებდა დეფიციტიანად. ამას თავისი სპეციფიური მიზეზები აქვს.

უკანასკნელ ორი სამეურნეო წლის ანგარიშებიდან, გზის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ ასეთ სურათს ვხედავთ: 1924—25 წელს შემოსავალი საექსპლოატაციო მუშაობიდან უდრიდა — 34.704.000 მან., გასავალი— 36.374.000 მან. 1925—26 წ. შემოსავალი— 44.941.000 მან., გასავალი — 51.731.000 მან. ამგვარად დეფიციტი 1924—25 წ. გამოიხატა— 1.570.000 მანეთში და 1925—26 წ.—6.790.000 მანეთში.

გარდა ამისა, ახალ სამუშაოების საწარმოებლად 1923—24 წ. დაიხარჯა — 2.294.000 მან., 1924—25 წ. — 2.843.000 მან. და 1925—26 წ. —8.053.000 მანეთი.

ჯამი დეფიციტისა და ხარჯები ახალ და აღმდგენლობით სამუშაოებზე დაფარულია გზათა-მიმოსვლის კომისარიატის მიერ დოტაციის სახით.

ამჟამად ჩვენ ერთ-ერთ არსებით ამოცანად ითვლება შრომის ნაყოფიერების აწევა, რომელთანაც დაკავშირებულია სამუშაო ხელფასის გადიდების საკითხი და გადაზიდვათა თვითღირებულების შემცირება.

მილიციის ექვსი წლის თავი

საზეიმო სხდომა

გუშინ, მ.-გ. მილიციის ექვსი წლის შესრულების გამო, საღამოს 7 საათზე, ახალ მუშათა კლუბში შესდგა საზეიმო სხდომა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მილიციის ბიურო კოლექტივის სახელით სხდომა გახსნა ამხ. **კოტრიაძემ.**

ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ზ. კიღურაძემ.**

ქალაქის საბჭოს და მისი ორგანოების სახელით მიესალმა ამხ. **მეხბი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **მაჟავარიანმა.**

იუსტიციის სახალხო კომისარიატის სახელით ილაპარაკა ამხ. **გაბუნიამ,** რომელმაც მოკლედ დაახასიათა მილიციის მრავალფეროვანი მოღვაწეობა ადმინისტრატიული მუშაობის, რევოლუციონური კანონიერების გატარების სამოსამართლო მოვალეობის ასრულების დარგში და მომავლისათვის უსურვა მილიციას ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს მილიციის უფროსშემადგენლობის სკოლის სახელით ამხ. **კარტოზიამ,** საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირის სახელით ამხ. **ღლონტმა,** ახალი მუშათა კლუბის გამგეობის სახელით ამხ. **ღიბრაძემ.**

მ.-გ. მილიცია—იგივე წითელი არმიაა, რომელიც პირველ მოწოდებისთანავე იცავდა და იცავს საბჭოთა ხელისუფლებას—ამბობს წითელი არმიის პოლიტგანის წარმომადგენელი ამხ. **ხუციშვილი.**

წაკითხულ იქნა მილიციის სახელზე მოსული მრავალი მისალოცი დეპეშები.

მილიციის მუშაკთა დაჯილდოება

შემდეგ ამხ. ზ. მელაძე აცხადებს შინსახკომისარიატის ბრძანებას მილიციის ზოგიერთი მუშაკების დაჯილდოვების შესახებ წითელი მილიციის რიგებში ერთგული დაუღალავი მუშაობისა და სამსახურით დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

ჯილდოები—დამსახურებული მილიციის ნიშნები—დაარიგა რესპუბლიკის მილიციის უფროსმა ამხ. **მაჟავარიანმა.**

დამსახურებული მილიციის ნიშნით დაჯილდოებულ იქნენ უმცროსი მილიციელები: **სიმონ კილურაძე, ილია ბასილაშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზოვი და მამედი ქაშუმოვი.**

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის რწმუნებულები: **ლეონტორ ნადარეიშვილი** და **ვლადიმერ ხელაძე.** სისხლის სამართლის მილიციის დავალებათა აღმასრულებელი—**გიორგი თუხარელი.**

საუწყებო მილიციის თანამშრომელი **ვლადიმერ უგულავა.**

წალკის უმცროსი მილიციელი **კაროპენკო** და საუწყებო მილიციის ზაჰესის რაიონის უფროსი **ლუკა ხარჯველაძე.**

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა.

„მწყემსის"-ს ყრილობა

15 აპრილს, ღამის 10 საათი სრულდებოდა; თბილისის რაიონის მწყემსთა რწმუნებულნი კახეთის მატარებლით გავემართენით წნორის მხარეს. მატარებელი მიჰქროდა, ორთქლმავალი ზრით, ზეიმით და ღრიანცელით ახმაურებდა არე მარეს.

დასრულდა გრძელი გზა. სადგურ წნორზე ბრწყინვალე მზე თავის მხურვალე სხივებით და ჩვენ, მატარებელში ღამის მთეველნი, ერთმანეთს მხიარულად მივეგებით.

სადგურთან ეტლებს უკვე დიდი ხანია თავი მოეყარათ და მგზავრებს ელოდებოდნენ. ჩვენც აღარ დავახანეთ და სამსამ-ოთხოთხმა კაცმა დავიქირავეთ ეტლები და გავწიეთ წითელ წყაროსკენ. ვაცვლეთ აყვავებული არემარე, დავყევით გედიქის გრძელ ხევს. გული გავიგრილეთ თავწყაროს გემრიელი წყლით და დღის 11 საათი იქნებოდა, რომ შევედით წითელ წყაროს ქუჩებში.

მცხოვრებლები: ქალნი, კაცნი, ბავშვები ქუჩებში გამოფენილიყვნენ და მიმავალ სტუმრებს ათვალიერებდენ.

მედუქნეებს პირზე ღიმილი მოსდიოდათ. ყველა თავთავისკენ იწვევდა და ეპატიჟებოდა სტუმრებს. ყველას საკლავი დაეკლათ. უცხო ჩნახველს რაღაც დღეობა ეგონებოდა. დუქნებს უკან ეზოებში საარყე ქვაბები ზედადგრებზე წამოედგათ და ხორაგი იხარშებოდა.

წითელ - წყაროს ქუჩებს გამოცოცხლება ეტყობოდა. ხალხი თანდათან ემატებოდა დუქნების ეზოები ეტლებით და ცხენებით აივსო. მიკიტნების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა მუშტრებს თავს ევლებოდენ ციბრუტივით ტრიალებდენ.

ზოგი ქეიფობდა, სასმელს ძალას ატანდა, ზოგი კი უკვე დასაძინებლად ემზადებოდა. ისმოდა მიკიტანი გიგოლას ტკბილი სიტყვები.

— „ჰაჯან"? რა გნებავს? „რას მიირთმევ"? „მიართვი ბიჭო"! — და სხვა.

მეორე დილით დელეგატები დაწყნარდენ და გამოიშალენ ქუჩებში. 17 აპრილია, ყრილობა უნდა დაიწყოს, გახდა ათი საათი, გადავიდა თერთმეტი, თორმეტი, პირველი. ხალხს მოთმინება გამოელია.

კურიშევის ბულვარზე გამართულია ადგილობრივ ცხენოსან ჯარის ნაწილის ჯირითი და ვარჯიშობა. ვითომ და ამით ერთობიან, მაგრამ მწყემსებს კი, რომელსაც თავი გაუწებებია თავის საქონლისთვის, ეშურება.

ეს ჯირით - ვარჯიშობა აღარ აინტერესებს. საათის ორზე იხსნება ყრილობა, მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. დ. გონაშვილი. იმის შემდეგ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. სერგო თავდიშვილი.

ორივეს აძლევენ საქმიან შეკითხვებს და მომხსენებლებიც სათანადოთ უპასუხებენ, საღამოს რვა საათია. დარბაზში დაცხა, ხალხი მოიქანცა. მოხსენებების გარშემო ჯერ არავის ულაპარაკნია. ზოგი მოითხოვს კრების გაგრძელებას, ზოგი კი გადადებას. მეორე დღისთვის, ღამის 8 ნახ. საათზე, კრება შესწყდა. იმ პირობით, რომ დილის სრულ 8 საათზე გაგრძელდეს.

გათენდა 18 აპრილი, დილაა. ყველამ თავი მოიყარეს. კრებაც დაიწყო. მოხსენების გარშემო რამოდენიმე ორატორმა ილაპარაკა და საბოლოო სიტყვებიც მიეცათ მომხსენებლებს. რომლის შემდეგაც გააკეთა მოხსენება ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ვარამაშვილმა. მოხსენებებიც ამით დამთავრდა.

შემდეგ სიტყვას იღებს სამანდატო კომისიის წარმომადგენელი. ყრილობას უნდა დასწრებოდა სულ 116 დელეგატი. დაესწრო კი 85.

ყრილობამ დამსწრე დელეგატთა რაოდენობა დაამტკიცა და გადავიდა არჩევნებზე.

გამგეობაში არჩეულ იქნენ:

ამხ. **დიმიტრი გონაშვილი, მიშა ჩხეიძე, სერგო თავდიშვილი, გიორგი ბაძოშვილი და გიორგი მაჭარაშვილი.**

ცენტ. საბჭოში არჩეულნი არიან ამხანაგები: **ძამანაშვილი მიხეილ, თანდილაშვილი ისაკი, ფიროსმანიშვილი მიხო, ბაცაცაშვილი შაქრო, გოგილაშვილი გიგო, მირანაშვილი გიორგი, ადიკაშვილი შაქრო, ქავთარაძე თედო, კირაკოზოვი შაქრო.**

ყოფილ გამგეობის წევრებს, ამხანაგებს: კუხალეიშვილს სევერიანს და აბაშიძეს კოსტას ყრილობამ მადლობა გადაუხადა შრომისათვის და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ერთი დელეგატი.

სამეურნეო უთავბოლობის, ბიუროკრატიზმისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა

სამეურნეო დარგის მუშაკების და ადმინისტრატორების უმრავლესობა ვერ ამჩნევს იმას, რომ აპარატებში, რომელთაც ისინი ხელმძღვანელობენ, არის ნაკლულოვანებები. კიდევ უფრო ცუდია, როცა, ამჩნევენ რა ამ დეფექტებს, ისინი არ ღებულობენ ზომებს მათ მოსასპობათ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ჩატარებულ გამოკვლევების შედეგათ არა ერთხელ მიუთითებია ადმინისტრატორებისა და სამეურნეო მუშაკებისათვის ამ ნაკლულოვანებებზე და გაუფრთხილებია ისინი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას იწყებენ მხოლოდ ერთგვარი დაძალების შემდეგ, უხეშად, რომ ვსთქვათ, ასწორებენ მათ ჯოხის ქვეშ.

გამოდის ასე, რომ აპარატის გაუმჯობესების, ნაკლულოვანებათა მოსპობის, მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ უნდა ზრუნავდენ მხოლოდ საკონტროლო ორგანოები. მაშინ როცა, ნაკლულოვანებათა უმრავლესობა შეიძლება გამოსწორებულ იქნეს თვით სამეურნეო მუშაკების მიერ.

უკეთეს სამეურნეო და ადმინისტრატიულ ფორმების მიღწევის გზაზე ყველაზე უფრო საშიშ მოვლენას წარმოადგენს: უმოქმედობა, დაუთმობლობა და ის **წინააღმდეგობა,** რომელსაც ხშირად ვხვდებით სამეურნეო მუშაკების მხრით სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელების გზაზე.

შემჩნეულ უმოქმედობის და ღონისძიებათა გატარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის დაძლევა შეიძლება მხოლოდ **პროფკავშირებში დარაზმულ მუშათა ფართო მასების ძალ-ღონით პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ და კომკავშირის მონაწილეობით.**

ჩვენ სინამდვილეში სამწუხაროთ ბევრი მოიპოება კანონის დარღვევის და ნაკლულოვანებების ფაქტები.

ქვეყანაში, სადაც განმტკიცებულია მუშათა დიქტატურა, ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომელთა მოთმენა შეუძლებელია: ზაჰესის მუშას სახლის პატრონმა ჩაუჭედა კარები და ის იძულებულია ფანჯრიდან ძვრებოდეს. მისი საჩივარი სახლის პატრონის საქციელზე ფორმალურ მოსაზრებებით უარყოფით გადაწყვეტილებას ღებულობს.

ბიუროკრატიზმის ფაქტი აშკარაა.

სახალხო მამულების ტრესტის გამოკვლევის შედეგათ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღმოაჩინა, რომ ქაღალდმა, სანამ ის მიაღწევდეს ტრესტის მმართველთან, უნდა გაიაროს ათეული ინსტანცია; რომ უიმედო სადებიტორო თანხა აღწევს 78.000 მანეთს, რომ სათამაშუქო ოპერაციებს მოაქვთ 29.000 მან. ზარალი; რომ 10.000 მანეთი დაიხარჯა კონიაკის ქარხნის მოსაწყობათ ვარციხის მამულში სპირტის გამოსახდელათ, ხოლო შემდეგ გამოირკვა, რომ კონიაკის ქარხნის მოწყობილობით შეუძლებელია სპირტის გამოხდა; რომ არავინ იცის რა ბედი ეწვია 375.000 მანეთის საქონელს, რომელიც დაგზავნილ იქნა ტრესტის წარმომადგენლობაში; რომ 51.840 მანეთის ღვინო, რომელიც ზამთარში გაგზავნილ იქნა მოსკოვის განყოფილებაში, იზოტერმიულ ვაგონში გაიყინა და სხვა და სხვა.

— ეს ნაკლულოვანებები მხოლოდ სამ მამულში, ხოლო მამულები სულ ოცდა ოთხია.

ყველაფერი ეს ხდება სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაში, საქართველოში, სადაც სასოფლო-მეურნეობის უმთავრესი დარგი არის მევენახეობა.

ასეთი ფაქტები მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებენ საკითხს პარტიის იმ დირექტივების გადაუხვევლად გატარების შესახებ, რომლებიც მიმართულია ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ხალხის ქონების დაზოგვისაკენ და სხვა.

ყოველგვარი გამარტივება, აპარატის და მის შესახებ ხარჯების შემცირება უკმაყოფილებას გამოიწვევს მხოლოდ მეშჩანურად განწყობილ ჯგუფებს შორის, რომელთაც არასაკმაოდ, ან სრულებით არა აქვთ შეგნებული ის როლი, რომელსაც შეასრულებს მომჭირნეობის რეჟიმი.

შემცირებს რა დღეს სახალხო მეურნეობის ორგანოების შტატებს ათეული და ასეული კაცით და ხვალ—ზედმეტ ხარჯებს სათანადო პირობების შექმნით, საბჭოთა ხელისუფლება დაზოგვილ საშუალებებით განახორციელებს ახალ სამრეწველო აღმშენებლობის პროგრამას, რაც სამუშაოს მისცემს ათასობით და ათი ათასობით ახალ პროლეტარებს.

ა. დ.

სახალხო მამულების ტრესტი

(საქ. მ.-გ. ინსპექციის მასალებიდან)

როგორც საქ. მ. გ. ინსპექციის გამოკვლევამ დაადასტურა, სახალხო მამულების ტრესტს არ ქონია გამომუშავებული გეგმა და საფინანსო ხარჯთაღრიცხვა, რასაც შედეგად მოჰყოლია ტრესტის საადმინისტრაციო და საკანცელარიო შტატის გაბერვა. ზედმეტი შტატების შესანახად ერთ წელში დახარჯულია 21 ათასი მანეთი. კანცელარიის მუშაობა ბიუროკრატიული აღმოჩნდა: ქაღალდის საქმის მმართველამდე მისვლას 8—9 ინსტანციის გავლა სჭირდებოდა. კანცელარიის შტატი საკმაოდ დატვირთული არ ყოფილა. ადმინისტრატიულ ტეხნიკურ პერსონალის მივლინების დღეები ნორმაზე მეტი აღმოჩნდა და სხვა. ანგარიშს ქვემყოფ თანხების შემოწმება და დაფარვა ხდებოდა უწესრიგოთ, რის გამოც უიმედო და საეჭვო თანხების ჯამმა 18.635 მანეთამდე მიაღწია. ხოლო უიმედო დებიტორებზე ირიცხება—77.194 მანეთი ე. ი. მთელი სადებიტორო თანხის 25 პროცენტი. კრედიტის უზრუნველყოფელ პირებზე თამასუქის ქვეშ გაცემით ტრესტს 29.179 მანეთი დაუკარგავს. გამოუდეგარი გამოდგა ვარციხის მამულში აგებული კონიაკის ქარხანა, რომელსაც ტრესტისათვის 10.866 მან. ზარალი მოუყენებია.

წინანდლის და ვარციხის მამულებში ნარგავ სამუშაოებზე დახარჯული თანხების აღრიცხვა უწესოდ უწარმოებიათ, არ ყოფილა შემოღებული საწყობებში ღვინის ხარისხობრივი აღრიცხვა და საკოლექციო ღვინოების აღრიცხვა. იქვე შეუტანელია ანგარიშში ხილის ბაღების მოსავალი და სხვ.

გადაჭარბებული აღმოჩნდა აგრეთვე დანარჩენ ხარჯები, [illegible] წარმომადგენლობის, საკომისიო ხარჯები და სხვა. ტრესტს თავის წარმოების სხვადასხვა დარგებისათვის არ ქონია გამომუშავებული ნორმები, რის გამოც შრომის ნაყოფიერება 50 პროცენტით ჩამორჩება თავის წინანდელ დონეს.

ტრესტს აქვს 3 განყოფილება—ბაქოსა, მოსკოვსა და ოდესაში, სადაც შტატები მეტად გაბერილია, ანგარიშების ჩაბარება მათგან არ სწარმოებს. დეკემბერში მოსკოვის განყოფილებისათვის ტრესტს გაუგზავნია (არაიზოტერმიული ვაგონებით) 51.840 მანეთის ღვინო, რომელიც გზაზე გაყინულა.

ყველა ამ ნაკლოვანებათა გამო, შეუძლებელი ხდება წინასწარ ითქვას, თუ როგორი მოგებით დაამთავრებს ტრესტი თავის საოპერაციო წელიწადს.

ზემოხსენებულ დეფექტების და არანორმალურ მოვლენების აღმოსაფხვრელად ტრესტს დაევალა მ. გ. ინსპექციის მიერ გამომუშავებულ მთელ რიგ კონკრეტიულ ღონისძიებათა გატარება.

დაზღვეულთა საექიმო დახმარება

როგორც საქ. მ. გ. ინსპექციის გამოკვლევა მოწმობს, დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმე გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია, მაგრამ მასაც ახასიათებს რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება. მაგ. ტუბერკულიოზის დისპანსერის მუშაობას ძალიან აბრკოლებს სათანადო შენობის უქონლობა, მოწყობილობის და შტატის ნაკლებობა. დისპანსერი ვერ ასწრებს ყველა ავადმყოფის მიღებას და მათ უხდებათ დიდი ხნით ლოდინი ახტალის ტალახის სამკურნალო დატვირთულია მხოლოდ 70 პროცენტით, რაც იწვევს გძელს და ხანგრძლივ ლოდინს.

მიუხედავად საამბულატორიო მკურნალობის გაუმჯ. ბრძოლა ზედმეტ დატვირთვისა და რიგში დგომასთან არ არის დამთავრებული. საექიმო დახმარების გაწევა სახლში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. საექიმო შრომის ხელფასის სიმცირის გამო (რაიონული ექიმების 84 პროცენტი ღებულობს თვეში 50 მან.), რაც აბრკოლებს კვალიფიციურ ექიმთა კადრის ამ დარგში ჩაბმას.

არის აღნიშნული ექიმების მხრით ავადმყოფებისადმი და მათი განცხადებებისადმი ფორმალური დამოკიდებულების და უდიერი მოპყრობის შემთხვევები.

კამოს სახელობის საავადმყოფოს გარდა, სადაც ავადმყოფები საექიმო დახმარებით და მოვლით უზრუნველყოფილი არიან, სხვა დანარჩენ საავადმყოფოებში არის შემდეგი ნაკლოვანებანი: ხანგრძლივ რიგში დგომა საავადმყოფოში მისაღებად, უარის თქმა უადგილობის მომიზეზებით, ავადმყოფების რიგს გარეშე მიღება და სხვა. ამგვარად საკითხი ავადმყოფების მიღების შესახებ მოწესრიგებული არ არის და აქვს მწვავე ხასიათი დაზღვეულთა ქვეგანყოფილების საკითხისადმი ოფიციალური მიდგომის გამო. შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მ. გ. ინსპექციის მიერ გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები.

ჯანმრთელობის სახკომის გამოკვლევა

საქ. მ. გ. ინსპექციამ გამოიკვლია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯები და აღნიშნა, რომ კომისარიატს 1925—26 წელს ხარჯთაღრიცხვისათვის გადაუჭარბებია. მაგ. საკანცელარიო საჭიროებისათვის დაუხარჯავს 2.764 მანეთით მეტი მემანქანეების ზედმეტ სამუშაოებზე—627 მანეთი, კომპენსაციის სახით გაუცია—4.204 მან. ადგილკომების შესანახად თვიურად უძლევია 169 მანეთის ნაცვლად—882 მან.

მ. გ. ინსპექციამ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად წინადადება მისცა ჯან. სახკომს დაიცვას შემდეგისათვის სახარჯთაღრიცხვო დისციპლინა, საკანცელარიო ხარჯების ნორმები, შესწყვიტოს ზედმეტი სამუშაოების წარმოება, შეამციროს ხარჯები გაზეთების გამოსაწერად და დეპეშების გასაგზავნად, მოსპოს ავანსების გაცემა და სხვ.

იმ მიღწევების გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად აქვს ჯანმრთელობის სახკომს, გამოკვლევის გეგმაში არ შედიოდა.

როგორ დაიცვეს მუშის ინტერესი

ტრიბუნალის ქუჩაზე არაბიძეს და თოფურიძეს ერთად უყიდიათ სახლი. ქონების გაყოფის დროს თოფურიძეს აღუმართავს კედელი, რომელსაც გადაუღობავს გამოსავალი ეზოსაკენ ზაჰესის მუშა გუდკოვისათვის. გუდკოვს რამდენიმეჯერ მიუმართავს საბინაო სასამართლოსათვის, მაგრამ ამაოდ. მ. გ. ინსპექციის საჩივრების ბიუროს, სადაც გუდკოვს შეუტანია განცხადება, მისი საჩივარი გადაუგზავნია საბინაო საქმეთა პროკურორისათვის. მეორე მიმართვის შემდეგ, პროკურორს უპასუხნია მ. გ. ინსპექციისათვის, რომ რესპუბლიკის პროკურორის განკარგულებით ამ საქმის გამოსარკვევად გამოყოფილია სპეციალური კომისია. კომისიას დაუდასტურებია, რომ კედელი აშენებული ყოფილა კანონიერ საფუძველზე. მ. გ. ინსპექციამ კი დაადასტურა, რომ კომისიის დასკვნა წმინდა ფორმალურ მხარეს ემყარება. მ. გ. ინსპექციის დავალებით მოხდა გუდკოვის და სხვა მდგმურთა ბინების დათვალიერება, რომლითაც გამოირკვა, რომ არც ერთ ბინას ეზოსაკენ გასავალი არ ქონია. ამის შემდეგ ინსპექციამ მიმართა იუსტ. სახ. კომისარიატს, რომ გადაესინჯა დადგენილება—იმ მიზნით, რომ დაებრუნებინათ გუდკოვისათვის გასავალი ეზოსაკენ, გაუქმებინა სამედიატორო დადგენილება არაბიძის და თოფურიძის შორის ქონების გაყოფის შესახებ, რადგან ეს დადგენილება ზღუდავს სახელდობრ გუდკოვის და სხვ მდგმურების უფლებებს.

მეაბრეშუმეობა საქართველოში

მიმდინარე წლისათვის მეაბრეშუმეებს ურიგდებათ 111 ათასი კოლოფი თესლი. — წელს საქართველოში გაშენებულია თუთის ხის 8 სანერგე—500.000 ძირი ნერგით. — გლეხობას დაურიგდება 60 ათასი ნერგი. — მეაბრეშუმეების ხელმძღვანელობა. — დამამზადებელ პუნქტების მოწყობა. — ფარდულების ტონაჟის გაფართოება—შენდება 9 მექანიკური სახმობი, საწყობები და სხვ. — ფინანსიურად მიმდინარე წლის პარკის ოპერაციები საკმაოდ უზრუნველყოფილია.

მიმდინარე წლიდან აბრეშუმის მეურნეობას საქართველოში ხელმძღვანელობას უწევს გასულ წლის ოქტომბერში დაარსებული ტრესტი „საქართველოს აბრეშუმი", რომელიც ექვემდებარება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. ტრესტი „საქართველოს აბრეშუმი" აერთიანებს ოთხ ძაფსაღებ ქარხანას (ოზურგეთის, სამტრედიის, თელავის და ხონის), ერთს ძაფსახვევ ქარხანას, ერთს აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას და ორ საგრენაჟო სადგურს (ქუთაისში და სოხუმში). ტრესტს აქვს აგრეთვე საქართველოს მეაბრეშუმეობის ყველა რაიონებში 60-მდე დამამზადებელი პუნქტები, პარკის სახმობი ფარდულები და ორ ადგილას—პარკის მექანიკური სახმობი.

თესლის დამზადება.

გასულ წელს მიმდინარე სეზონისათვის ტრესტს დამზადებული აქვს 111.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. აქედან მხოლოდ 6.000 კოლოფი გამოწერილია საზღვარგარეთიდან სპეციალურად პარკის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დანარჩენი 105.000 დამზადებულია ადგილობრივ. 42.000 დამზადებულია თვით ტრესტის მიერ ზემოდ ხსენებულ ორ სადგურში, 7.000—მიწადმოქმედების სახკომისარიატის მიერ, ხოლო 56.000—კერძო გრენიორების მიერ. მიმდინარე სეზონში ტრესტის მიერ განზრახულია დამზადებული იქნეს სულ 110.000 კოლოფი თესლი. აქედან თვით ტრესტი თავის სადგურებში დაამზადებს 75.000 კოლოფს, მიწადმოქმედების კომისარიატი—7.000-ს, ხოლო კერძო გრენიორები—28.000-ს. ამგვარად გასულ წელთან შედარებით, მცირდება ერთიორად კერძო პირთა დამზადება და დიდდება ტრესტის დამზადება.

თესლის განაწილება მეაბრეშუმეებს შორის.

თავისი პუნქტების საშუალებით ტრესტი უკვე შეუდგა მეაბრეშუმეებისათვის თესლის დარიგებას. დასარიგებელი თესლის 50 პროცენტი გადაგზავნილია ადგილებზე, ალაგ თესლის დარიგება უკვე დაიწყო. მაზრების მიხედვით, თესლი შემდეგნაირად არის განაწილებული: ქუთაისის მაზრაში იგზავნება 52.000 კოლოფი, ოზურგეთის მაზრაში—25.000 კოლოფი, ზუგდიდის—22.000, სენაკის—21.000, თელავის მაზრაში—5.000, აფხაზეთში—5.000. მეაბრეშუმეებს თესლი ურიგდებათ ნისიათ; კოლოფი, რომელიც იძლევა 1 ფუთსა და 20 გირვ. აბრეშუმის პარკის მოსავალს, ეძლევათ 2 მანეთნახევრად.

აბრეშუმის ჭიის გამოკვების საკითხი.

ჩვენებური აბრეშუმის პარკის გაუმჯობესება მჭიდროდ დაკავშირებულია აბრეშუმის ჭიის გამოკვების საკითხთან, რადგან პარკის ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო თესლის ღირსებაზე, არამედ ჭიის რაციონალურ გამოკვებაზედაც. წინასწარი აღრიცხვით, საქართველოში არის დაახლოებით 8 მილიონი ძირი თუთის ხე. თუთის ხის ჯიში არ არის შერჩეული და შეგუებული აბრეშუმის ჭიის გამოკვებასთან. გასული წლიდან ტრესტმა უკვე დაიწყო შერჩეული ჯიშის თუთის ხის პლანტაციის საფუძველის გაშენება. ტრესტს ამჟამად უკვე მოწყობილი აქვს 8 სანერგე—ზუგდიდში, ბანძაში, ხონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, წნორის-წყალსა და ლაგოდეხში. ყველა ამ სანერგეებში დარგულია სულ ნახევარი მილიონი ძირი ნერგი. ნერგების დარიგება ამ პუნქტებიდან დაიწყება მესამე წელიწადს. წელს გლეხობისათვის დასარიგებლად შეძენილია 161.000 ძირი. აქედან დარიგებულია 60.000. მომავალი წლიდან ნერგების დარიგება დაიწყება საკუთარი სანერგეებიდან. პირველ წელიწადს გლეხობას მიეცემა 150.000 ნერგი. გლეხები ნერგებს ღებულობენ უფასოდ. მოთხოვნილება მათზე მეტად დიდია და თანდათან იზრდება.

მეაბრეშუმეების ხელმძღვანელობა და ინსტრუქტაჟი.

მეაბრეშუმეების ყველა რაიონში დაგზავნილია მეაბრეშუმეობის შესახებ ბროშიურები და პლაკატები რომელიც თესლთან ერთად გლეხობას უფასოდ ურიგდება. ბროშიურებში მოცემულია აუცილებელი რჩევა-დარიგება აბრეშუმის ჭიის გამოკვებისა და მოვლის შესახებ. გარდა ამისა, აბრეშუმის ჭიის მოვლისა და პარკის დამზადების სეზონში მეაბრეშუმეთა სახელმძღვანელოდ რაიონებში სწარმოებს სპეციალისტ-ინსტრუქტორთა მივლინება. აბრეშუმის ჭიის მოვლის საქმის გასაუმჯობესებლად და სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ამ წლის თებერვალში მოწყობილი იყო მეაბრეშუმეთა მოკლევადიანი კურსები, რომელიც დაამთავრა 24 მსმენელმა. აქედან 25 უკვე მუშაობს ტრესტის საამბრეშუმო დაწესებულებებში.

დამამზადებელ პუნქტების მოწყობა.

დარიგებულ თესლის რაოდენობის მიხედვით, წელს საქართველოში მოსალოდნელია 150.000 ფუთი ნედლი პარკის მოსავალი, რომელიც ტრესტმა და სხვა დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაიბარონ დამამზადებელი პუნქტების საშუალებით. პარკის ამ რაოდენობით მიღებას დამამზადებელი პუნქტები ვერ შესძლებენ, თუ გაფართოვებული არ იქნა პუნქტებთან მოწყობილი ფარდულების ტონაჟი, რომელიც გასულ წელს 100.000-ს არ აღემატებოდა. ეს გარემოება მხედველობაში მიიღო ტრესტმა, რომელიც უკვე აწარმოებს სათანადო მუშაობას. ხდება არსებული ფარდულების შეკეთება, ახალი ფარდულების და ღუმელების აგება. ამ საქმისათვის გადადებულია სულ 78.000 მანეთი. თანხის ნახევარი უკვე დახარჯულია. აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონისათვის ფარდულები უკვე მზად იქნება. ფარდულებს გარდა, შენდება 9 ახალი მექანიკური სახმობი: ზუგდიდში 2, სენაკში—1, ოზურგეთში—1, ბანძში—1, ენისელში—1, ლანჩხუთში—1, აბაშაში—1 და სამტრედიაში—1. მანქანები და მოწყობილობა უკვე მიღებულია იტალიიდან.

გარდა ამისა, დამამზადებელ პუნქტებთან შენდება რამოდენიმე საწყობი, რომელიც ჯდება 40.000 მანეთი. საწყობები შენდება ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში და სხვაგან. სამტრედიაში შენდება დიდი ცენტრალური საწყობი. თესლის შესანახი ბინები შენდება ოზურგეთსა, ზუგდიდსა და სენაკში.

თანხები პარკის ოპერაციებისათვის.

მიმდინარე წლის პარკის ოპერაციებისათვის საჭიროა დაახლოვებით 3.800.000 მანეთი. აქედან ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ სესხად მიღებული იქნება 1 მილიონი მანეთი. დანარჩენი თანხებიც მომარაგებულია. მოსკოვში უკვე გაყიდულია ჩვენი აბრეშუმის ფაბრიკების პროდუქცია, რომელიც გასული წლის მოსავლიდან უნდა იქნეს დამზადებული. მოსკოვის „შელკოტრესტმა" შეიძინა 4.500 ფუთი ამოხვეული ძაფი, 8.000 ფუთი ხმელი პარკი, 500 ფუთი დაგრეხილი ძაფი და 1.500 ფუთი აბრეშუმის ნარჩენები. ამ პროდუქციის საფასურში უკვე ავანსად ტრესტს მისაღები აქვს 2 მილიონი მანეთი. აქედან ნაწილი უკვე მიღებულია, ხოლო ნაწილს ტრესტი მიიღებს მაშინ, როცა დაიწყება პარკის დასამზადებელი ოპერაციები. ასე რომ, ფინანსების მიწოდების მხრით მომავალი სეზონის ოპერაციები სრულებით უზრუნველყოფილია.

წელს დამზადების ჩატარება მინდობილი აქვს „სოფლის კავშირში" შემავალ ორგანიზაციებს, ხოლო იქ, სადაც „სოფლის კავშირს" თავისი ორგანიზაციები არა აქვს, ოპერაციებს ჩაატარებენ სამომხმარებლო კოოპერატივები და საკრედიტო ამხანაგობები.

ზაჰესის მუდმივი სინათლე

ტურბო - გენერატორების დადგმის ხელმძღვანელმა ინჟ. **ვასილიევმა** ქალაქისათვის მუდმივი სინათლის გადაცემის შესახებ შემდეგი განაცხადა:

— ამჟამად ზაჰესი სრულიად მზადაა მისცეს ქალაქს მუდმივი სინათლე, მაგრამ სხვადასხვა ტეხნიკურ მოსაზრებათა გამო, ქალაქისათვის სინათლის მიწოდების ვადა გადავდევით 26 აპრილამდე. 26 აპრილიდან განზრახვა გვაქვს მივაწოდოთ ქალაქს სინათლე მთავარი ქვესადგურის საშუალებით, ხოლო დაახლოვებით სამი დღის შემდეგ ზაჰესის ელდენს შეუერთებთ ქალაქის დანარჩენ სამ ქვესადგურს: ნაძალადევისას, დიდუბისას და ავლაბრის ქვესადგურებს. პირველი კვირის განმავლობაში სინათლის მოწოდება იწარმოებს მხოლოდ ღამღამობით და შემდეგ კი დღითაც—ზოგიერთ წარმოებებისათვის.

საკურორტო სეზონისათვის

ოთახების ნიხრი აბასთუმანში

საკურორტო სამმართველომ შეიმუშავა ბინების ქირის ნიხრი მომავალი საკურორტო სეზონისათვის აბასთუმანში.

თანახმად ამ ნიხრისა კურორტზე მოთავსებული ბინები დაყოფილია 7 ხარისხად. პირველი ხარისხის ოთახის თვიური მეტრი თვეში ღირს—3 მანეთი, მეორე ხარისხის—2 მან. 50 კ., მესამე ხარისხის—2 მან., მეოთხე ხარისხის—1 მ. 90 კ., მეხუთე—1 მან. 80 კ., მეექვსე—1 მან. 60 კ. და მეშვიდე ხარისხის—1 მან. 30 კ.

აღნიშნულ ნიხრის თანახმად, ოთახების დაქირავება შეუძლიათ მხოლოდ კავშირის წევრებს, არა ნაკლებ ორი თვის ვადისა.

არა პროფკავშირის წევრთათვის ოთახების ნიხრი გადიდებულია 25 პროც.

სამკურნალო დახმარება

რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტების პოლიკლინიკებში იწარმოებს ავადმყოფთათვის რჩევა-დარიგების მიცემა, როგორც ამბულატორიებში, ისე ავადმყოფის ბინაზე მისვლითაც.

ყრილობები და თათბირები

ამიერ-კავკასიის კულტთათბირი

მეოთხე სხდომა

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ბოგუსლოვსკის მოხსენება ძირითადი კულტმუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ეხება მასიური ძირითადი კულტმუშაობის ცალკე სახეებს და აღნიშნავს, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კულტკომისიებს, წითელ კუთხეებს და საერთო - საცხოვრებელ ბინებში მუშაობას.

კულტკომისიებმა თავისი მუშაობა უნდა აგონ მუშა - მოსამსახურეთა მოთხოვნილებებზე; ამ მხრივ სახელმძღვანელო მასალად გამოყენებულ უნდა იქნეს მუშა - მოსამსახურეთა პრაქტიკული მითითებები და შენიშვნები სადელეგატო და საერთო კრებებზე.

წითელმა კუთხეებმა თავის მასიურ მუშაობის დროს უნდა დაამყარონ სადღეისო საკითხები და ცალკე ჯგუფების კულტურულ - ყოფა-ცხოვრებითი მოთხოვნილებები. მასიური კულტმუშაობის სახეებია—ხმამაღლა კითხვა, საუბრები, კედლის გაზეთი, მოძრავი ბიბლიოთეკები; წითელ კუთხეს უნდა ჰქონდეს აგრეთვე სხვადასხვა სათამაშოები.

კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა საერთო - საცხოვრებელ ბინებში აქამდე ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. კულტმუშაობის წარმოება უნდა დაევალოს მდგმურების მიერ არჩეულ კომიტეტს (სამეულებს, ხუთეულებს), რომლებმაც იმუშაონ კულტკომისიის ხელმძღვანელობით. დღის ბოლოს გაიმართა კამათი ამხ. ბოგუსლოვსკის მოხსენების გარშემო.

უკანასკნელი სხდომა

20 აპრილის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ბოგუსლოვსკის მოხსენების გარშემო. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ კულტკომისიების და წითელი კუთხეების მუშაობის მთელ რიგ დეფექტებს და მიუთითებდნენ ნაკლულოვანებათა გამოსწორების აუცილებლობაზე.

10 საათიდან თორმეტამდე მუშაობდენ კომისიები, კომისიების მიერ შემუშავებულია რეზოლუციები ზოგიერთი შესწორებებით და დამატებებით.

რეზოლუციები მიღებული იქნა საკლუბო მუშაობაზე, საზაფხულო კულტმუშაობაზე, სამეცნიერო პროპაგანდაზე მუშათა კლუბებში და ძირითად კულტმუშაობაზე.

დასასრულ თათბირმა სასურველად სცნო მიღებული იქნეს ადგილებზე ზომები ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ორგანოს—„წითელი ფიზკულტურელის" გასავრცელებლად მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებს შორის.

აღმშენებელთა მეექვსე ყრილობა

მეორე და მესამე სხდომა

20 აპრილის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი კავშირის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო.

საღამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. **ოდილავაძე,** რის შემდეგ ყრილობამ მოისმინა კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენება ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობაზე.

ცენტრალური გამგეობის მუშაობა

(ამხ. ალაძის მოხსენება)

საქართველოს მშენებელთა კავშირის დაარსების პირველ ხანებში, 1921 წელს, კავშირში ირიცხებოდა 200 წევრი. ამის შემდეგ კავშირმა თანდათან გააფართოვა თავისი მუშაობა და კავშირში გააერთიანა სხვადასხვა ადგილას გაფანტული მუშა-მშენებლები. 1927 წლის 1 იანვრისათვის კავშირის წევრთა რიცხვი უდრიდა 10.969, მათ შორის კვალიფიციური მშენებელთა რიცხვი უდრის 55 პროც., ინჟინრები და ტეხნიკოსები—4 პროც., შავი მუშები—30 პროც. და დანარჩენი პროფესიის მუშაკები—11 პროცენტს.

კავშირის ეროვნული შემადგენლობა მეტის მეტად ჭრელია; კავშირში შედის უმთავრესად 5 ძირითადი ეროვნებანი: ქართველები, სომხები, რუსები, აისორები და თურქები.

მშენებელთა კავშირში ადგილი არ აქვს ქრონიკულ უმუშევრობას. უმუშევართა რიცხვი მეტად მცირეა ზაფხულობით 1926 წლის განმავლობაში და 1927 წლის პირველ აპრილამდე დახმარების სახით მიეცა 3.039 კაცს 17.944 მანეთი. დახმარებით სარგებლობენ აგრეთვე უმუშევართა ოჯახის წევრებიც.

რაც შეეხება სამუშაო ხელფასს, 1927 წლის კვალიფიციურ მშენებელთა საშუალო ხელფასი უდრის 4 მან. 84 კაპ. დღეში, ასე, რომ 1925 წელთან შედარებით ხელფასი გაიზარდა 12 პროც. კავშირი დიდ ყურადღებას აქცევდა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშათა ხელფასის დაახლოვებას, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო.

მუშები თითქმის ყველგან დაკმაყოფილებული არიან ბინებით (ზაჰესი, შავი ზღვის რკინის გზა, მაუდის ქარხანა, „ხლებპროდუქტი", საჯევახოს ხიდი და სხვა). შედარებით უფრო ცუდათაა დაყენებული საქმე საქართველოს წყალთა მეურნეობაში—კახეთში და მეანგარეთა შორის—თბილისში. გასულ წელს ამ ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა საშუალებას არ იძლეოდა დაკმაყოფილებული ყოფილიყო მუშათა საბინაო მოთხოვნილებანი.

უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის დარგში ჯერ-ჯერობით ვერ არის დაყენებული საქმე ისე, როგორც სასურველია. შრომის ინსპექცია, რომელიც მეტად დატვირთულია მუშაობით. საკმაო ყურადღებას ვერ აქცევს სააღმშენებლო მუშაობას. მიუხედავად ამისა უბედურ შემთხვევათა რიცხვი დიდი არ არის. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში უბედურ შემთხვევათა რიცხვი უდრიდა შვიდს.

დიდი მუშაობა იქნა აგრეთვე ჩატარებული კულტურულ-განმანათლებელ დარგში. გაძლიერდა მუშაობა წითელ კუთხეებსა და კლუბებში. მოწყობილია დასასვენებელი კუთხეები, წრეები და სხვა.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა მე-6 ყრილობა

მეცხრე და მეათე სხდომა

20 აპრილის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი „ზაკავტოპრომტორგი"-ის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **ცურინოვის** მოხსენების გარშემო, რომელსაც მოუნდა მთელი დილის სხდომა.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა „ზაკპოგრუზ"-ის საქართველოს რესპუბლიკანური განყოფილების თავმჯდომარის ამხ. **ვ. ხუნდაძის** მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განყოფილება ამჟამად აერთიანებს 2703 მუშას და 52 მოსამსახურეს. მუშის საშუალო თვიური ხელფასი უდრის 46 მანეთს 20 კაპ. ამას გარდა მუშებს ეძლევა დატვირთვა 10-35 პროცენტამდე.

განყოფილების საერთო საშუალო თვიური შემოსავალი უდრის 170.241 მანეთს, გასავალი კი 166.002 მანეთს; აქედან უმეტესი ნაწილი მიდის ხელფასზე.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ კოლექტიური ხელშეკრულებების ყველა მუხლები არ ტარდება ცხოვრებაში, ვერ არის მოგვარებული სპეცტანისამოსის დარიგების საქმე, ზოგიერთ სადგურებზე მუშებს არ აქვთ პირსაბანები, არ ეძლევათ საპონი და სხვა.

დღევანდელ სხდომაზე მოხდება ცენტრალური გამგეობის, სარევიზიო კომისიის და ტრანსპორტელთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები, რის შემდეგაც ყრილობა დაიხურება.

მედსანშრომის კავშირის სამაზრო-საქალაქო კონფერენცია

19 აპრილს მედსანშრომის მუშაკთა კლუბში შესდგა მედსანშრომის კავშირის მუშაკთა თბილისის სამაზრო-საქალაქო კონფერენცია. მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: საწარმოო თათბირების და ეკონომიური კომისიების და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ.

დღის წესრიგის გარეშე კონფერენციამ მოისმინა კავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრის ამხ. **სტეფანოვის** მოხსენება ჩინეთის ამბების შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში და მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენციამ პროტესტი გამოსთქვა ჩინეთში მომხდარ ამბების შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ე. ანდღულაძე,** რომელმაც საერთოდ გააშუქა საწარმოო თათბირების და ეკონომკომისიების მნიშვნელობა.

მომხსენებელი შეეხო ამ საქმის დაყენებას მედსანშრომის კავშირში, აღნიშნა, რომ იგი დიდი ხანი არ არის, რაც შემოიღეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიღწევები უკვე აღსანიშნავია.

დასასრულ ორატორმა გააშუქა საქმიანობის მომავალი მიზნები და ამოცანები.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ადმინისტრაციის არა დამაკმაყოფილებელი მიდგომა საწარმოო თათბირების და ეკონომკომისიებისადმი და მოითხოვეს ყურადღების მიპყრობა ამ საქმისადმი.

შემდეგ ბიუროკრატიზმის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს მუშგლეხინის წარმომადგენელმა ამხ. **შ. დადიანმა.**

ორივე მოხსენების შესახებ კონფერენციამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუციები.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია დელეგატები საქართველოს პროფკავშირების ყრილობაზე.

დელეგატად არჩეულ იქნა 12 კაცი, ხოლო მათ, კანდიდატებათ—შვიდი.

ქრონიკა

მისალმება საქართველოს მთავრობას

მაჩხაანიდან საქართველოს მთავრობის სახელზე მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„მეცხვარეთა ყრილობა გესალმებათ საქართველოს მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლთ, გისურვებთ გამარჯვებას დასახულ მიზნებისათვის ბრძოლაში.

ყრილობის პრეზიდიუმი".

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი ქალაქის მასშტაბით, რომელიც უნდა შემდგარიყო გუშინ, გადაიდო.

მუშათა დაზღვევა

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოიმუშავა ახალი დადგენილება სეზონურ და დროებით სამუშაოებზე დაბანდებულ მუშების შესახებ. დადგენილება შეეხება არა ყველა სეზონური და დროებით სამუშაოებს, არამედ ისეთებს, რომელიც შეტანილი იქნება არსებული სოცდაზღვევის საბჭოს მიერ გამოცემულ განსაკუთრებულ სიებში.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი მუშათა თეატრი.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ავლაბარში მუშათა ახალი თეატრის აგების გეგმა. თეატრის აგებას შეუდგებიან მიმდინარე წელს.

◆ **ქალაქის განაპირა უბნებში.** თბ. აღმასკომის დადგენილებით აკრძალულია უვარგის მასალით სახლებისა და დროებითი საცხოვრებლების აგება.

◆ **საბინაო მშენებლობა.** თბილისის აღმასკომმა კომუნალურ მეურნეობას დაავალა ავლაბრის რაიონში ააგოს მუშათა 3 ახალი სახლი.

◆ **წყალსადენი მაზრაში.** მანგლისის წყალსადენის მთავარ მაგისტრალის გასაფართოვებლად და ახალი წყაროების გამოსაყვანად აღმასკომმა გადასდო 28.000 მანეთი.

◆ **წყალსადენის გაფართოვება.** მიმდინარე წელში საბურთალოზე გაყვანილი იქნება წყალსადენის მაგისტრალი 2.093 მეტრის მანძილზე.

◆ **ახალი საავადმყოფო.** საგარეჯოში ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა საავადმყოფოს აგებას. საავადმყოფოს აგება დამთავრდება წელს.

◆ მტკვრის ადიდების გამო თბილისის ბორნების მუშაობა შეჩერებულია.

სახელგამის ახალი გამოცემა

გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში: ალექსანდრე გორგაძე — „საქართველოს მე-18 საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები", ილიუსტრაციით და რუქებით. წიგნი შეიცავს 62 გვერდს და ღირს 50 კაპ. ჟურნალი „პიონერი" № 7 (აპრილის) 24 გვ. ფასი 25 კაპ. „ნაკადული" № 4 32 გვ. ფასი 35 კაპ.

სხვადასხვა

◆ მუშკოოპმა მარტში მუშა - მოსამსახურეებზე გასცა კრედიტების სახით 94.000 მანეთის ფართლეულობა.

◆ სოციალური გიგიენის მუზეუმი დაიხურა შეკეთების გამო. მუზეუმი გაიხსნება 26 აპრილს.

ექსკურსიები

ბაქოში და ზაჰესში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შაბათს, 23 აპრილს, აწყობს პროფკავშირთა წევრების ექსკურსიას ბაქოში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საწარმო პროფკავშირების (მეტყავეთა, მელითონეთა, გემოკავების და სხვა) წევრები 120 კაცამდე.

ექსკურსიის მიზანია ბაქოს სამრეწველო დაწესებულებების და სამრეწველო პროცესების შესწავლა. ექსკურსანტები ბაქოში დარჩებიან 4-5 დღე. ექსკურსია თბილისიდან გავა შაბათს, ღამის 1 საათზე.

მეორე მასიური ექსკურსია მიემგზავრება ზაჰესში კვირას, 24 აპრილს, დილის 10 საათზე. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებენ 1.000-მდე მუშა - მოსამსახურე და მათი ოჯახების წევრები.

ბილეთი ზაჰესამდე და ზაჰესიდან თბილისამდე ღირს 70 კაპ. ექსკურსანტებმა თან უნდა იქონიონ ერთი დღის საგზალი. ექსკურსია თბილისში დაბრუნდება იმავე დღის 5 საათზე.

ბავშვების ჯანმრთელობის დაცვა

დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეების ბავშვები სრულიად არ სარგებლობენ სანიტარულ- საკურორტო მკურნალობით, უმეტესი ნაწილი ბავშვებისა ცხოვრობენ ქალაქებში, ხშირად ძალიან მძიმე პირობებში და ამის გამო ისინი საჭიროებენ ჯეროვან მკურნალობას.

ა. კ. სადაზღვევო სალაროს წრევანდელ საკურორტო სეზონში განზრახული აქვს ბავშვთა შორის გამაჯანსაღებელ მუშაობის დაწყება.

ამ მიზნით შევდლიანის (ბაქოს ახლოს) საბავშვო კოლონიაში სამწყებათ გატარებულ იქნება 120 ბავშვი (რკინის გზელების შვილები). ამ კოლონიაში ბავშვებს გაგზავნიან მხოლოდ სპეციალური საექიმო კომისიაში გატარების შემდეგ.

შევდლიანის კოლონიას ეძლევა სანატორიუმის ხასიათი, რისთვისაც ბავშვებზე თვალყურის სადევნებლად იწვევენ სპეციალურ ექიმ-ინსტრუქტორს. მისი ზედამხედველობის ქვეშ, ბავშვები ისარგებლებენ ზღვის აბაზანებით, სილის და მზის ვანებით,, ყურძნით მკურნალობით და სხვა.

სასამართლო

ბოროტმოქმედება თამბაქოს ტრესტის მაღაზიებში

(ქ. კუციდის და ს. ლორთქიფანიძის საქმე)

მეორე დღე

გუშინ მორიგი სხდომა გაიხსნა დილის 11 საათზე.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ბრალდებულმა კუციდიმ განაცხადა:

— მე დამნაშავედ ვგრძნობ თავს ძალაუფლების გადამეტებაში, რომ დიდძალი თანხის საქონელი გავეცი ნისიად, ხოლო მითვისებასა და გაფლანგვაში თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ.

ბრალდებულმა **ლორთქიფანიძემ** თავი სცნო დამნაშავედ მხოლოდ ყალბი საბუთების შედგენაში.

პროკურორმა **გაბუნიამ** შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე პირველ რიგში მოწმეების დაკითხვის შესახებ.

სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე **პევცოვი** (თამბაქოს ტრესტის მმართველი).

მოწმე აუწყებს სასამართლოს, რომ მაღაზიის გამგეს ჰქონდა უფლება თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ გაეცა კლიენტებზე 10.000 მანეთის საქონელი.

მოწმის სიტყვით ბრალდებულ კუციდის არ უთქვამს მისთვის, რომ ს. ლორთქიფანიძეს მან ასესხა 7.350 მანეთის საქონელი.

შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე **ჯიმუხაძე** (თამბაქოს ტრესტის სავაჭრო განყ. გამგე), რომელმაც მოუთხრო სასამართლოს, თუ რა წესით სწარმოებდა ტრესტის მაღაზიებიდან საქონლის ნისიად გაცემა. მოწმის სიტყვით, მაღაზიის გამგეს უფლება არ ჰქონდა 500 მ. მეტი საქონელი გაეცა ნისიათ. ინსტრუქციის თანახმად გამგეს ევალება კლიენტის საკრედიტო უნარიანობის გამორკვევა და ნისიათ გაცემულ საქონლის თამასუქებით ანაზღაურება.

ინჟ. მორდინოვის საქმე.

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ინჟინერ მორდინოვის და ბოჭორიძის საქმე.

1925 წ. ნოემბერში ინჟ. მორდინოვი დანიშნულ იქნა ალაზნის არხის სამუშაოს უფროსად.

მორდინოვმა ზოგიერთი სამუშაოები მისცა იჯარით მოქ. ხაზინსა და სკობლოს.

ხელშეკრულების ძალით, მოიჯარადრეებს უნდა შეესრულებინათ განსაზღვრული სამუშაო, რისთვისაც მიიღებდენ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ხელფასს და პროცენტებს.

1925 წ. აღმოჩნდა, რომ მოქ. მორდინოვს მოიჯარადრეებზე გაცემული აქვს დიდი თანხა, ხოლო სინამდვილეში მოიჯარადრეებს ნაკლები სამუშაო აქვთ შესრულებული. ამის გამო მოხდენილ იქნა რევიზია; რევიზიით და ექსპერტებით გამოირკვა, რომ მორდინოვს ზედმეტად გაცემული აქვს მოიჯარადრეებზე 10.971 მან.

გამოირკვა, რომ მორდინოვი მოიჯარადრეებთან ერთად ქეიფობდა და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა.

მოიჯარადრეებისაგან შესრულებულ სამუშაოს მორდინოვი ღებულობდა კომისიის გარეშე. მორდინოვი არ აწარმოებდა აგრეთვე სამუშაოთა ტეხნიკურ ზედამხედველობას.

იმის ნაცვლად, რომ დაეზოგა სახაზინო ქონება და გაეტარებია ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმი, მორდინოვი ანიავებდა სახაზინო ქონებას და მოიჯარადრეებს აძლევდა ფულს მათი მოთხოვნილებისამებრ.

მორდინოვის წესისამებრ მუშაობას აწარმოებდა კარდანახის და წნორის-წყალის არხის სამუშაოთა უფროსი ინჟ. **ბოჭორიძე**.

ბოჭორიძე გულგრილად ეკიდებოდა საქმეს და მოიჯარადრეების მუშაობას ზედამხედველობას არ უწევდა.

ამგვარი „საქმიანობით" ბოჭორიძემ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიაყენა 1.799 მანეთის ზარალი.

ამის გამო მოქ. მორდინოვი და ბოჭორიძე პასუხისგებაში მისცეს. საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

ახალი სტადიონი

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დაამთავრა ახალი დიდი სტადიონის პროექტის შედგენა.

სტადიონი მოწყობილი იქნება ვაკეზე და დაიტევს 10.000-დე მოვარჯიშეს. მაყურებლებისათვის მოწყობილი იქნება დიდი ამფითეატრი, რომელიც დაიტევს 5.000 კაცს.

სტადიონს ექნება შემდეგი განყოფილებები ფეხბურთის და კალათბურთის მოედნები, ველოდრომი (ველოსიპედებისა და მოტოციკლებისათვის), სარბენი მოედანი და სხვა.

პროექტს ახლო ხანში განიხილავს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, რის შემდეგაც დაიწყება სტადიონის აგება.

ჩაი ამიერ-კავკასიისათვის

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის სავაჭრო ორგანიზაციებს მესამე კვარტალში (აპრილი-ივნისი) დათმობილი აქვთ 180.000 კილოგრამი საზღვარგარეთული შავი ჩაი, (უმაღლესი ხარისხისა—70 პროც., საშუალო ხარისხისა—20 პროც. და დაბალი ხარისხისა—10 პროც.).

ჩაის აღნიშნული რაოდენობის განაწილება სავაჭრო ორგანიზაციებს შორის დაკისრებული აქვს ა. კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს.

ხელოვნება

სახალხო არტისტის ზაქარია ფალიაშვილის საპატივცემო საღამო „ჰაიარტუნში"

ჰაიარტუნის მუსიკალურ სტუდიის დირექტორის **რომანოზ მელიქიანის** ინიციატივით სტუდიამ გამართა სახალხო არტისტის კომპოზიტორ **ზაქარია ფალიაშვილის** საპატივცემო საღამო.

ნაციონალური მუსიკის მნიშვნელობის შესახებ შესავალი სიტყვა წარმოსთქვა კომპოზიტორმა **მეღვინეთ - უხუცესმა**, რომელმაც აღნიშნა ზაქარია ფალიაშვილის დამსახურება ქართულ ხალხურ მელოდიების შეკრეფის დარგში, იმ მელოდიების, რომლებიც საფუძვლად დაედვა ზაქარია ფალიაშვილის ოპერებს. შემდეგ შესდგა კონცერტი ზაქარია ფალიაშვილის საკონცერტო და საოპერო ნაწარმოებებისაგან ოპერის მომღერალების **გაბაშიძის, მრავალის, ქუმსიაშვილის** და **ვენაძის** შესრულებით. საბალეტო მუსიკა ფალიაშვილის ოპერებიდან შეასრულა პიანისტმა **ტერ - დავთიანმა**. საღამოზე ყველა შემსრულებელნი სათანადო სიმაღლეზე იდგენ. მომღერალმა გაბაშიძემ პირველად შეასრულა არია ზაქარია ფალიაშვილის ახალ, ჯერ დაუმთავრებელ ოპერა „ლატავრადან". როგორც სჩანს კომპოზიტორი ამ ახალ ნაწარმოებშიაც უმთავრეს მნიშვნელობას აქცევს მელოდიებს. არიის შესრულებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ახალ ნაწარმოებისადმი (რომელიც დადგმულ იქნება მომავალ სეზონში). როიალზე უკრავდა თვით ავტორი. საღამოს დაესწრენ მუსიკალურ წრეების წარმომადგენლები. საღამოს უაღრესად გულწრფელი ხასიათი ჰქონდა.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა შორის

ხუთშაბათს. 12 აპრილს სად. 6 საათზე საქ. კ. პ. ცეკაში, მოწვეულია პროლეტ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის კომ-ფრაქციის სხდომა. აუცილებელია შემდეგი ამხანაგების დასწრება: გ. მუშიშვილი, ვ. მაჭავარიანი, სუ[illegible], ს. ტოლიძე. [illegible], ს. ეული, ბუაჩიძე. ზომლეთელი, ესაკია, რადიანი, თოდრია, სტური, ლევიტი, კრეიტანი, ვარტანიანი პოგოსიანი, ცერტინი, ხუხუნაიშვილი, რონდელი, ფეოდოსიშვილი, დუდუჩავა და მაიერი.

დრამატურგ მ. ბულგაკოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა დრამატურგი **მიხ. ბულგაკოვი** — ავტორი „ზოიას ბინა"-სი და „ტურბინის დღეები"-სა, რომლებიც ამჟამად იდგმება მოსკოვის პირველ სამხატვრო აკადემიურ თეატრში და ვახტანგოვის სახელობის სტუდიაში.

◆ **აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების** მესამე ტომი, სახელგამის გამოცემა, გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში. მესამე ტომში მოთავსებულია დრამები: „პირუტყვების არჩევანი", „ძველსა და ახალს შუა", „ადვოკატის დილა", „სცენა საპატიმროში", „ენების გასამართლება", „კინტო", „ქუდურ ხანუმ", „მედია", „პატარა კახი", „ახალი გმირი", „რეაქცია". წიგნს დართული აქვს შენიშვნები და ბიბლიოგრაფია, გამოცემულია **ს. გორგაძის** და **ს. აბაშელის** რედაქციით, შეიცავს 405 გვერდს და ღირს 3 მან.

◆ **კარლო კალაძის ახალი წიგნი** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა გასასყიდლათ **კარლო კალაძის** „რჩეული ლექსები". გამოცემა სახელგამის.

◆ **სამხატვრო თეატრის** მუსიკალური სტუდიის მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „კარმენსიტა და ჯარისკაცი".

◆ **„ლამარა".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა"

რადიო-გადაცემების პროგრამა

პარასკევი—22 აპრილი

1) პიონერთა რადიო-გაზეთი (რუსულად და ქართულად) 7—7—2, 2) პროფკავშირები ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში (ქართულად) 7-20—7-40, 3) ტეხნიკური კონსულტაცია (რუსულად) 7—40—8, 4) ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (რუსულად და ქართულად) 8—8—10, 5) ოპერის ტრანსლიაცია——8—10—11.

შაბათი 23 აპრილი

1) ლენინის ბიოგრაფია (რუსულად)—7—7—30, 2) ლენინი და ბავშვები (რუსულად)—7—30—8, 3) ლენინის მოძღვრების საფუძვლები. ა) ლენინი და გლეხობა (ქართულად), ბ) ლენინი და ნაციონალური საკითხი (რუსულად) 8—30—9, გ) ლენინი და სოციალისტური მშენებლობის გზები (რუსულად) 9—9—30, 4) ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (რუსულად და ქართულად)—9-30—9-40, 5) კონცერტი—9—40—11.

კვირა—24 აპრილი

1) აღდგომის დღესასწაულის წარმოშობა (ქართულად) 7-7—30, 2) კომკავშირის გაზეთი (რუსულად და ქართულად) 7-30—8, 3) საგლეხო გაზეთი (ქართულად) 8-8—30, 4) ტეხნიკური კონსულტაცია—8.30—8.50, 5) ა.-კ. დეპ. სააგენტოს ინფორმაცია—8-50—9, 6) ანტირელიგიური კონცერტი—9—11.

ორშაბათი—25 აპრილი

1) იყო თუ არა ქრისტე? (რუსულად)—7—7—30, 2) ახალი ყოფა-ცხოვრება და აღდგომა (ქართულად) 7-30—8, 3) ფიზკულტურა ზაფხულში (ქართულად) 8—8-20, 4) საუბარი რადიო-ტეხნიკაზე (ქართულად) 8-20—8-40, 5) კომკავშირის გაზეთი (ქართულად) 8-40—9, 6) ა.-კ. დეპეშ. სააგენტოს ინფორმაცია (ქართულად და რუსულად) 9—9—10, 7) მოსკოვის სამხ. თეატრის ხიმებიან კვარტეტის ტრანსლიაცია (რუსულად) თეატრის საკონცერტო დარბაზიდან—9-10—11.

ბიბლიოგრაფია

ს. გოდაბრელიძე—საწარმოო და ეკონომიური თათბირები

სახელმძღვანელო პროფკავშირებისა და სამე-ურნეო ორგანოებისათვის, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, საწარმოო და ეკონომიური კომისიების წევრებისათვის და თათბირის მონაწილეთათვის

გამომცემლობა „შრომა" ფასი 80 კაპ.

გასაგებია, სამეურნეო მიღწევებისთვის როგორი მნიშვნელობა ეძლევა სამეურნეო აპარატის გამარტივებას და შრომის რაციონალურად გამოყენებას. სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელების, მეურნეობ. უმაღლეს მწვერვალების მეთაურთა და თვითეულ მუშაკის მიზანი უნდა იყოს ჩვენი წარმოების რაციონალიზაცია.

ეს საქმე უშუალოდ დაკისრებული აქვთ საწარმოო და ეკონომიურ კომისიებს და თათბირებს. ამ კომისიების და თათბირების შემადგენლობის და ამოცანების შესახებ დღემდე ჩვენში არც ერთი წიგნაკი არ მოიპოვებოდა. და აღნიშნული ნაკლის შევსებას ცდილობს ავტორი. საბიბლიოგრაფიო წიგნში დაწვრილებით არის განხილული ყველა საკითხი, რომელიც ამ ორგანოების მუშაობასთან არის დაკავშირებული. წიგნში განხილულია კომისიების და თათბირების შედგენის საკითხი, მათ მიერ გასარჩევი საკითხების შინაარსი, გეგმიანობა, შემადგენლობა, თათბირების და ადმინისტრატიული პერსონალის ურთიერთობა, გამოგონებათა საკითხი და სხვა. საწარმოთ თათბირები ერთგვარი „მუშათა პარლამენტია", სადაც მთელი საამშენებლო ძალის გულისყური იქითკენ არის მიმართული, რომ გადიდდეს ჩვენი ტეხნიკური კულტურა" და მიმართოს მუშა-ძალის მასსიური პსიქიკა საწარმოო აქტივობისაკენ", რაც შეეხება ამ თათბირების შემადგენლობას, მასში შედიან წარმოების (ან დაწესებულების) ყველა მუშაკი, მუშებიდან ადმინისტრატორამდე. პროფესიონალური წესით, სადაც ყველანი თანასწორი უფლებით არის. თათბირის შემადგენლობა არ არის მუდმივი, და იქ გადამწყვეტი ხმით სარგებლობს შემთხვევით, ერთ სხდომაზე დამსწრეც კი, საწარმოო და ეკონომიური თათბირების არსებითი განსხვავება გამომდინარეობს თვითონ სამეურნეო აპარატის ხასიათისაგან. საწარმოო კომისია არსებობს საწარმოო პროცესის მატარებელ ორგანოებში, ხოლო ეკონომიური თათბირი ისეთ დაწესებულებებში, რომელსაც წმინდა საწარმოო ხასიათი არა აქვს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თავი „გამოგონებათა, გაუმჯობესებათა და საქმიან წინადადებათა წახალისების" შესახებ. უდავოა, რომ მუშა, თუნდაც იგი მოკლებული იყოს ყოველგვარ კლასიურ ცოდნას, რომელიც წლობით მუშაობს უმნიშვნელო ოპერაციაზე, შეუძლია გააუმჯობესოს ამ მუშაობის ხერხი, და თავისი შრომის ნაყოფიერება გაადიდოს, ან თავის სამუშაოს სრულიად სხვა სახე მისცეს. მხოლოდ ასეთი მოქმედებისათვის მას სჭირია ყურადღება და წახალისება. ეს საკითხი ჩვენს სამეურნეო ორგანოებში არ არის კარგად მოგვარებული. არ არის საკითხისადმი კულტურული მიდგომა. მუშის გამოგონებას ხშირად წინ ეღობება სპეციალისტთა და აადმინისტრაციის თავმოყვარეობა. ხშირი შემთხვევა იყო, რომ უაღრესი მნიშვნელობის გამოგონებისათვის სულ მცირედი ჯილდო მიუციათ, ან და უყურადღებობის გამო სრულიად არ ყოფილა გამოყენებული. უკანასკნელად ეს საკითხი საგანგებოდ დამუშავდა. სამეურნეო ორგანოებს ევალებათ დიდი ყურადღებით მოეპყრან გამომგონთა თვითეულ მიღწევებს. უმნიშვნელო გაუმჯობესებასაც კი. ნივთიერად დააჯილდოონ ისინი, წაახალისონ მორალურად. ნივთიერ დაჯილდოვებისათვის ს. მ. უ. ს. მიერ შექმნილია „დაჯილდოების საგანგებო ფონდი", შემუშავებულია მტკიცე განაკვეთი.

წიგნის ნაცვლად შეიძლება ჩაითვალოს ციტატებით ძალიან დატვირთვა. მართალია, ავტორი წინასიტყვაობაში თვითონ შენიშნავს, რომ წიგნი დაწერილია არა პირადი თვალსაზრისით, არამედ სრულად „შეთანხმებულად ხელმძღვანელ პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ხაზთან ამ საქმეში", მაგრამ მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ შეიძლება წიგნის მრავალი ციტატებისაგან განტვირთვა. საჭირო იყო აგრეთვე საწარმოო და ეკონომიურ თათბირების განსხვავებაზე უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ასეთია საერთოდ ის საკითხები რომელსაც წიგნი ეხება. წიგნში დაწვრილებით არის განხილული უმნიშვნელოვანეს საკითხიდან წვრილმანამდე. წიგნი შედგენილია საქმიანად, კარგია ენა, გამოცემული კარგად და იაფია.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს, აღნიშნულ ორგანიზაციებს და ამ საქმეში ჩაბმულ ყველა მუშაკებს.

ვ. მ.

სოცდაზღვევა

საქართველოს სოციალურ დაზღვევის სამმართველოს ცნობით, მთელ საქართველოში დამთავრდა სოციალურ დაზღვევის კამპანიის ჩატარება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ოზურგეთის მაზრა, სადაც აპრილის ბოლო რიცხვებში ჩატარდება სოცდაზღვევის ორგანოების გადარჩევა.

რაც შეეხება თბილისს, აქ კამპანია დაიწყო ორიოდე კვირის წინად და ახლო მომავალში დამთავრდება.

მეცნიერება და ტეხნიკა

საშუალება მალარიის წინააღმდეგ

პლაზმოხინი

გერმანიის ბუნებისმეტყველთა და ექიმების უკანასკნელმა ყრილობამ ოთხი მოხსენება დაუთმო ახალ საშუალებას მალარიის წინააღმდეგ. ეს საშუალება მიღებულია ელბერფელდის ქიმიურ ფაბრიკის ლაბორატორიაში სამი მკლევარის — **შულემანის, შონხოფერის** და **ვინგლერის** მიერ და ეწოდება „პლაზმოხინი".

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პლაზმოხინი უფრო უკეთესი საშუალება მალარიის წინააღმდეგ ვინემ ქინაქინა.

ახალი სამკურნალო პრეპარატის შემოღებას პრაქტიკაში ჩვეულებრივ წინ უძღოდა ცდები ცხოველებზე. საბედნიეროთ, მალარიას ფრინველებში იწვევს პარაზიტი, რომელსაც დიდი მსგავსება აქვთ ადამიანში მალარიის გამომწვევ პარაზიტთან. და თვით ფრინველების დაავადება მალარიით ხდება კოღოს კბენის საშუალებით. ამან წარმოშვა აზრი გამოეცადათ ფრინველებზე მთელი რიგი მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატები. ცდებმა ამ მიმართულებით დაამტკიცეს, რომ პლაზმოხინის მარილმჟავა მარილი ისეთივე გავლენას ახდენს მალარიით ავადმყოფ ფრინველებზე, როგორც ქინა- ქინა, მაგრამ 60-ჯერ ნაკლები დოზით, ვიდრე უკანასკნელი. ცდები ამტკიცებენ, რომ პლაზმოხინი უშუალოდ პარაზიტებზე მოქმედობს.

ვინაიდან პლაზმოხინს, მცირე დოზაშიც, რომ იყოს იგი, შეუძლია შეაჩეროს პარაზიტის განვითარება, მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება წინასწარი გამაფრთხილებელი ზომების მიღების დროს (პროფილაქტიკაში).

ცდებმა, რომელიც მოახდინეს პროფ. სიოლის კლინიკაში (დიუსელდორფში) პროგრესიული სიდამბლით შეპყრობილ გიჟებზე, დაამტკიცეს ახალი სამკურნალო საშუალების უდიდესი მნიშვნელობა.

1925 წ. აგვისტოდან პროფ. **მიულენსი** ჰამბურგის (გერმანია) ტროპიკულ ინსტიტუტში პლაზმოხინს ხმარობს მალარიით შეპყრობილ ადამიანთა სამკურნალოდ. შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელია. პლაზმოხინს აძლევენ 0.1 — 0.15 გრამის რაოდენობით დღეში, 4-6 კვირის განმავლობაში დროგამოშვებით, იმის მსგავსად, როგორც ატარებენ ქინა-ქინით მკურნალობას, უკვე მკურნალობის რამოდენიმე დღის შემდეგ, თუ ავადმყოფობა ძველი არ არის, ადამიანის სისხლში პარაზიტები ქრებიან. პლაზმოხინი პარაზიტის ისეთ ფორმებზეც კი მოქმედობს, რომლებიც იწვევენ მალარიის განმეორებას და რომლებზედაც ქინა-ქინა ზოგჯერ არაივითარ გავლენას არ ახდენს. ავადმყოფობის განმეორება პლაზმოხინით მკურნალობის შემდეგ თითქმის არ შეუმჩნევიათ.

პრეპარატს არა აქვს არასასიამოვნო გემო. ავადმყოფები მას სიამოვნებით ღებულობენ და ამაშია, აგრეთვე, მისი უეჭველი უპირატესობა ქინა-ქინას წინაშე.

მაგრამ პროფ. **მიულენსი** განსაკუთრებით ურჩევს ავადმყოფებს მალარიის მკურნალობას პლაზმოხინითაც და ქინა-ქინითაც. ექიმობა ამ შემთხვევაში .განსაცვიფრებელ შედეგებს იძლევა — განკურნების შემთხვევები სულ 100 პროცენტს უდრის.

იმ ქვეყნებისათვის, სადაც მალარია ძლიერ გავრცელებულია, პლაზმოხინის აღმოჩენა უდიდეს მოვლენას მოასწავებს.

ნარევი

სურათების ხატვა წყალ ქვეშ

ზღვა ნაპირებთან ზოგჯერ ისეთი წყნარი და გამჭვირვალეა, რომ ნავიდან შეიძლება ზღვის ფსკერისა და ყველაფერი იმის დანახვა, რაც წყალის სიღრმეში ხდება.

მხატვარი **ზარი**, რომელმაც ერთხელ ნავის სეირნობის დროს დაინახა წყალქვეშა ცხოვრება, ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ გადასწყვიტა ჩაშვებულიყო ზღვის ფსკერზე, რათა უფრო ახლო გასცნობოდა ამ სილამაზეს. ამ მიზნით მან ჩაიცვა წყალმყვინთავის ტანსაცმელი და დაეშვა ფსკერზე. ზევით ამოსვლის შემდეგ იგი შეეცადა, აღედგინა თავის მეხსიერებაში რაც იქ ნახა და დახატა რამოდენიმე სურათი, რომლებმაც ის არ დააკმაყოფილეს. წყალქვეშა ტონების დამახსოვრება ერთი შეხედვით არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მაშინ მან გადასწყვიტა სურათების დახატვა წყალქვეშ.

ამ განზრახვის განხორციელებას გადაეღობა მრავალი დაბრკოლება, რომელთა გადალახვა მოუხდა მხატვარს. ყველაზე ძნელი იყო, რასაკვირველია, საღებავების საკითხი. საჭირო იყო მიღწევა იმის, რომ საღებავები წყალში არ დაშლილიყვნენ. ამას მხატვარმა მიაღწია იმით, რომ სახატავი ტილო ზეთით გაჟღინთა და იხმარა სქელი საღებავები. როცა ყველაფერი მზად იყო, ის წყალმყვინთავის ტანსაცმელში დაეშვა ზღვის ფსკერზე და მონახა შესაფერი პეიზაჟი. მაშინ მან მისცა ნიშანი და მხატვარს ნავიდან მიაწოდა მისი ტილო, ყუთი. ზარის მიერ წყალქვეშ დახატული სურათები ძლიერ მოეწონათ.

ბავშვების რიცხვი, მათი სიკვდილიანობა და მშობლების სოც. მდგომარეობა

გერმანული სტატისტიკის ცნობებით, ბავშვების რიცხვი და მათი სიკვდილიანობა (მშობლების სოციალური მდგომარეობის მიხედვით) შეადგენს (ათას ოჯახზე):

	ბავშვების რიცხვი	მათი სიკვ.
მუშების	596,4	20,7
მოსამსახურეების	431,9	16,3
ხელოსნების	383,1	15,6
ვაჭრების	341,0	9,0
თავისუფ. პროფ. პირ.	320,8	8,1
მოხ. და მასწავლ.	304,0	6,1
მეცნიერების	270,7	5,4

მადლობა

(წერილები რედ. მიმართ)

ს. ს. ს. რ. სახალხო არტისტი ამხ. **ნ. გოცირიძე**, მიიღო რა მან მხედველობაში რადიო-კონცერტების მნიშვნელობა და რადიო-მსმენელთა შემადგენლობა, რომელსაც წარმოადგენენ მეტ ნაწილად მუშები, გლეხები და ახალგაზრდობა, უსასყიდლოთ გამოვიდა კონცერტში ა.-წ. 15 აპრილს და ამით საუკეთესო მაგალითი უჩვენა ზოგიერთ არტისტებს.

აღვნიშნავ რა ასეთ სასიხარულო ფაქტს „რადიო-გადამცემის" სახელით უღრმეს მადლობას უძღვნი პატივცემულ ამხ. ნ. გოცირიძეს.

„რადიო-გადამცემის" რწმუნებული ა.-კ.

ი. გედევანიშვილი.

სრულიად საქართველოს წყლის ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის რაიონული კომიტეტი უღრმეს მადლობას უცხადებს საქართველოს განათლების სახალხო კომისარს ამხ. დავით კანდელაკს, რომელმაც 400 მანეთის ღირებული ქართული ლიტერატურა უსასყიდლოთ გადმოსცა კავშირის სამკითხველოს და აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს, რომელმაც ამავე მიზნით გაიღო 70 მან. ლიტერატურა.

რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ქუნჭულია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 39

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის გადასახდელის დადების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ს. თოდრია.

1927 წ. მარტის 19.

თბილისი-სასახლე.

დებულება

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ადმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის გადასახდელის დადების შესახებ.

1. გადასახდელს ისეთ ქმედობისათვის, რაც, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დევნილ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით, დაადებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს — მაზრის მილიციის უფროსი, უკეთუ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში სხვა რამ არ არის ნათქვამი.

შენიშვნა: ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესი ისეთი საქმის გამო, რაც თემის აღმასრულებელ კომიტეტს ექვემდებარება, განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით.

2. ოქმს კანონის დარღვევის შესახებ შეადგენს მილიცია, ხოლო სათანადო შემთხვევაში ის ორგანო, რომელსაც საამისო უფლება მინიჭებული აქვს სპეციალური კანონით. სოფლად ოქმის შედგენა შეუძლიან აგრეთვე თემის აღმასკომის წევრსაც.

3. ოქმს ხელს მოაწერენ ოქმის შემდგენი, ბრალდებული და მოწმეები, უკეთუ ეს უკანასკნელნი იქნებიან.

უკეთუ ბრალდებული იუარებს ოქმზე ხელის მოწერას, ეს გარემოება და უარის მოტივი აღინიშნება ოქმში. ხელის მოწერაზე უარის თქმა ვერ შეაჩერებს ოქმის სათანადოდ წარმართვას.

4. შედგენილი ოქმი დაუყოვნებლივ გაიგზავნება კუთვნილებისამებრ, დებულების 1 მუხ. თანახმად.

შენიშვნა 1. უკეთუ კანონს დაარღვევს მცირეწლოვანი ან არა სრულწლოვანი 16—წლამდე, ოქმი გაეგზავნება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

შენიშვნა 2. უკეთუ ამა მუხლის წესისამებრ გაგზავნილ ოქმიდან სჩანს, რომ საქმე სასამართლოს ან სხვა ორგანოს ექვემდებარება ოქმის მიმღები ორგანო მას კუთვნილისამებრ გაუგზავნის.

5. უკეთუ გადასახდელის ადმინისტრატიული წესით გადაწყვეტამდე, საქმეს განსახილველად სასამართლო მიიღებს, ბრალდებულს ადმინისტრატიული გადასახდელი ამავე ქმედობისათვის ვერ დაედება.

6. ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადება შეიძლება მხოლოდ სამი თვის განმავლობაში დღიდან დანაშაულის ჩადენისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმე მოისპობა.

7. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ უნდა იყოს წერილობითი.

დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) დადგენილების გამოტანის დრო—წელიწადი, თვე და რიცხვი.

ბ) თანამდებობის პირი, რომელმაც დადგენილება გამოიტანა;

გ) დამნაშავის სახელი, მამის სახელი, გვარი, წლოვანება და სოციალური მდგომარეობა;

დ) ქმედობა, რაც დამნაშავის ბრალდება, დაქმედობის ჩადენის ადგილი და დრო;

ე) სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რითაც გათვალისწინებულია ქმედობა;

ვ) დადებული გადასახდელი;

დადგენილებას ხელს მოაწერს ის პირი, რომელმაც იგი გამოიტანა.

8. ის ქმედობა, რომელიც ბრალად ედება დამნაშავეს, სავსებით უნდა შეეფერებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლს, რაც აღნიშნულია დადგენილებაში გადასახდელის დადების შესახებ.

9. გადასახდელის დადების დადგენილების ასლი უნდა ჩაჰბარდეს იმ პირს, რომელსაც გადასახდელი დაედება, თანაც უნდა გამოეცხადოს გასაჩივრების წესი და ვადა.

10. იმ პირს, ვისაც გადასახდელი დაედება, შეუძლიან შვიდი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების ასლის ჩაბარებისა, სთხოვოს [illegible] ორგანოს აღნიშნული დადგენილების გადასინჯვა ან გასაჩივროს ეს დადგენილება სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

11. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს გადასახდელის დამდებ ორგანოს მეშვეობით, ხოლო იგი სამი დღის განმავლობაში წარადგენს ამ საჩივარს მაღლად საქმითურთ კუთვნილებისამებრ.

12. საჩივრის შეტანა ან თხოვნა დადგენილების გადასინჯვის თაობაზე შეაჩერებს გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების ასრულებას.

13. უკანონოდ დადებული გადასახდელი გაუქმებულ უნდა იქნეს, ხოლო, უკეთუ გადასახდელი წინასწარი შეცნობით უკანონოთ იყო დადებული, მისი დამდები თანამდებობის პირი პასუხისგებაშიაც მიიცემა სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლის ძალით.

14. დადგენილებას გადასახდელის ადმინისტრატიული წესით დადების შესახებ ასრულებს მილიცია.

15. დადგენილება გადასახდელის ადმინისტრატიული წესით დადების შესახებ ასრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთის წლისა კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. უკეთუ დადგენილება აღნიშნულ ვადაზე არ იქნება ასრულებული, იგი ძალასა ჰკარგავს.

შენიშვნა 1. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ კანონიერ ძალაში შედის იმ ვადის გასვლისთანავე, რაც დაწესებულია გასაჩივრებისათვის, უკეთუ თხოვნა დადგენილების გადასინჯვის შესახებ ან საჩივარი შეტანილი არ ყოფილა; ხოლო, უკეთუ თხოვნა ან საჩივარი შეტანილია, — მისი უშედეგოდ დატოვებისათანავე.

შენიშვნა 2. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპში 22 აპრილს (პარასკევს), დღის ორ საათზე მოწვეულია კომუნისტ-აგრონომების თათბირი, რომელზედაც უნდა დაესწ. შემდეგი ამხ. ბობოხიძე, ლეჟავა, გოგოლაძე, დანელია, ხაჭაპურიძე, მესხი, კუპრაძე (რედ. „ახალგაზ. კომ") რადიანი (ნორჩ. პიონ.) მელიხოვი (ნორჩ. პიონ. ა. კ. ბიურო) და ულენტი (ნ. პიონ. ც. ბიურო).

— ხუთშაბათს 21 აპრილს, საღამოს 6 ნახ. საათზე ამხ. კახიანის კაბინეტში **შესდგება ზ. ც. კ. ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის მორიგი სხდომა.**

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება სახელგამის მუშაობის შესახებ.

2)სახელგამის საგამომცემლო გეგმა.

3) მთავლიტის საკითხები.

აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი, ბიბინეიშვილი, ყურულაშვილი, ასრიბეკოვი, კიკნაძე, თათარიშვილი, ჯაფარიძე, სუტირინი, ცხაკაია, ჭელიძე, კუპრაძე, ჩანტლაძე, მაჭავარიანი ასათიანი, დუდუჩავა, შუშანია და ბუაჩიძე.

ხვალ 21 აპრილს საღამოს სრულ 5 საათზე აგიტპროპკაბინეტის შენობაში (რუსთაველის თეატრი)შესდგება ყველა იმ ამხანაგების საერთო კრება, რომელნიც ჩაწერილი არიან საქ. ლენინურ კომკავშირის მიერ მოწყობილ უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებზე. სავალდებულოა ყველა ამხანაგების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო განყოფილება აცხადებს, რომ განყოფილებაში სამი დღის განმავლობაში, უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: რაჟდენ მარგიშვილი, მარო ლიბერმანი, სოფიო სუნიატოვა, გიორგი შკრტუმოვი, ვერა ჯამპულადოვა, ვაგან დარიანი, გიორგი გრიგორიანი, ანუშ ჯანიანი, ნატალია პაველენკო, პეტრე შახბაზოვი, გიორგი შარაიანი, სურენ ბანდუროვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ 2 დღის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. კვირიკაძესთან.

1) ბარბალე სოლომონის ასული კობრეიძე, 2) ნინა დიმიტრის ასული იორამაშვილი, 3) ოლღა პავლეს ასული ნადარეიშვილი, 4) ანა მამულია, 5) პარასკევა სტ. მელიქაძე, 6) ირინა კალანდარიშვილი, 7) თამარა ლუხუტაშვილი, 8) უგოპერი ასათიანი, 9) ბაბილინა ივ. ჯაფარიძე, 10) ლეონიდა კონსტანტ. შავიშვილი, 11) ნინო ნიკოლოზის ასული ჩხარტიშვილი, 12) სოფიო სტეფანეს ას. აბშილოვა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, ა. წ. 21 აპრილს (საღამოს 6 საათზე) შესდგება სადელეგატო კრებებთან არსებულ კოოპერატიულ და თურიდიულ სექციების მორიგი მეცადინეობა ჩვეულებრივ ადგილას.

პარასკევს 22 აპრილს საღამოს 6 საათზე მეხუთე პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის გამზ. № 166) შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედის ღია კრება.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დივ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატებს ამხ. აკაკი ანტონის ძე ლომიძეს და ალექსანდრე სიმონის ძე წიქარიშვილს. პარტწევრად გადარიცხვის შესახებ, ა. ლ. კ. კ. წევრებს — ამხ. შალვა გრიგორის ძე კუპატაძე, თეოფანე არსენის ძე სვანს, შალვა არჩილის ძე მაღლაკელიძეს და ნეოფიტე ასპანის ძე მაღრაძეს, უპარტიო წ.-არ. — ამხ. ალექსანდრე ონისიმეს ძე თორაძეს კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ— გთხოვთ გვაცნობოთ ზემოთ აღნიშნულ კომუჯრედში 10 დღის განმავლობაში.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა გაიანე, მამა სამსონი; ძმები: კოლია, გრიშა მეუღლით ნინოთი, ანდრია და გაბრიელი; დები: მარუსია და თამარა დოლიძეები; ბიძაშვილები: ილია მეუღლით კატოთი და დათიკო დოლიძეები; დეიდები: ბაისო და იუსტინე, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ვალოდია (ვალია) სამსონისძე

დოლიძის

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში, პარასკევს ა. წ. 22 აპრილს, ნახუტურის სასაფლაოზე, ნაშუადღევს 3 საათზე.

(ა. ს.)

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს 21 აპრილს — უკანასკნელად ამ სეზონში

გრ. რობაქიძის **ლამარა**

პიესა 4 კამარათ მუსიკა: იონა ტუსკიასი.

დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის.

მხატვარი: ლ. გუდიაშვილი

უკანასკნელად ამ სეზონში

კვირას, 24 აპრილს, ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით.

ახალი კუპლეტები

დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი.

5—1 ნ. 1024

აპოლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარვაზი ტელ. 14—03.

მსოფლიო შედევრი ლიუსი დორენის მონაწილეობ.

„სოდომი და გომორა"

გრანდიოზული დადგმა! ათეული ათასი მონაწილენი 2 სერია 13 ნაწილი ერთად.

დადგმის მეორე კვირა **გიული**

ადგილები დანომრილია, ფასები მნიშვნელოვნად დაკლებ.

მხატ. შედევრი ამერიკული სურათი აგნესა აირესის მონაწ.

„საღამოს 7 საათზე"

უკანასკნელი მე-3 სერია „სიძულვილის სახლი" ამ დღეებში მის—მენდ

0—13 ნ. 924

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება „თავადის ასული შირვანსკაიას ბოროტმოქმედება".

სახელმწიფო ოპერის აკადემიური თეატრი, კვირა, 8 მაისი, 1927 წ.

კომპოზიტორ კოტე მეღვინეთ-უხუცესის **დიდი კონცერტი**

სამ განყოფილებათ.

„ამირანი" მონაწილეობას იღებენ სახ. ოპერის მსახიობნი: სანდრო ინაშვილი, ვოლჩანეცკაია, ქუმსიაშვილი, ვენაძე და სხვ. როიალთან და ჰარმონიუმთან: კოტე მეღვინეთ-უხუცესი და სახ. ოპერის ლოტბარი ა. მელიქ-ფაშაევი. დაწვრილებითი პროგრამა აფიშებში.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის სალაროში. 3—1 ნ. 1048

ხვალ 22 აპრილს, დღის 1 ს. გან. მუშ. სახლში

(კოლოუბნის ქ. № 3)

მოწვეულია განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგში: მოხსენება—უმუშევრობა ჩ | კავშირში და ზომები მასთან საბრძოლველად.

უმუშევრების დასწრება სავალდებულოა

ნ. 1049 ც. გამგეობა

მათემატიკოსი

ი. მ. მაჩაიძე

დაბრუნდა (დროებით) და ღებულობს მოწაფეებს და ასწორებს ჩამორჩენილთ

მათემატიკაში

აგრეთვე ადგენს საზაფხულო ჯგუფებს უმაღლეს სასწავლებელში და სამხედრო აკადემიაში შესასვლელად. რჩევა, დარიგება უფასოდ. პლეხანოვის გამზ. № 25, მიღება 8—12 ს. და 2—6 ს.

2494

ანონსი: ამ დღეებში

კინო-თეატრებში

აპოლო, მინიონ, არფასტოში

სახკინმრეწვის ახალი სურათი

თავადის ასული შირვანსკაიას ბოროტმოქმედება

დადგმა: ივ. პერესტიანის

ოპერატორი: დილმელოვი.

მთავარ როლებში: მარია შირაი, მ. იაკობინი, ა. შირაი.

თვალყური ადევნეთ დადგმას.

ნის. 1047

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა"-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალის ფასი:
1 წლით . . 10 მან.
1/2 წლით. . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

2428 25—1

მედმუშაკთა კოლექტივი

აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა** გამოძახება სახლში მწოლიარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:

1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ფ. ზელკიანის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინის აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.

ექიმის გამოძახება—60 კ.

საშუალო პერსონალის გამოძახება —35 კაპ.

საფასურის გადახდა პუნქტებზე. იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით.

2—15

გაზ. **„კომუნისტზე"**

ხელის მოწერა სამტრედიის რაიონში

მიიღება შემდეგ პირებთან

1) ქალ. სამტრედიაში—ლასა გოგელიასთან (რკ. გზ. კიოსკში).
2) მოძრაობის დარგში (რკ. გზ. სამკითხველოში) მ. წულაიასთან.
3) საყუდში—ს. ქავთარაძესთან.
4) საჭილაოს ხე-ტყის ქარხანაში—დ. თელიასთან.
5) დიდ ჯიხაიშში— გ. ბიბილეიშვილთან.

3—1. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქ. ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების

გამგეობა ა | წ. 9 მაისს იწვევს

წევრთა საერთო კრებას

დღის წესრიგში:

გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენებები და მიმდინარე საკითხები. თუ კრება აღნიშნულ დღეს არ შესდგა, ხელმეორე კრება ინიშნება ა | წ. 16 მაისისათვის, რა დღესაც კრება კანონიერად იქნება ცნობილი რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

2499 გ ა მ გ ე ო ბ ა

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 23 აპრილს 1927 წ. დღის 3 საათ. სახლში № 16 რუსთველის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყოფ. სასად. „შამპანი"-ს და სასადილო „ფიროსმანი"-ს მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს, ფრაჟეულობას და სხვ. შეფასებულს 602 მან. სახ. კვების კავშირის და ხელოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 მარტს და 4 აპრილს 1927 წ. თარიღით, № 1063., 1152., და 1050 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ნ. 1045

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 28 აპრილს 1927 წელს, დილის 10 საათზე ადგილობრივ ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩის მე-8 შესახვევში სერგო ალფეზისძე ხურციძის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**; გაიყიდება ხსენებულ სერგო ხურციძის ხის სახლი სამზარეულოთი, დახურული ყავრით იოსებ ალხაზაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 550 მან., რომლიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც.

ნ. 1046

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ ის 28 აპრილს 1927 წ. დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში კომუნისტის ქუჩაზე, სახლი 36 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნესტორ სიმონისძე გეორხელიძის ახალ ეტლს № 52 ორი ფარნით, დაფას. 170 მანეთ. საიდანაც დაიწყება ვაჭრობა გრიგოლ ბალანჩივაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, ქუთაისის მე-3 უბნის სასამართლოს ბრძანებით 1 მარტს 1927 წლის № 1242 ძალით.

ნ. 1046

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი").

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, [illegible] სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 | 1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. № 4—82

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, გაცემული პირველი უბნის კომისარიატიდან ვლადიმერ მალაქიასძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა საამშენებლო კავშირის წიგნაკი № 3917, დავით აბრამის-ძე სულხანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2495

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 67, მოცემული თბილისის ელექტროქანაგების სამმართველოდან ივანე გუნატის-ძე ხელთუბნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2492

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1447, ბიქტორ ამბროსის-ძე გაწერელის სახელზე, ჩ. გ. 2493

დაიკარგა პირადობის მოწმობა, ექიმის მოწმობა, ოჯახური მდგომარეობის მოწმობა და თამასუქი 60 მან. კონსტა სურგულაძის სახელზე, ჩ. გ. 2496

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 685, დამზღვევთა სალაროს წიგნაკი № 5632, პასპორტი ფუადო, სამხედრო სააღრიცხვო ფურცელი სიმონ არჩილის-ძე ცირგილაძის სახელზე, ჩ. გ. 2497

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი, გაცემული ქ. თბილისის მე-3 უბნის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ხარიტონ ჯორჯიკიას სახელზე, ჩ. გ. 23

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 42141, მოცემული ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მიერ მიხეილ ბესარიონის-ძე ბურჯანაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1041

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.